

საბჭოთა ხელოვნება

ГОБЕЉКРОЕ
УКРУЃГЉО

SOVIET
ART

SOWJETKUNST

ART
SOVIETIQUE



1971



საქართველო
შეგვიერთი

საგჭოთა სელოვნება



შარნალი გამოდის 1921 წლიდან

თუბტნი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქმნილობენაზიბა



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური,
ლიბრატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური შარნალი

1971



ერეკლე მეორის ქანდაკება თელავში



ფილარმონიის ახალი შენობის საერთო ხედი

დემოკრატიული ინტელიგენცია და სოსიალისტური რევოლუციის გაპარჯება საქართველოში

აკაკი სურგულაძე

გმირულ ბრძოლაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რომელიც საქართველოში თითქმის ოთხ წელიწადს გრძელდებოდა, ძირითად და წამყვან ძალას პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა წარმოადგენდა. მშრომელთა კლასები ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით თავგანწირულად და შეურყეველი რწმენით ესწრაფოდნენ თავისუფლებისაკენ. მათ საკუთარ მხრებზე გადაქონდათ სოციალისტური რევოლუციის შთელი ის სიმძიმე და დაბრკოლება, რაც საქართველოსა და ამიერკავკასიაში, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყანაში, ადგილობრივმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა და მათმა დამჭაშმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა შექმნეს. მაგრამ ქართველი ხალხის ამ დიდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუშათა კლასისა და გლეხობის

მხარდამხარ მონაწილეობდნენ სხვა ძალებიც. ერთ-ერთი ასეთი ძალა იყო ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელსაც ცარიზმის დამხობის დღიდანვე მტაცედ გვავა თავისი უბანი რევოლუციის გაშლილ ფრონტზე და თვალსაჩინო როლს ასრულებდა მენშევიკური რეჟიმის ანტი-ხალხური ხასიათის გამომწვევებასა და დაგმობაში, ხალხთა მასების რევოლუციურ შემართებაში. სამწუხაროდ, ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ეს როლი 1917-1921 წლების განმათავისუფლებელ მოძრაობაში დღემდე ჯეროვნად არ არის გაშუქებული. საქართველოს უპარტიო, დემოკრატიული ინტელიგენციის ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალს 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატი-

ული რესპუბლიკის შექმნა. როგორც ცნობილია, ამჟამად პროგრამით მოქმედებს ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მესამე ეტაპზე (1895-1917 წწ.) და ამით მხარს უჭერდა თვითმპყრობლობის და მემამულურ-ბურჟუაზიული ქვესლავი-ტაციის წინააღმდეგ იმ დაუხსრთომელ რევოლუციურ ომს, რომლის მიამართავენ მალაღ ახალ პირობებში პროლეტარიატი, ხოლო მის უახლოეს მოკავშირე გლეხობა გამოდგება.

ეს პროგრამა ჯერ კიდევ თერგდალეულებმა შეიმუშავეს XIX საუკუნის 60-იან წლებში და მის განხორციელებას შესწირეს მთელი შემოქმედებითი ენერჯია. პროგრამათა ეს ერთობლიობა უფლებას გვაძლევს, რომ 1917-1921 წლებში დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოსათვის მებრძოლი ინტელიგენცია სახელთან ქართველ სამოციანელთა პირდაპირ მემკვიდრედ მივიჩნიოთ.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დღესთვის ბატონობს აზრი იმის შესახებ, რომ თერგდალეულებმა, როგორც ერთგულ-პოლიტიკური მიმდინარეობა, XIX საუკუნის 80-იან წლებში დასაწყისამდე გრძელდებოდა; ამ პერიოდშივე კი თითქმის მოხდა მისი გათიშვა და საბოლოო დაშლა. თერგდალეულების იდეოლოგია, მკვლევართა აზრით, ვეღარ უპასუხებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ საფეხურს, იგი ჩამორჩა რა მოვლენებს, გაირიგა, ან უკეთეს შემთხვევაში, ლიბერალიზმამდე ჩამოქვეითდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თერგდალეულთა იდეური მიმდინარეობა არც 70-იანი წლებში მიწურულში და არც 80-იანი წლების დასაწყისში არ დაშლილა. იგი განავრცობდა არსებობს და ერთგულად ემსახურებოდა თავის იდეალებს. ეს მიმდინარეობა ახალ-ახალი მოღვაწეებით ივსებოდა ყოველთვის. მან XX საუკუნეშიც შემთავსდა და მტკიცედ დემოკრატიული პოზიცია დაიკავა 1905-1907 წლების რევოლუციამ. ეს მიმდინარეობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე შერჩა ქართულ სინამდვილეს, როგორც ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული ნაკვადი და ყოველთვის წინარადგებდა იბიქტურ მოკავშირეს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. რაც შეეხება ამ მიმდინარეობის ბუნებას — ილია ჭავჭავაძის, იგი სიკვდილამდე ერთგული იყო ერთხელ არჩეულ გზასა. ილიას პუბლიცისტკა და მხატვრული აზროვნება მთლიანი და ბოლომდე ურყევი დარჩა. ამასთან, ილიას იდეებს პროლეტარული რევოლუციის ეპოქამაც არ დაუკარგავს ცხოველმყოფელობა. ისინი ხელს უწყობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახალ ეპოქაშიც, სადაც აჯანყარბად დულ როლს ეკვებ პროლეტარიატი განასახიერებდა. მართალია, 80-იანი წლების შუადად ტერმინი „თერგდალეულთა“ თანდათან გამოვიდა ხსრებიდან, რადგან იგი ამ მოძრაობის შინაარსს უკვე აღარ შეეფერებოდა, მაგრამ ეს მიმდინარეობა ქართველ სამოციანელთა სახელწოდებით დარჩა.

1877 წელს „ივერიის“ დაარსება, სრულებითაც არ ნიშნავდა ილია ჭავჭავაძის გამოთიშვას „დროების“ გარშემო თავმოყროლი რაზმებიდან. პირიქით, ახალი გაზუთით ილიამ შეაგვარა იდეური პოზიციები „დროებისა“ და ამ გაზუთის მკვრდით ამოუღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. „დროები“ და „ივერია“ ლედილი მძიმე იყვნენ და ერთიანი ძალით, ერთი თვალსაზრისით ებრძოდნენ კონსერვატორებს ქართულ იდეურ მოძრაობაში, ააშკარავებდნენ ცარიზმის რვაქციულ კოლონიურ პოლიტიკას. იყავდნენ ეროვნული თვითმყოფლობის პრინციპებს, მომბოძნენ ცარიზმის ასიმილაციურულ ღრისძიებებს, ხელს უწყობდნენ

ქართველი ერის გამოღვიძების, გათავისუფლების, პატრიოტული შემართების კეთილშობილ რაქმებს. გაეცხსნოთ „ივერიისა“ და „დროების“ ერთდროული გალაშქრება სენატორ ბაგრატიონ-მურხანასა და მისი დამცველების წინააღმდეგ, იანოვსკის თავდასხმებისაგან მშობლიური ერის დაცვა, ეროვნული კონსოლიდაციისათვის გაწეული პროპაგანდა, რუსეთ-თურქეთის ომის წლებში საქართველოს სტიქიური საზოგადოების აღდგენისათვის გაწეული მუშაობა, წერა-სიხეთის გამარჯვებელი საზოგადოების, დამატკივლი საზოგადოების შემქმნისათვის განაღდებული დიდი პრაქტიკული საქმიანობა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ერის სასიკეთოდ იყო მიმართული. მართალია, ამ პერიოდში ეკონომიური ხასიათის ზოგიერთი საკითხიც თერგდალეულთა შორის თავს იჩენდა აზრთა სხვადასხვაობა, პოლიმიკაც მარხედებოდა ხოლმე, მაგრამ ყველაფერი ეს ურთი მიმდინარეობის ჩარჩოებში თავსდებოდა, იგი ერთი ფრონტის მოღვაწეთა მიერ საერთო იდეალის მიღწევაში უკეთესი გზის ძიების გულწრფელი ცდა იყო მხოლოდ.

ის ფაქტი, რომ 1880-1881 წლებში „ივერია“ და „დროება“ ილიას თანარქტიკობით გამოდიოდა, თვალსაჩინოდ ადასტურებს ამ ორი გაზუთის იდეურ მთლიანობას. ქართული პროგრესული საზოგადოებრიობა 80-იანი წლების დასაწყისიდან ამ ორი ორგანოს გარშემო იყო შემოკარული. 1885 წლის ექტემბერში „დროება“ მოავრთბდას დახურა. დარჩა მარტო „ივერია“, რომელსაც არასოდეს არ უღალატა ერთხელ აღებული კურსისათვის. მისი საბრძოლო პროგრამა იყო ერის ვინაობის აღდგენა, ეროვნული ერის დაცვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ქართველი ხალხის სულიერი შემწეობა, მისი დაზარება. 1901 წელს „ივერიის“ არსებობის 25 წლისადღზე ილია ჭავჭავაძემ მთავურ წერილში ამას საგანგებოდ აღნიშნავდა და წერდა: „25 წელი სრულდება, რაც „ივერია“ არსებობს. მის დრობაზე ეწერა დიდი ასოებით: ენა, მიწა-წყალი, სარწმუნოება. ჩვენი გაზუთის მცნება ამის შემდეგ იგივე რჩებაო“.

თერგდალეულთა რიგები ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ცხადია, უცვლელი არ დარჩენილა. იგი განახლებასა და შეესებას განიცდიდა. 80-იანი წლებიდან მის რიგებს ქართული ლიტერატურის ახალი გოლიათები — ვიგა-ფიშინა და ა.ლ. ყაზბეგი შეემატნენ. მათ გარდა ამ დიდ ეროვნულ მიმდინარეობას თანდათან ემატებოდნენ მხატვრული სიტყვის ისტატიკები — დათი კლინაძე, ანასტასია ერისთავი-ზნუშარი. ამვე დროის ქვეშ ჯგუფდებოდნენ ნიჭიერი პუბლიცისტ ბოსილევი, აშერ ნაროდიევი სიძიარობით ვატკებელი მწერლები (ს. მგალობლიშვილი, გ. გაბაშვილი, შ. არაგვისპირელი და სხვ.).

80-90-იანი წლებში, პოლიტიკური რვაქციის პარპაზის მიმეფ ვითარებაში, ეს მიმდინარეობა მრავალ დიდ ეროვნულ რაქმებს აკეთებდა. იგი ხელმძღვანელობდა წერა-სიხეთის გამარჯვებელი საზოგადოების უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობას ქართველი ხალხის განათლების საქმეში, იღვრავდა ქართული გიმნაზიის დაარსებისათვის, ნიადგას ახალგადა ეროვნული უნივერსიტეტის შესაქმნელად. უკვლიდა ქართულ თეატრს, მუსიკას, განსაკუთრებულ გულისყურს იჩენდა ქართული ხალხური შემოქმედების მიმართ, ამ დიდ საკანბურს თავს უკრდა, ზრუნავდა ეროვნული სახეობის ხელოვნების ძალების გაზრდისათვის, ქართული კულტურის უმესანინავეს ძველთა გამოქვეყნებისათვის და სხვ.

საზოგადო მოღვაწეთა ამ ფრონტის ინიციატივით მოს-

1 გაზ. „ივერია“, 1901 წ., № 273.

და დიმიტრი ყიფიანის ისეთი დატერება, რამაც ეროვნული დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. ილია და მისი თანამებრძოლები სათავეში ჩაუდგნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნების გადმოსწვებას საქართველოში, რაც დიდ პატივითულ მოძრაობად იქცა და წარმატებით განხორციელდა 1893 წლისათვის. ძნელია თქვით იმ ხნის განმავლობაში მოუპოვითი თუნდაც პატარა მინიშნულების საზოგადო საქმეზე, რომ მისი თასანია, სულისჩამგდემელი, წამქეჩებული ილია ჭავჭავაძე და მისი ირგვლივ დარაზმული მოღვაწენი არ ყოფილიყვნენ.

ქართული საზოგადოებრივი აზრის ეროვნულ-დემოკრატიულმა საკადომ ღირსიერად გადალახა XIX საუკუნის საზღვარი და XX საუკუნეში შევიდა როგორც თავისთავადი, სიყოფისუნარიანი და გარკვეული ტენდენციების მქონე საზოგადოებრივი მოძრაობა.

ეს მოძრაობა განსჯე დარჩა იმ პოლიტიკური პარტიებიდან, საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე რომ მიმარაგდნენ XX საუკუნის დასაწყისიდან. ეს იმით უნდა აეხსნათ, რომ თავისი ბუნებით განმანათლებლობა ვერ ეთვისებოდა პარტიულ დაჯგუფებას, რადგან პარტია მას საზოგადოების გარკვეული ჯგუფის (კლასის) ინტერესების გამომხატველად ეწვეებოდა, თვით კი მთელი ერის სახელით მოღვაწეობდა და საკუთარ თავს ყველა ჯგუფის (კლასის) ინტერესების დამცემად მიიჩნევდა.

კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, როცა საბოლოოდ დაირღვა მესამე წოდების ერთიანობა და დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთი ცნებიდან (კაცულე) მიმდინარებებდა გაითვითინდა, თერგდალეულების კლასობრივი პოზიციაც ერთგვარად შეიცვალა. რევოლუციური დემოკრატიზმი და გლეხური რადიკალიზმი, რაც ამ მიმდინარეობას ახასიათებდა, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას შეეფიცა. ახალ ვითარებაში გლეხობას ყველაზე საიმედო მეთაურად პროლეტარიატი მივლინდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წაყვან ძალედან მუშათა კლასი და გლეხობა გამოვიდა. ბურჟუაზია კი, რომელიც მესამე წოდებებიდან გამოითიშა, ლიბერალიზმის ჩარჩოებში შემოიფარგლა.

თერგდალეულებმა ახალ ვითარებაში აღარ მოძებნეს და ყოფილიყო მესამე წოდების იდეოლოგია, რადგან თვით მესამე წოდება, როგორც სოციალური ორგანიზმი, უკვე აღარ არსებობდა. იგი ვეღარ გამოადგებოდა მუშათა კლასსა და გლეხობას, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით აღარ კმაყოფილდებოდა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისაკენ, ექსპლუატატორული რეჟიმი საბოლოო დამოხმისაკენ მიისწრაფოდა. ამ დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში პროლეტარიატი და გლეხობა უკვე ახალ იდეოლოგიას ეძიებდა. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმი.

თერგდალეულებმა არც ქართულ ბურჟუაზიას გააყოლია, რადგან მას არასოდეს ჰქონია მიზნად დასახული ერთი რომელიმე კლასის ან წოდების სამსახური. მით უმეტეს, როცა ბურჟუაზია კლასობრივად გაითვითინებოდა და ქართული საზოგადოებრიობის ცხრა მეთედს ახალ მჩაგვრელ აიღა და მოვიდნა. განმანათლებლობა, რომელიც მივიღო ხალხის ინტერესების გულწრფელი მოსარჩლე იყო, ამ ახალ ძალას ზურგი შეაქცია.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში ქართული განმანათლებლობა, რომელსაც ადრე თერგდალეულებს უწოდებდნენ, თითქმის ჰაერში გამოკიდებული დარჩა და დასყდნენი ძალები გამოეცალა.

* ვიდრე საქართველოში ცარიზმი ბატონობდა და ეროვნული ჩაგვრა სახეზე იყო, განმანათლებლობას გარკვეული

ფუნქცია გააჩნდა, კოლოსალური საქმე ჰქონდა, იგი კვლავ განავრცობდა ეროვნული ძალების შემართებას, უკვლიდა ქართულ ტრადიციებს, ენას, სათავეში ედგა ყველა ეროვნულ პრაქტიკულ წამოწყებას. ახალ ვითარებაში განმანათლებლობა თავის პირობაშით ვეღარ სთავადებოდა ლიბერალურ ჩარჩოებს, მაგრამ თავისი შინაარსით იგი კვლავ ღრმად დემოკრატიული რჩებოდა და იმ დიდ სოციალურ და ეროვნულ ომში, რომელსაც მუშათა კლასი და გლეხობა კაპიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ უწყობდა, საიმედო მოკავშირედ გამოდიოდა. ამრიგად, ილია ჭავჭავაძის გარშემო თავმოყრილი მოღვაწენი (თერგდალეულები) იმპერიალიზმის ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეერწყნენ დემოკრატიულ საკადომ და ამ ნაკადმა 1905-1907 წლების რევოლუციის მომზადებაში უღრმესად თვალსაჩინო როლი შეასრულა. აქვე უნდა შევიხილოთ ერთი გარემოება: თერგდალეულობა, როგორც წამყვანი საზოგადოებრივი მოძრაობა, მთელი XIX საუკუნის მთიერ ნახევარში იმ პოლიტიკური პარტიების მასხრობელი წყარო იყო, რომლებიც საუკუნის მიწურულსათვის აღმოცნებდნენ. მარქსიზმმა საქართველოში შეიჭრა განმანათლებლური მოძრაობის რევოლუციური დემოკრატიზმი, მისი ყველაზე უფრო მოწინავე, რადიკალური ტრადიციები. ეს შემკვიდრობა ნაყოფიერი ნიადაგი გახდა ახალი მსოფლმხედველობის — სოციალისტური იდეოლოგიის აღმოცნებისათვის. ამავე თერგდალეულობაში ნიადაგი მომუშადა ჩვენში წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებსაც, რომლებმაც თერგდალეულობის იდეოლოგიის უფრო ზომიერი ნაკადი შეისისლბორეს, პროგრამის სუსტ ადგილებს ჩასჭიდეს ხელი და ცალმხრივ წარმართეს მისი განვითარება. მესამე წოდების ინტერესი, რასაც XIX საუკუნეში ეს იდეოლოგია გამოხატავდა, მათ ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებში დაექვედნენ. ამის გამო წარტყდნენ ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იდეოლოგია ვიწრო კლასობრივი და ქართული შრომობი მასების ინტერესებისათვის დაპირისპირებულად გამოვიდა.

1905-1907 წლების პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას გულწრფელი აღფრთოვანებით შეგება ქართველ სამოციანელთა ნაკადი. ეს ასევე უნდა მომხდარიყო. ილიამ, აკაკიმ, იაკობმა, ვაჟამ და მათ გარშემო შემოკრებულმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ 1905 წელს საქართველოს შრომობილთა რევოლუციურ აზვირთებაში დანიხნეს განხორციელება იმ ეროვნული იდეალებისა, რომელსაც შეტრფოდნენ და თავდაუზოგავლად ემსახურებოდნენ მთელი XIX საუკუნის მთიერ ნახევარში. ილიასთვის ეს იყო „ქართვის ის დემოკრატიზმი და მისი დიდებული მესობა, როცა ხალხი იარაღზე ხელს აკავრავდა და დიდების ძღვე დავდებოდა. „ამას ველოდი, მოვესწარ, ვიციბი, აღარ ვსტირი მიქ“ — ლაღდებდა ბედნიერებისაკმა თვალაყრწელებული აკაკი წერეთელი.

ქართველ სამოციანელთა აქტიური როლი ამ რევოლუციით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პროლეტარიატის ქეგემონური როლისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური გაგების დინეზე აღმონებდნენ; არც იმას, რომ ისინი ჩაწვდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის კლასობრივი ბრძოლის მთელ სიღრმეს. სამოციანელთა სოციალ-პოლიტიკური მრწამსი არ გასცდენია ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ჩარჩოებს, მაგრამ კოლონიური საქართველოს ვითარებაში ჩაგრული მასების ასეთმა მძლავრმა გამოსვლამ მათ, როგორც ვთქვით, საკუთარი ეროვნული პროგრამის განხორციელების იმედი ჩაუსახეს.

ხოლო ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილისა და

მათი თანამებრძოლების ღრმა სიმპათიები ამ რევოლუციონარულ, მათი მაღალი ავტორიტეტისა და უაღრესად დიდი პოპულარობის გამო, თავისთავად ძალიან ბევრს ნიშნავდა. იგი ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრისათვის მებრძოლ ძალების მხიზნობას მატებდა; აკაკის რევოლუციური ლეგსები აჯანყებული მშრომლების ხმელდრად და მოწოდებად ქმნდა.

1907-1915 წლებში ეროვნული მოძრაობის დემოკრატიული მიმდინარეობა კვლავ აქტიურად მოღვაწიობდა ქართული ხალხის გათავისებობისთვის, ქართული კულტურის დარღვევის წინაგა-განთავისებობისთვის. ამ მიმდინარეობის თასისებმა 1907 წელს საფუძველი ჩაუყარა ქართული უნივერსიტეტის შენობას იმის ღრმა რწმენით, რომ ქართველი ხალხი მალე შესძლებდა საკუთარი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. მათვე შექმნეს 1907 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც დააკისრეს ქართველი ხალხის მიდართული რიგილი წარსულის, მისი ტრადიციების, ყოფის მოვლა-პატრონობა და მეცნიერული კვლევა-ძიების ორგანიზაცია — მიმართულებით. ქართული ინტელიგენციის ეს დემოკრატიული ხავადი, სამოციანელთა ტრადიციის მიხედვით, შეეცდნენ იღებდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში მოწვევად ქართველი სტუდენტებიდან. ამ სასწავლებელში ჩამოყალიბებული ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები, რომლებიც ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა იდეებზე იზრდებოდნენ, „მაგისტრ“ მსაკვალ სტუდენტების კვლავებშივე იწყებდნენ პრაქტიკულ მოღვაწიობას ეროვნული საქმიანობის. სანიშნოდ დავასახელებთ ზეტერ-ბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ი. ჯავახიშვილის მეთაურობით, რომელმაც თავიდანვე აიღო კეზი საქართველოს კულტურული წარსულის შესწავლისაკენ და ამავე დროს შეუდგა სამეცნიერო ძალების შემოკრებას ეროვნული უმაღლესი სასწავლებლისათვის. ამავე წინადაგზე წარმოიჭრა 1908 წელს წოხოლის უნივერსიტეტში ქართული კულტურის მიყვარულთა წიგნი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის სახელი ეწოდა. ამ წრის ინიციატორი იყო თედო შორდანიას შვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი შორდანიას.

1907-1915 წლებში ეროვნული მოძრაობის ამ ნაკადს გამთავალდა წამყვანი ძალები. 1907 წელს მოკლეს ილია ჭავჭავაძე. 1912 წელს გარდაიცვალა იაკობ გუგუნიშვილი, 1915 წელს — აკაკი წერეთელი, იმავე წელს — ვაჟა-ფშაველა. ეს იყო აუნაზღაურებელი დანაკლისი არა მარტო ქართული კულტურისა, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც ახალ ეტაპზე ბოლომდე ეყურებოდა აკაკის იდეა სათავეში. ქართველი ხალხმა ღირსეულად დატარა თავისი მოამაგები. მათი გამოთხოვების დღეები საქართველოში ეროვნულ ძალთა საბრძოლველ დათავიერების წარმოადგენდა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ენერგიული პროტესტის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კორიფეების გარდაცვალებას არ მოჰყოლია ამ მიმდინარეობის დაშლა. ახალი ძალები შევსებულ, იგი კვლავ ღონივრად გრძნობდა თავს და განაგრძობდა ხალხის სამსახურს. ამ მოძრაობამ მეტად ჯანსაღი პოზიცია დაიკავა პირველი იმპერიალისტურ ომში. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები სპარტაკისტებმდე ჩამოქვეითდნენ, ხოლო წვრილბურჟუაზიულ-შემთხმენებულნი — პარტიკულმა ობორონიცმა შეფარეს თავი, ამ მიმდინარეობამ მართებული შეფასება მისცა საქართველოს პოზიციას მიყენავად იმპერიალისტურ ომში და გაიზარა ის თვალსაზრისი, რომელიც იმის მიზანთ ბოლშევიკურმა

პარტიამ შეიმუშავა. ამის თვალსაჩინო მაგალითია პეტროგრადის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტთა პროკლამაცია, რომელიც 1914 წლის ნოემბერს შეიმუშავეს. ეს პროკლამაცია იმპერიალისტურ ომს აყალიბრ ომად აცხადებდა, გმობდა ქართველი ბურჟუაზიული პარტიების სპარტაკიზმს და გარკვევით მიუთითებდა, რომ „ჩვენი ჭეჭვის თავისუფლების საქმე — ეს რუსეთის პროლეტარიატისა და ყველა მოწინავე დემოკრატიის საქმეა წარმოადგენს“².

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ამ მიმდინარეობის მოღვაწეთა დიდ ზეიშად იქცა. ცარიზმის დაშობა განხორციელება იყო იმ კეთილშობილური იდეალებისა, რომელიც XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მათ დროშაზე იყო წარწერილი. თებერვლს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ამპროვაციის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი საფეხურს დასაწყისს ნიშნავდა. ცარიზმის დაშობამ, რომელიც უხეშ კოლონიურ ჩაგვრას ახორციელებდა და ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის თავგანმობდელი წინააღმდეგი იყო, რუსეთის იმპერიის შეშატუნდობაში შემავალ არაფერს ხალხებს, მათ შორის ამბოვრავაკიულ ხალხს, შეუძლოებდა და აღუძრა იმედი, რომ ამიერიდან მათი ეროვნული პროგრამა პრაქტიკულად განხორციელდებოდა.

ამასთან ცარიზმის დაშობამ სარქველი ახსნა ცარიზმის დროს დაგუბებულ კულტურულ-შემოქმედების ენერჯიას, რომელიც მეფის დროს გასაქანს ვერ პოულობდა. ერის მოწინავე დემოკრატიულმა ძალებმა ეროვნულ დაწესებულებათა შექმნას დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი. მაგალითად, უნივერსიტეტს დაარსება მიიღობდა, როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მუშაობის მესვეურთა დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ მას ცარიზმი შეუწყურათ ამბოში. მეფის მთავრობის დაშობისთანავე უნივერსიტეტის გახსნა პირველი რიგის ეროვნული ღონისძიება გახდა, რომელსაც სათავეში დიდი ისტორიკოსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩენილი მოღვაწე ი. ჯავახიშვილი ურუდა. ი. ჯავახიშვილის გარშემო დიარაზმა ქართული ინტელიგენცია და საუნივერსიტეტო მოძრაობა დიდ სახალხო მოძრაობად იქცა. მაგრამ დროებითი მთავრობა და ამიერკავკასიაში მისი ფილიალი ოსკაში გადავლილთ ამ დიდ ეროვნულ თათხრობას და მათი ასებობა ისე დასრულდა, რომ უნივერსიტეტის გახსნის საქმე ერთი ნაბიჯითაც არ წაუწველა წინ. მხოლოდ 1918 წლის იანვრისათვის დააგროვდა ქართველი ინტელიგენციამ მის მიერ წამოწყებული დიდი ეროვნული საქმე და გახსნა კარები პირველი ქართული უნივერსიტეტისა.

გარეგნულად ისე ჩანდა, რომ საქართველოს ბურჟუაზია თითქოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურდაც იყო გამოდიოდა, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა და ერთა თვითგამორკვევა ცარიტული იმპერიის ნაზრევეებზე მისი დიდი ხნის ოცნება იყო და ახლა იწყება გახსორციელება. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი იყო: კლასობრივი პრიციპი ბურჟუაზიული წყობილების გადარჩენისა და განმტკიცებისაკენ მიწრაფება, პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის სურვილი ეროვნულ ბურჟუაზიაში აიძულებდა მოკავშირე მებრძოლის ბურჟუაზიაში ეჭვნა და მისი დახმარებით განმტკიცებინა პოზიციები. ვ. ი. ლენინის გენია სიღრმემდე წვდობდა რა კლასობრივი ბრძოლის ბუნებას.

2 საქ. სსრ ცსიკა, ტ. 7, ს. 3255, ტ. 89-92.

ეროვნული ბურჟუაზიის ნამდვილ სახეს ასე ააშკარავენ: „...ჩარულ ერთა ბურჟუაზია მხოლოდ ლაყბობის ეროვნულ აჯანყებაზე, ნამდვილად კი რევოლუციულ შეთხზებებს აწყობს მრავალჯეროვან ბურჟუაზიასთან თავისი ხალხის ზურგს უკან და მის წინააღმდეგ“.³

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები — დანაკები, მუსავატკალები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვ. მხარს უჭერდნენ რა დროებით მთავრობას და მის ფილიალს ამიერკავკასიაში, აფერხებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ გაღრმავებას და წყალს ასხამდნენ მეტროპოლისის ბურჟუაზიის წისქვილზე. დამოკიდებულები ეროვნული სახელმწიფო მათ იმ შემთხვევაში აწყობდათ, თუ იგი მხოლოდ ბურჟუაზიული იქნებოდა.

ბურჟუაზიას შიშს გვრიდა ის ინტერნაციონალური სოლიდარობა, რომელიც თანდათანობით მტკიცდებოდა ამიერკავკასიის შრომელ მასებში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პროცესში. ამ სოლიდარობაში რომ მზარდი შეგება და სახალხო მოძრაობა ბურჟუაზიული არსებით გათავისუფლებულ წარმართა, ბურჟუაზიამ ნაცად ხერხს მიმართა და ეროვნული საბჭოების მოწყობას მიჰყო ხელი. ასე შეიქმნა დანაკების, მუსავატკების, ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა პარტიების თაოსნობით სომხური, მუსლიმანური, ქართული ეროვნული საბჭოები ამიერკავკასიაში.

ბურჟუაზიულ-ნაციონალურ პარტიებთან ამ საკითხში, ისე როგორც რევოლუციის სხვა არსებით საკითხებში, შეთანხმება ადვილად აღუქმდნენ წყრილობურჟუაზიული პარტიები. ესეგები საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ ერთა თვითგამორკვევას და მათი ეროვნული პროგრამა ამიერკავკასიაში ოზაჯობის პრაქტიკულ საქმიანობას მთლიანად ემსახურებოდა. რაც შეეხება მემწეეებს, ისინი აღარ აღიზნებდნენ რა რევოლუციას, ნაციონალურ სათვისსაც გადაწყვეტდათ თვლიდნენ და ხაზობს ამშველებდნენ დამოუკიდებელი კრებით, რომელსაც ეკისრებოდა რუსეთის დემოკრატიზაციის სრულყოფა და ამასთან, ეროვნული საიბთის გადაწყვეტაც „აუღტრულ-ტრიტირიულ“ ფარგლებში.

მაგრამ ქართველი მემწეეები უკვე დაგმდნენ უფრო პრაქტიკულ ნაბიჯებს ქართულ ბურჟუაზიასთან დაახლოებისა და მისი ეროვნული პროგრამის გაზიარების საქმეშიც. ამის ნათელი ილუსტრაციაა ის ინტერპარტიული სამუშაო, რომელიც 1917 წლის სექტემბერში სწორედ მემწეეების ინიციატივით შეიქმნა თბილისში. იგი ვითომ პარტიულ ინტერესებზე ყოველა იდგა და ეროვნული საკითხების მოვლა-პატრონობას ითვალისწინებდა ერის საერთო ძალებით. სინამდვილეში ის ინტერპარტიული საბჭო უპირისპირდებოდა ამიერკავკასიის მშრომელ მასების გაერთიანებულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის და სეპარატობის გზით მიდიოდა, გზას უკავავდა დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ საქართველოს.

ამგარდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბოლოდ მიყვანა, ერთა თვითგამორკვევის განხორციელება შეუძლებელი იყო ბურჟუაზიული მთავრობის ბატონობის პირობებში. მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლოდ მიყვანა, სოციალისტური რევოლუციის განხორციელება უზრუნველყოფდა დაჩაგრული მასების საუკუნოებრივი ოცნების განხორციელებას. ამდენად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდი ამიერკავკასიაში პროლეტარიატი იყო, მისი მთავარი მოკავშირე — გლეხობა, რომელიც სოციალისტურ რევოლუციასში

ელოდა ეროვნულთან ერთად აგრარული საკითხის გადაწყვეტას. ბოლშევიკური პარტიის VI (პირლის) კონფერენციის გადაწყვეტილებანი ეროვნულ საკითხში იმის ნათელი დადასტურება იყო, რომ მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას შესწევდა ძალა, უნარი და მისწრაფება დაჩაგრულ ხალხთა ეროვნული თავისუფლების საქმე ბოლოდ მიყვანა.

ამიერკავკასიული ბოლშევიკები პირლის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წვიოდნენ პროლეტარიატის ეროვნული საკითხის ფართო პროპაგანდას. არსესი ფურცლებზე, საბჭოების ყრილობებსა და კონფერენციებზე, ბოლშევიკთა, ჯარისკაცთა და გლეხთა მიტინგებსა და კრებებზე მულშევიკები გამოდიოდნენ ფართო ახსნა-განმარტებით ეროვნულ საკითხში, აქვლავებდნენ ბურჟუაზიას და მემწეეებულური პარტიების ნამდვილ მისანდასახლებობას და ნერვადენდ იმის რწმენას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბოლოდ მიყვანა ამიერკავკასიაში შესაძლებელი იყო ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ყველა ეროვნების ხალხთა სოლიდარული, ინტერნაციონალური შეკავშირებითა და გაერთიანებული ბრძოლით სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად. ეროვნულ საკითხზე ხშირად გამოდიოდნენ თეთრული წვირილებით სტ. შაუმიანი, ფ. მასარაძე, მ. ტრომელიძე, აზნაზავი, ნ. ხარბიანი და სხვები.

მაგრამ ამიერკავკასიულ კომუნისტებს ეროვნული საკითხის დაყენებაში ამ დროს მშვედვლობიდან გამორჩა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გაუთვალისწინებლობის მავნე შედეგებმა მომდევნო წლებში აშკარად იჩინეს თავი. საქმე ის იყო, რომ ყველა ბურჟუაზიული პარტია ამ დროს კოპაწიობდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ლოზუნგით და ეროვნული ჩაგვრით შეუშლებოდა მასების გულს ადვილად იპყრობდნენ. „დამოუკიდებელი აზერბაიჯანი“ მუსავატური პარტიის, „დღი სომხეთი“ დაშნაკების, „დამოუკიდებელი საქართველო“ ფედერალისტებისა და ეროვნული დემოკრატების ის ფარი იყო, რომლის მიღმა ბურჟუაზიის კლასობრივი საქმე ხრცილდებოდა. ბოლშევიკები კი, პროლეტარიატის ინტერნაციონალური დარბაზებით გატყუებულნი, ეროვნულ საკითხში ვითარების შესაფერ ლოზუნგს ვერ უპირისპირებდნენ ბურჟუაზიულ ლოზუნგებს. განა დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველო, სომხეთი ან აზერბაიჯანი ნაკლებად მიმზადდელი იქნებოდა მშრომელი მასებისათვის, განა იგი უფრო ეგავებებს, ხელშესახებს არ გახდოდა პროლეტარული პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც ერთა სრული თვითგამორკვევის პრინციპებს ითვალისწინებდა? ამგვარად, ბურჟუაზიული დამოუკიდებლობისადმი სოციალისტური დამოუკიდებლობის დაპირისპირება მომცემი ნაკარსხვეი მოთხოვნა იყო, რასაც 1917 წელს ამიერკავკასიის ბოლშევიკები სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ. როგორც ცნობილია, ეს დროებითი შეცდომა 1920 წლისათვის გამოხსრიდა.

ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც პარტიათა მუშავე პოლიტიკურ ბრძოლაში თითქმის არ მონაწილეობდა, მასების შემოქმედებით ენერჯის პრაქტიკული ეროვნული საქმეების განხორციელებისათვის ზრუნავდა. უნივერსიტეტის გახსნას მალე მოჰყვა მეორე დიდი მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში — ეროვნული ოპერა, ქართული კონსერვატორიის დაარსება, საგანგებოდ უნდა მიუთვითოთ, რომ ყველა ეს ღონისძიება კერძო ინიციატივა იყო, ყველა ამ საქმეს თაოსნობდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელსაც ამის თაობაზე ვერ ოზაკობნან, შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატთან და სხვითან, ხოლო 1918 წლის 26 მაისის შემდეგ მემწევიკურ მთავრობასთან გაწვევებული დაჯაქმონდა და ამა

³ ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 68 (მე-4 გამოცემა).

თუ იმ ეროვნულ დაწესებულებათა გახსნაზე მთავან თანხმობის გამოთავსა ძლივ ახერხებდა.

1918 წლის მაისამდე, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა და ქვეყნის ერთპირობითი მმართველი მენშევიკები გახდებოდნენ, ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია ენდობდა იმ მოთავყულ დაპირებებს, ქართული წერილობრუვათა პარტიები რომ ახდენდნენ. ცარიზმის კოლონიური უღლისაგან უკვე თავისუფალი საქართველოს დემოკრატიული ორგანიზაცია, ეროვნული ძალების კონსოლიდაცია და ამის საფუძველზე ჩამორჩენილების სწრაფი ლიკვიდაცია დემოკრატიული ინტელიგენციის ოცნებას წარმოადგენდა. მაგრამ ქართულ დემოკრატიულ ინტელიგენციას, ცარიზმის უღლისაგან თავისუფალი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციებზე რომ ზრუნავდა, ერთი წუთითაც აზრად არა ჰქონია დემოკრატიული რუსეთისაგან გათავის, სეპარატისმი. საქართველო რუსეთთან ისტორიული უკვე შესისხლონიცებული ქვეყანა იყო და მათ საერთო ცხოვრება ჰქონდათ. ასე სკვეთი უნდა ყოფილიყო მათი მომავალი გზაც.

ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის იდეოლოგია, მისი კეთილშობილური მიზანდასახულების მიუხედავად, არ იყო რეალური. იგი შორს იდგა მარქსიზმიდან და იდეალიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა. უტოპია იყო ფიქრი კლასობრივი აზვის შედეგად შექმნილ „დემოკრატიულ სამოთხეზე“. სხვის ფუჭი იყო ოცნება დამოუკიდებელ საქართველოზე. სოციალიზმსა და კაპიტალისტური ბანაკის იმ სამკვდრელ-სამიოცესლო შეჯახებაში, რაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო, საქართველო ზურდ ფულის როლს ასრულებდა და მის ეროვნულ ბურჟუაზიულ მესვეურებს არასოდეს შეეძლოთ უზრუნველყოთ თავისი სპეკიების დამოუკიდებლობა. მხოლოდ ბურჟუაზიული გრემიის დამხობასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას შეეძლო განხორციელებინა საქართველოს სრული დემოკრატიზაცია და დამოუკიდებლობაც.

თუ რამდენად ილუზია იყო ამ ვითარებაში დემოკრატიზაცია და დამოუკიდებლობაც, ქართველმა დემოკრატებმა პირველ ყოვლისა 1918 წლის 26 მაისის აქტში დაინახეს.

1918 წლის 26 მაისი — საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების დღე ეროვნული ბურჟუაზიის მესვეურებთან ერთად საქართველოს დემოკრატიულმა ინტელიგენციამ დიდ ისტორიულ აქტად, საქართველოს ისტორიული ახალი, დიადი ეპოქის დასაწყისად გამოაცხადა.

ეს ასე უნდა ყოფილიყო — საქართველოს პროგრესული ძალები ხომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე დაუღალავად იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური უღლის დამსხვრევებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. თითქმის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა იდეალმა ფრთები შეისხა; საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი ქვეყანა, აღდგა თავის უფლებებში. ქართულმა დემოკრატიულმა ძალებმა ამ თვალსაზრისით შეტდნენ 26 მაისის აქტს და დიარაზუნენ კიდევ ქვეყნის სწრაფი ეროვნულ-კულტურული აღორძინებისათვის, რასაც ადრე ცარიზმი უშემოდებდა გზას. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ეროვნული უნივერსიტეტი, კონსერვატორია, აქდერდა ეროვნული ოპერა, დაამკვიდრა ეროვნულ ენაზე სწავლება სკოლებში და სხვ.

მაგრამ დამოუკიდებლობის სიტკბოება ქართველი ხალხისათვის იმ ვითარებაში მოჩვენებითი იყო. მენშევიკებმა, რომლებმაც ერის ამ ყველაზე სათუთ გრძობას შეახეს ხელი, ქვეყანა არა ნამდვილი დამოუკიდებლობის გზით,

არამედ ქართველი ხალხისათვის სრულიად უცხო ძალისაღმი დამონების გზით წაიყვანეს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, რომლებიც რუსეთის კოლონიური ჩაგვრისგან საქართველოს განთავისუფლებისათვის იღვწოდნენ, როგორც ცნობილია, არასოდეს ყოფილან სეპარატისტებში. მათ კარგად ესმოდათ ქართველი და რუსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიული აუცილებლობა და რუსეთის პროგრესულ ძალებთან ერთად იბრძოდნენ ცარიზმის დასასრულად, რომ „ახალ რუსეთთან“ ერთად და მისი დამხარებით მოეწყოთ ერის მომავალი ცხოვრება.

მენშევიკებმა, რომლებიც რუსეთში ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამედ, საქართველოს რუსეთთან გაერთიანების დაგეგმილი წინააღმდეგი იყვნენ და მშობლიური ძალების განთავისუფლების მთავარ პირობად მიიჩნინათ, უღალატეს არა მარტო თავიანთ ადრინდელ ეროვნულ პროგრესებს, არამედ ქართველი ხალხის ინტერესებსაც, რაც არასოდეს უგლისძობდა დემოკრატიული რუსეთთან გამართიშვასა და იმპერიალისტური დასავლეთისადმი დამოხმობას.

ქართველი საკითხის ჭეშმარიტი დემოკრატიული გადაწყვეტა იმ პირობებში საბჭოთა რესპუბლიკისათან განუყოფლობა და მისი შეთარბობით იმპერიალისტურ ინტელიგენციასთან ბრძოლა იყო. მენშევიკებს ეს არ აწყობდათ თავიანთი კლასისტური ინტერესების გამო. ისინი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დამფრთხალნი, საბოლოოდ ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების ამსახველ პარტიად ჩამოყვეითდნენ და სოციალისტური იდეალები ბურჟუაზიული პროგრამის ღაფგანისათვის მოიტოვეს. ეროვნული დამოუკიდებლობა — ერის ეს საწუკარი ოცნება, მტვად მიხერხებულ საფარი იყო ძალუფლებიან ჭეშმის გასაკავება და მენშევიკებმა ამოეფარნ ამ ღოზსუნეს, რასაც პირველ ხანებში, შეიძლება თქვას, ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის აღფრთოვანებაც კი მოჰყავდა.

მაგრამ ხალხის ალლო უტყუარია. საქართველოს მშრომლები თითქმის იმთავითვე გრძობდნენ, რომ მენშევიკების მიერ აღიარებული დამოუკიდებლობა ფიქცია იყო და რეი მათ ჩაგვრის უფრო მძიმე უღეს უშხადებდა. ამიტომ იყო, რომ მთელი 1918 წლის მანძილზე საქართველოში გეზობა მოძრაობის ხანძარი არ დაწყნარალა.

ქართულმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მალე იწყინა იმედების გატყუება. ქვეყანას გერმანული ოკუპანტები დაეპატრონენ, რომლებიც თავიანთს ამოუღებლად გვერდში მუშურ-გლეხური რევოლუციის ჩასახშობად და ბურჟუაზიული დიქტატურის განსამტკიცებლად. ვ. ი. ლენინი გენიალურად ჭკურტდა, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ასეთ „დამოუკიდებლობას“. როცა მენშევიკებმა გერმანულ ოკუპანტებს გაუხსნენ ქვეყნის კარები, ვ. ი. ლენინი შინიშნავდა: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუება იქცა. სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელთა მიერ, გერმანული სიმშვილის კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“.

1919 წლის დასაწყისიდან მენშევიკებმა ახალი მფარველები გაიჩინეს ინგლისელი იმპერიალისტების სახით. საქართველო დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა

⁴ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 28, გვ. 7-8.

კლანჭებში აღმოჩნდა და მისი ბედი ვერსაღმსო ვუდებო-
და. ამერკის იმპერიალიზმი მასზე მანდატს, ანუ მის კო-
ლონიურ დამორჩილებას აშმაღებდა.

მენშევიკებმა ვერც საშინაო პოლიტიკას გაართვეს თავი.
მათ მუდმივი ომი ჰქონდათ საკუთარ მეზობლებს და გლეხებ-
თან. ქვეყნის საწარმოო ძალებს განვითარების გზებზე და-
ეხებო, მისი სამეურნეო სინდნელად ყოველდღიურად იზრ-
დებოდა და საქართველო სრულად იმპანიხებოდა უცხოე-
ლისაგან. ამას 1920 წლისათვის მენშევიკების ლიდერე-
ბიც ათარ მალაყდენც.

ქვეყნის სამეურნეო ორგანიზმის სრულმა მოშლილობამ
ნიადაგი გამოუფიტა იმ ეროვნულ წამოწყებას, რასაც
1917-1918 წლებში ჰქონდა ადგილი. დემოკრატიული ინ-
ტელიგენციის იმედები იმსხვებოდა: ქართული უნივერსი-
ტეტი, რომელიც კერძო თაოსნობით ძლივს არსებობდა, მკე-
ნეუკურმა მთავრობამ უკმაყოფილების საშუა კერად მი-
იჩინა და კედლის განსაკუთრებული რაზმები შეკრავდნენ
ის საკმარისობას. 1918 წლის ოქტომბერში, იმ ჩხრეკის
გამო, რომელიც უნივერსიტეტში მოაწვევს საკანცებო რაზ-
მის ნაწილებმა, აღმშობილებული რეკტორი ზ. მელიქიშვილი
აუწყებდა განათლების მინისტრს და მოითხოვდა უნივე-
რსიტეტის დატყვევებას მუდმივი პოლიციური ზედამხედველი-
ობისაგან.

ქართული ოპერა სულს დაფაგდა და ოპერის დირექ-
ტორი იძულებული იყო მუხლიმდრეკილი ეთხოვა მოწყალე-
ბა ინგლისის მისიისათვის. დაქვეითებას და დაკნინებას
განივიდა ქართული თეატრი, მსახიობები შიმშილობდნენ.
ლუკა-პურისტების საჭირო გროშები რომ ეშვოდა, ცალ-
ცალკე ჯგუფებამ იკრიბებოდნენ და მდარე რეპერტუარით
შომთაბარებოდნენ საქართველოში. ქართველი მასწავლებ-
ლობა შიმშილობდა. დაწესებულებათა მუშა-მოსასახურები
ხშირად მიმართავდნენ საპროტესტო გაფიცვებს.

ამრიგად, დემოკრატიული ინტელიგენციის იმედები
დაკარგა. ამ იმედგაცრუებას დემოკრატიული ინტელიგენ-
ცია გულისწყრომით აღნიშნავდა თავის პუბლიცისტურ
გამოსვლებში. იგი ნათლად ჩანდა ქართულ ლიტერატუ-
რაში, ხელოვნებაში, რომელიც გულგატეხლობის იერს
ატარებდა და უიმილოდ ჰკოდიდა მწარე სინამდვილზე.
საქართველოს პარლამენტის სხდომებზე, პრესაში თანდა-
თან უფრო თამამად გაისმოდა გულისწყრომის ხმა იმ უგუ-
ნური პოლიტიკის გამო, რასაც მენშევიკური მთავრობა
ანსორცილებდა. დემოკრატიული ინტელიგენციის საპრო-
ტესტო ხმას უერთდებოდა ხმა წვრილბურჯაუზელო და ნა-
ციონალიზატორ პარტიათა ზოგიერთი ფიზიკური წევრისა.
რომლებიც გრძნობდნენ ადრინდელი ილუსიების გაკატ-
რებას და გზებს ეძებდნენ ერის გადარჩენისა. ამ შხრივ მე-
ტად დამახასიათებელია თედო ლლონის, გერონტი ქიქო-
იასა და სხვათა გამოსვლები მენშევიკურ დამფუძნებელ
კრებასა თუ პრესაში.

დემოკრატიული ინტელიგენცია უფრო და უფრო თანაგ-

რანობით ევიდებოდა იმ ბრძოლას, რომელსაც უგუნური
მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბოლშევიკური პარ-
ტიის მეთაურები საქართველოს შრომობელი მასები ეუე-
ოდნენ. მას სწამდა, რომ ქართველი ერის გადარჩენა მხო-
ლოდ მენშევიკური მთავრობის დაშლით, სოციალისტურ
რი რევოლუციის გამორჯვებით შეიძლებოდა.

ამგვარად, ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია სა-
ქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა-
თვის ბრძოლას დამამთავრებელი ეტაპზე იმ ბრძოლის წამ-
ყენის ძალებს ატყუო მთავრობით გამოვიდა. შემოხვევი-
თი არ იყო, რომ 1921 წლის 25 თებერვალს, მენშევიკური
მთავრობისაგან მიტოვებულ თბილისში, რევოლუციური წეს-
რიგის მოთავეობა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ იკის-
რა პაალო იაშვილის მეთაურობით. იგი ხალხისთ მივება
ქალაქში შემოსულ წითელი არმიისა და ჯანყებულ ქართ-
ველი მეუბნისა და გლეხების საბრძოლო რაზმებს. რაც შე-
ეხებო მენშევიკურ მთავრობას, მას ემიგრაციამ გაყვა ფა-
ნატეკურად განწყობილი პარტიული ინტელიგენციის მცირე
ჯგუფი (გამონახალისი იყო ე. თაყაიშვილი და რამდენიმე
კაცი, რომლებიც იძულებული შეიქნენ მენშევიკებს გაკ-
ყლოდნენ მათ მიერ გატაცებული ეროვნული განძის და-
საცავად).

ქართულ დემოკრატიულ ინტელიგენციას საბჭოთა ხე-
ლისუფლების პირველი წლებში ბევრი რამ არ გაეგებოდა
და ერისთვის უცხოდ ეჩვენებოდა. საბჭოთა ხელისუფლების
დიდ წამოწყებებს ეს ინტელიგენცია ერთგვარი მკვირ თვა-
ლითაც უყურებდა, ზოგჯერ ეჩვენებოდა კიდევ, რომ ილა-
ხებოდა ერის ინტერესები, მისი სურვილები. მაგრამ
ყველაფერი ეს დროებითი იყო. ლენინური ერთგული პო-
ლიტიკის განუხრელი განხორციელებით საქართველოს კო-
მუნისტური პარტია ამ სკეპტიციზმს თანდათან ფანტავდა
და დემოკრატიულ ინტელიგენციაში ეროვნული საკითხის
საბოლოო გადაწყვეტის რწმენას ნერგავდა. დამოუკიდებელი
და სოციალისტური საქართველო, რომელიც დემოკრატიზ-
მის უნაღვს ფორმას განასახიერებდა, მათ თვალწინ იზრ-
დებოდა და იფურჩქნებოდა. ისინი რწმუნდებოდნენ, რომ
გზა, რომლითაც საქართველო მიემართებოდა, ეს იყო ერ-
თადერთი ჭეშმარიტი გზა — ქართველი ხალხის ეროვნუ-
ლი დამოუკიდებლობის, უბაღვსი დემოკრატიზმის, ჩაგვ-
რის კოველგავრი სახეობის მოსაძობის, ხალხის მატერიალურ
და სულიერ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისა
და აღორძინების გზა.

ამ რწმენით აღფრთოვანებული ადამიანები ახლოს მი-
ვიდნენ საბჭოურ სინამდვილესთან და ჩადგნენ სოციალის-
ტური საქართველოს აღორძინების საკმარისურში. ამის მაცა-
ლოთია ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, დავით გლი-
ამეილი და მთელი თობა უპარტო, დემოკრატიკ ეროვნულ
მოღვაწეთა, რომლებიც თავიდანვე ჩადგნენ საბჭოთა სა-
ქართველოს სასმარხში და საქართველოს მცენერების,
ლიტერატურის და ხელოვნების მშვენივად დარჩნენ.




ვ. ბერნადინი.

სალამი ვადაეციით ამხანაგებს



გ. მალატოვი
ლენინი ჩვენი მუდროსე



ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი.

დიდი საიუზილეო საჩუქარი

ალექსანდრე გურგენაძე

პიღვე ერთი ახალი სასიხარულო ფაქტით აღინიშნა საბჭოთა საქართველოს საიუზილეო წელი. ჩვენი დედაქალაქის მშრომლებმა საჩუქრად მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი.

ეს უნიკალური ნაგებობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი ეკონომიკის მძლავრ ტექნიკურ პროგრესს, ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომის დიდ უნარსა და მაღალ სულიერ კულტურას.

ახალი საკონცერტო დარბაზი, გარდა იმისა, რომ თბილისის არქიტექტურულ მშენებას წარმოადგენს, უნივერსალური დანიშნულებისაა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს მუსიკალური ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

ადგილმდებარეობის შესატყვისად აგებული ეს შენობა, თავისი მოცულობით — სივრცობრივი სტრუქტურით პეროვნებისა და სიმსუბუქის სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს. მისი ვიტარაჟებიანი სვეტებით შემოფარგლულ წრიული ფორმის შურობასთან გვაკავშირებს მის მიმართ ასიმეტრიულად განლაგებული ფართო კიბე, რომელიც გვირგვინდება მერბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული რვა მეტრიანი

სიმაღლის — ხელოვნების თემაზე შექმნილი სიმბოლური ფიგურით.

ერცვლი ვესტიბულის ორიგინალურად შესრულებული ჭერი მალული ნათურებით ისეთნაირად ნათდება, რომ შუქი დეკორაციულ კედელსაც ეფინება და ჩრდილებითაც მკვეთრად გამოყოფს მომწვანო კვით მოპირკეთებულ ბარელიეფს („მუსიკის დაბადება“).

ექსტერიერსა და ინტერიერში გამოყენებული ყველაზე პროგრესული სამშენებლო მასალები. ვესტიბული დიდი მხატვრული გემოვნებითაა გაფორმებული ელგუკა და მერბ ბერძენიშვილების მიერ. ვესტიბულიდან განიერი კიბეები უკავშირდება ფოიეებს და 2317-ადგილიან მაყურებელთა დარბაზს, რომელიც გარდა იმისა, რომ ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი მხატვრული იერით, სამაგალითოა ტექნიკის თანამედროვე შესაძლებლობათა საუკეთესო გამოყენებითაც. დარბაზი, რომლის სიგრძე 53 მეტრია (სცენის სიღრმის ჩათვლით), სიგანე — 37, ხოლო სიმაღლე კი 14-ს აღმატება, გამოირჩევა უნივერსალური აკუსტიკური ელვრადობით, რაც ფართო შესაძლებლობას იძლევა და-

ფილარმონიის საერთო ხედი




რბაზში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიების შესაბამისი განმარტებისათვის. ამგვარი ფართო აკუსტიკური შესაძლებლობების გარეშე წარმოუდგენელია ეს უნივერსალური დარბაზი, რადგან იქ, სადაც კარგად ისმის, ვთქვათ, ორატორის ხმა, აკუსტიკური რეჟიმის შეუცვლელად შეუძლებელია სათანადოდ ჟღერდეს მუსიკა და, სადაც ნატურა-

ლურად ჟღერს მუსიკალური ნაწარმოები, არადაამაკმაყოფილებელი იქნება კინოფილმის გახმოვანება. ერთ შემთხვევაში ექო საზიანოა, მეორეში — აუცილებელი. ექოს ხელოვნური მიღება კი ხორციელდება ელექტრონიკის საშუალებით. შენობის დარბაზში მოთავსებულია ე. წ. „ექოს ოთახი“. ვიდრე ბგერითი სიხშირის ელექტრორხევები სცე-

ფილარმონიის ვესტიბული





ნის მიკროფონებიდან დარბაზში განლაგებულ ხმაბალა მოლაპარაკე აპარატებამდე მიადევნეს, სათანადოდ „დამუშავდება“ „ექოს სამეფოში“ და აქედან საჭირო რევერბერატორით ისევ მაყურებელთა დარბაზს უბრუნდება.

მიუხედავად ფართო მოცულობისა, დარბაზი საოცრად კომპაქტურია, რის შედეგადაც მაყურებელი ყოველი მხრიდან ახლოს გრძნობს თავს სცენასთან. სცენაზე გამოსული კი — მაყურებელთან, რაც საკონცერტო დარბაზის პროექტის ავტორის ი. ჩხენკელის დიდი დამსახურებაა.


აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებში სხვადასხვა დროს წარმოებულ რევერბერაციას საჭიროებს. ასე მაგალითად, მოცარტის „სერენადას“ სულ სხვაგვარი აკუსტიკური რეჟიმი სჭირდება, ვიდრე მისსავე „რეკვიემს“, რომელიც გათვალისწინებულია სან-სტეფანოს ვითურ სტილის თაღებიანი ტაძრისათვის. ყოველივე ეს მგედველობაში იქნა მიღებული უკვე პროექტის შედგენისას. დიდი ტექნიკური შესაძლებლობებისა და შესანიშნავი არქიტექტურული აკუსტიკის საფუძველზე დარბაზში ერთნაირად კარგად ეღერს ყოველგვარი მუსიკალური ნაწარმოები, ორატორის ხმა, ფილმის ფონოგრამა თუ მაგნიტური ჩანაწერი. საესტრადო, კამერული თუ სხვა მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების დროს გამოყენებულია ელექტროაკუსტიკა, რომლის საშუალებითაც დარბაზი სტერეოფონულად ხმოვანდება, ე. ი. მუსიკალურ ბგერებს ვისმენთ იმ ადგილიდან, სადაც ისინი წარმოიქმნებიან.

საზეიმო სხდომების, სიმპოზიუმებისა და თათბირების ჩატარების შემთხვევაში ორატორის ხმა ისმის სავარძლებში მოთავსებული ხმაბალა მოლაპარაკე აპარატურებიდან. ამ დროს 2317 დიფუზორი ბგერითი ტალღების შესაბამისად არხებს ჰაერის ტალღებს.

ორიგინალურადაა განხორციელებული სცენის მექანიზაცია. იგი დარბაზის შესატყვისად უნივერსალური დანიშნულებისაა. კულისებისა და პორიზონტალური ფარების საშუალებით ავტომატურად ეწყობა აკუსტიკური ნიჟარა. მმართველი პულტის ღილაკებზე თითის დაჭერით პორიზონტალური ფარები კულისებთან ერთად ისევ პირვანდელ მდგომარეობას იკავებენ. ყოველი ახალი ტრანსფორმაციის შედეგად სცენა იცვლის სახეს. საორკესტრო მოედანი, საჭიროებისამებრ, ან სცენის პლანშეტად იქცევა ხოლმე, ან თავის ადგილას დაეშვება, მექანიკურად ამოსული „გუნდის ამწე“ ქოროსთვის მზადდება, ან სასცენო მოედანი საზეიმო კრების ჩასატარებლად ეწყობა და ა. შ. ყოველი ამ ტრანსფორმირების დროს სათანადოდ იცვლება სცენის ფართობიც.

დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე კინო, რადიო და ტელევიზიის ტექნიკით. შესანიშნავადაა გამოყენებული

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი



ფილარმონიის ვესტიბიული

უცხო ენების თარგმნის სინქრონული სისტემაც. სავარძლის სახელურზე მოთავსებული პულტის ჩართვით შესაძლებელი ხდება მყურებლისათვის გასაკვები ენის მოსმენა.

მეორე, ე. წ. „მცირე დარბაზი“ თავისი ტექნოლოგიით არც თუ ისე მცირეა, რადგან 662-ადგილიანია. იგი ძირითადად გათვალისწინებულია სიმფონიური და კამერული ორკესტრების კონცერტების ჩასატარებლად. აქ შესაძლებელია ფართოეკრანიანი და ჩვეულებრივი ფილმების ჩვენება, სიმპოზიუმების და თათბირების ჩატარება და ა. შ.

ორივე დარბაზს გააჩნია კომფორტაბელურად მოწყობილი სამსახიობო ოთახები აბაზანებითა და შხაფებით, თანამედროვე ტექნიკით დამაგრებული სარეჟისორო კავშირითა და სიგნალიზაციით.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით უნებურად გვაგონდება ლენარდო და ვინჩის ცნობილი გამოთქმა: „ხელოვნება იწყება იქ, სადაც მთავრდება ტექნიკა“. საკონცერტო დარბაზიც თავისი ბრწყინვალე ტექნიკური აღჭურვილობით მზადაა ემსახუროს ხელოვნებას, მზადაა მაღალხარისხის ხანი სიმფონიური და კამერული კონცერტების ჩასატარებლად, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების გამოსვლებისათვის, თათბირებისა და სიმპოზიუმების მოწყობისათვის, ფიზიკოსებთან თუ ლირიკოსებთან შეხვედრებისათვის, ფართოეკრანიანი თუ ჩვეულებრივი კინოფილმების დემონსტრირებისათვის და ა. შ.

ეს უნიკალური ნაგებობა უკვე მზადაა და ჩვენც არ შე-

იძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ის არქიტექტორები, მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებსაც დღევანი მიუძღვით ამ გრანდიოზული შენობის დაპროექტებასა და მშენებლობაში. აი ისინიც: საკონცერტო დარბაზის პროექტის ავტორი, არქიტექტორი ი. ჩხენკელი, პროექტის მთავარი ინჟინერი ვ. იაკუბოვი, პროექტის მთავარი კონსტრუქტორი შ. გახაშვილი, მთავარი ტექნოლოგი ე. გალკინი, სამუშაოთა მწარმოებელი რ. ტატიშვილი, კინო, რადიო-ტელევიზიის მემონტაჟე ვ. გრუკოვი, სინქრონული თარგმნისა და რეჟისორული კავშირის სამსახურის უფროსი მ. ჭობალიანი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის დირექტორი ი. ტუსკაძე და ბევრი სხვა, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ღირსეულად იქნენ დაჯილდოებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, რადგან მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობაზე.

საკონცერტო დარბაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებულ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საინიაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველო — „მთავართბილმშენი“.

საპარტევლოს კინემატოგრაფისტთა III ყრილობა

ძარმისუღი კინოს სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. მან საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალებზე არაერთი პრემია და დიპლომი მოიპოვა. თემის მასშტაბებში, ცხოვრებისეული სიმაართის მაღალმატარული ფორმით გადმოცემამ, ხალხური ხასიათების გამოკვეთილობამ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მრავალ ნაწარმოებს სამართლიანად დაუმკვიდრა საპატიო ადგილი საბჭოური ფილმების ოქროს ფონდში. მსახიობთა შესანიშნავ ანსამბლს, საინტერესო რეჟისორულ მიგნებებს ხშირად ალფრთოვანებია როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოელი მაყურებელი და კინოსპეციალისტები.

ქართული კინემატოგრაფი მუდამ ხასიათდებოდა დაუცხრომელი ძიებითა და აქტუალურ პრობლემებთან

გაბედული შექმნებით. გაფართოვდა თემატიკური რეალი, წინა პლანზე წამოვიდა ჩვენი დღეების პეროიკა. უკანასკნელი წლების ქართულ ფილმებში წამყვან ადგილს იჭერს ადამიანურ ურთიერთობათა სამყაროს ასახვა. მოვიდა ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები, გაჩნდა ახალი თემები, პრობლემები. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ კინოს დაბურუნდა მწერლობა, მათ შორის დაზარადა მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები.

ყოველივე ამან კინოხელოვნების წინაშე დააყენა ახალი და მეტად პასუხსაკვირ ამოცანები, რომელიც მოითხოვს მაღალი პოზიციებიდან გადაწყვეტას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა მესამე ყრილობა, რომელიც სსრ კავშირის კომუნისტური

პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის საზეიმო დღეების წინ გაიმართა.

თავიანთ ფორუმზე შეიკრიბნენ ქართული კინოს მოღვაწენი: რეჟისორები, მსახიობები, კინოდოკუმენტალისტები, ოპერატორები, კინოკრიტიკოსები, კინოდრამატურგები. კოლეგების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ცნობილმა კინორეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ჭიკაურელმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. გოგინაიშვილმა წაიკითხა საქართვე-

საქართველოს კინემატოგრაფისტთა III ყრილობის დარბაზი.





საქართველოს კინემატოგრაფისტთა III ყრილობა. ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რეჟისორი ს. გერასიმოვი.

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა მესამე ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება ვააკეთა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. ბალაშვილი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი გ. დვალისვილი, კინომსოფნიო ე. სეფიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინოდრამატურგი კ. გოგოძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინოდოკუმენტალისტი გ. ასათიანი, კინოკრიტიკოსი გ. დოლიძე, კინორეჟისორები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. სანიშვილი და თ. იოსელიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. საღარაძე, დოცენტი გ. ხარატიშვილი და სხვ.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სახელით ყრილობის დელეგატებსა და მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. გერასიმოვი, სომეხი კინორეჟისორი ი. ურუჯიანი, უკრაინელი მწერალი დარეჟისორი ვ. სიჩევსკი და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ხ. ჭიაია.

როგორც მომხსენებელმა, ასევე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ვრცლად ილაპარაკეს იმ მიღწევანაკლოფანებზე, რომელიც ქართველ კინემატოგრაფისტებს გააჩნიათ საანგარიშო პერიოდში.

ყრილობამ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო. რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის მესამე ყრილობის დელეგატებმა და მონაწილეებმა ერთსულთვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგინიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მფორე მდივანი ი. შვეარდნაძე.

შედგა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანად აირჩია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, მდივანად — რესპუბლიკის სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ასათიანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ლ. დოლოზერიძე, და ე. შენგელია.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის საორგანიზაციო მდივანად დამტკიცებულია თ. მიქაძე.



სურათზე, მარცხნიდან მარჯვნივ: IV არქიტექტურული სახელოსნოს არქიტექტორები, ღვანას: ვ. ქურთიშვილი, გ. შერტრეველი, ჯ. გამყრელიძე, თ. სეფიაშვილი, ვ. გელაშვილი, ე. ბახტაძე, გ. ანდელაძე, ლ. ბოკერია, სახელოსნოს ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი შ. ყავლაშვილი, გ. ანდრობე, რ. კიკნაძე, მ. გუგუნიანი, სხედან: ს. კაციაძე და სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი რ. შიოლაშვილი.

თბილისის სახელოსნო

სიმონ კინწურაშვილი

ეს სახელოსნო ექვსიოდე წლის წინ ჩამოყალიბდა. ხუროთმოძღვარ-პროექტანტების შემოქმედებითი ანგარიშისათვის ეს დიდი დრო როდია, მაგრამ სახელოსნომ თავისი მოღვაწეობით იმთავითვე მიიქცია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. აღიარება უსაფუძვლოდ არ მოდის. „თბილისის სახელოსნოს“ № 4 არქიტექტურულ-გეგმარებითი სახელოსნოს აღიარება კი ბევრმა ფაქტორმა განპირობა. სახელოსნოს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დამთავრების დღიდან (1948 წელი), „თბილისის სახელოსნოს“ მუშაობის ჯერ გამოცდილ არქიტექტორებთან — აწ განსვენებულ ალექსანდრე თევზაძესთან, აგრეთვე ლევან ხარაშვილთან და თანაურსელ გივი მელქაძესთან ერთად, ხოლო შემდეგ კი

დამოუკიდებლად, მოკლე ხანში თბილისში აგებს რამდენიმე მნიშვნელოვან ნაგებობას... შოთა ყავლაშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტების ჯგუფი. 1967 წელს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მიერ გამოცხადებულ არქიტექტორთა I საკავშირო დათვალაშობის კონკურსზე თბილისში აგებულმა ბარათაშვილის ხილმა და ქორწინების სახლმა პრემია დაიმსახურა. ეს სასიხარულო ცნობა ყველამ № 4 სახელოსნოს გამარჯვებულად მიიჩნია, თუმცა ისინი სახელოსნოს ჩამოყალიბებამდე იყო დაპროექტებული და აშენებული. უშუალოდ ამ ნაგებობების ავტორები, სახელოსნოს ძირითადი ბირთვი — შოთა ყავლაშვილი, გლადიმერ ქურთიშვილი, რამაზ კიკნაძე და სხვებიც, უფრო ადრე იყვნენ შეკრებილნი. მათი ერთობლივი შემოქმედებითი მუშაო-

ბით იქმნებოდა რიყის რეკონსტრუქციის პროექტი, თბილისის ავტოვაგზალი (მისი მშენებლობა მთავრდება), საცურაო აუზი (მშენებლობა დაწყებულია) და სხვ. ამგვარად სახელოსნოში მნიშვნელოვანი და საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს: საცხოვრებელი სახლები (ტიპობრივი და ექსპერიმენტული), საზოგადოებრივი ნაგებობები, ქალაქის ცალკეული სატრანსპორტო კვანძები თუ ინტერიერები... აღსანიშნავია ბოლო ნამუშევარი — ექსპერიმენტული საცხოვრებელი რაიონი ორთაქალაში 12 ათასი მცხოვრებისათვის. ეს არის ერთიანი არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზმი, სადაც კარგად არის გადაწყვეტილი ცალკეული ნაწილების ფუნქციური დიფერენციაცია და ურთიერთკავშირი, ტრანსპორტის საკითხი, ბუნებათან კავშირი. ბინების გეგმარებაში ყოველი ყოფითი დეტალია გააზრებული. მსატრუვალად მეტად საინტერესოა მალღივი

ბლოგების ფასადების პლასტიკური გადაწყვეტა. განხორციელების შემდეგ ეს უბანი უთუოდ იქნება მახვილი სილუეტის, ცხოველხატული არქიტექტურული კომპლექსი.

ერთ ტონიკაზე დაპირისპირებული იქნება კილოები, რომელთა შორის განსხვავებაა 4-5 ნიშნით⁵.

„მოკო, პური შემოსულა“ თავიდან ბოლომდე ერთ კილოში ფლერს; ამ არქაული წყობის მქონე სიმღერაში მადულაციას, ან გადაზარას არა აქვს ადგილი. ამრიგად, კილო-საფუძელის მხრივ სიმღერას არა აქვს მცირეოდენი განონათების საშუალებაც კი, მტკიცედ არის მოქცეული უკიდურესი (თუ შეიძლება ითქვას, „გადამლაპარაკული“) გინორის არტახებში. და მაინც, როგორც უკვე ვთქვით, სიმღერას საკმაოდ ნათელი ხმოვანება ახასიათებს, ძინორული საწყისი მნიშვნელოვნად არის გადღალაპარაკებული⁶ ეს შემდეგნაირად არის მიღწეული:

1) ჯერ ერთი, პირველი საფეხური, არც სოლისტის პარტიაში და არც გუნდის მისამღერში არ ჩანს, არა მარტო სამომოვანების სახით (ეს მოვცემდა შემცირებული სამხმოვანების პირქუშ ინტონაციას); არამედ მანორული ტერციაც კი არაა გამოყენებული ძლიერ დროზე.

ბ) ბევრა მიზეზით (რაც შეიცავს შემცირებული კვინტის ინტონაციას I და V საფეხურებს შორის) საერთოდ არ აიღება იმ დროს, როცა ჟღერს (გუნდის რეჟერენს პირველი და ბოლო ტაქტები), ან როცა იგულისხმება (შესავ-

⁵ ზოგადი ნიშნების მიხედვით, უფრო მეტი მაჟორული ელემენტი გახსნია ლოკრიულ კილოს, რომელსაც აქვს გადღილებული კვარტა I და IV საფეხურებს შორის, მაგრამ ამ კილოს მქონე ქართულ ხალხურ სიმღერას დღემდე არ შევხვედრებართ.

⁶ ამ მომენტს განსაკუთრებით გვიწინა ხალხი გავუსვავთ. ცნობილია, რომ ქართულ (და განსაკუთრებით ქართლ-კახურ) შრომის სიმღერებში („ორიველა“, „ფრთხილი“, აგრეთვე „მუშურია“), ძალიან ხშირია მინორული სევდიანი განწყობილება. (ამის თაობაზე გვექონდა გამოთქმული ჩვენი მოსაზრებანი შრომაში — „მთიბლური“, რომელიც წაეკითხათ სტ. მეცნიერებათა აკადემი-



3. ი. ჩაიკოვსკი თბილისში (1889 წლის 30 აპრილი)



ლის I-II და V ტაქტები) ტონიკური პარმონიული საყრდენი (ლა). მი-ბემოლი ისეთ ტაქტებსში გამოიწვევა, როცა ბანში VI საფეხურის ბგერა ფა სმოვანება; აქედან აგებული სამხმოვანება კი მაჟორულია და თვით საფეხური შეივადს (სწორედ ამ მი-ბემოლის წყალობით) მიქოლიდიური მაჟორის ნიშნებს.

3) საერთოდ, ამ სიმღერის მთავარი მელოდიური ხმის, შუა ხმის პარტის ახალიათვის მე-4 საფეხურის ინტონაციის ხაზებაა. IV საფეხური ამ სილურაში გველინება ერთ-ერთ მთავარ მელოდიურ საყრდენად, რის გამოც მილთდა აღვატებული (სუბინთანხტული) პარმონის ძლიერ ნიშნებს შეიცავს. ამის წყალობით აცლებულია პირველი საფეხურის სამხმოვანების — შემცივრებული სამხმოვანების პარმონია და გადალახულია ლოკურიული კილის ყველაზე „ნათითრო“ მხარე.

4) მინორული საწყისის საგრძობლად ანულებს სიმღერის მეტივე მეტრი და ჩამოყალიბებული, რამდენადმე მარმისეური რიტმი, აგრეთვე ზომიერი ტემპი. ამრიგად, სიმღერაში „ბიჭო, პური შემოსულა“ მოხდენილად არის მიწოდებული ლოკურიული კილის სპეციფიკური კომპონენტები. პირველ რიგში — შემცივრებული სამხმოვანების პარმონია და შემცივრებული კვიტის ანტონაცია, რის გამოც იგი ჩვეულებრივად, „წორალურად“ ვლერს. აღსანიშნავია, რომ მინორული კილის მეორე სიმღერების მნიშვნელოვან ნაწილი (გამასკლერებაში მკის სიმღერებსა და სათამაშო-საცეკვაოებში) დასაქმდათბე-

ლი განვითარების ხერხების ანლოგიური გამოყენება, რითაც მიწოდებულია გადალახული კილო-ბგერათორკის საფუძველი მოცემული მინორული საწყისა და მიღწეულია მაჟორული ტონუსის ამაღლება.

სიმღერის კილო-საფუძვლის ბუნებაში მოცემული მინორული საწყისების გადალახვა ერთი ტრანკის ფარგლებში მოღელ-ცურვი გადახრების, კილის ცვალებადობის გარეშე. შინაგანი რესურსების გამოყენებით (მელთის ინონაციური საყრდენების გადასაცვლება-მანვერირება, პარმონია, რიტმი, მეტრი, ტემპი-დინამიკა, ინტონირების ხასიათი-ხარისხი) ქართული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი შესანიშნავი მხარეა.

ამ დებულების დასამტკიცებლად შეიძლება მოტანილი იქნას მღერობით მარტივი (და არა მარტო მარტივი) კონსტრუქციის მქონე სიმღერების საკმაოდ დიდი რაოდენობა (განსაკუთრებით შრომისა და საცეკვაო ღანგრებიდან). მაგალითისათვის დასახელებულ დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილ „პერიოსა“, რომელიც განვითარების ხერხების უფალსურისით ძალიან დიდ მსგავსებას აქვდაუნებს ზე-მით განხილულ სიმღერასთან „ბიჭო, პური შემოსულა“.



ამ სიმღერის კილო-საფუძველიც მინორულია, კერძოდ — სი-ბემოლი-ეოლიური, მაგრამ ვლერს უარესად მაჟორულია; ვერ ერთ მომენტში არ შეივარძობა მინორული იტის ნიშანწყალიც ვი. აქვე I საფეხური არც ერთხელ არ არის მოცემული სამხმოვანების სახით. უფრო მეტად, როცა ბანში ვლერს (ან იგულისხმება) ტონიკური ბგერა სი-ბემოლი, მელოდიაში კილის მოხრილობის განმსაზღვრელი ბგერა (რე-ბემოლი) საერთოდ არ ჩანს და, ამრიგად, მინორული ტრეკისი ვლერსის ავლთ ტონია-ზევე გადალახულია მინორული საწყისი. ხოლო VI და VII საფეხურები, რომლებიც მოცემულია სამხმოვანების სახით, მაჟორულია და სიმღერას მაჟორულ იერს მატებენ. ამრიგად, ამ მინორული კილის მქონე სიმღერაში მაჟორული პარმონიაა გაატანებული.

სიმღერის მაჟორულ ვლერსს აძლიერებს აგრეთვე ენერგიული კვარტული ნახტომი მუსლის დასაწყისში (სი-ბემოლი, მი-ბემოლი) და საცეკვაო რიტმი, მხნე, ციცხალი ტემპი.

ამრიგად, „პერიოსა“ და „ბიჭო, პური შემოსულა“ შორის ძალიან დიდი მსგავსება აღმოჩნდა, მათ შორის პარმონიულიც (კადანსი — I-VI-VII-I). ფაქტურად, ორივე სიმღერაში ერთნაირი ხერხით არის მიღწეული მინორული კილოში მაჟორული ლემენტების წინ წამოწვევა, გაძლიერება. ეს მსგავსება მით უფრო საგულისხმოა, რამ ორივე სიმღერა შრომისაა.

„ბიჭო, პური შემოსულა“ ძალიან ახლო დგას სხვა სხვა მინორული მუსიკის, მკის სიმღერებთან. განვიხილოთ ერთი მათგანი — გახური „მკის სიმღერა“ (ჩაწერილი ა. ბენაშვილის მიერ), რომელიც გრ. ჩხვიკავას აღნიშნულ კრებულში უტყუარად „ბიჭო, პური შემოსულა“ წინ არის მოთავსებული.²

შის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 1956 წელს. მაგრამ ეს არ ვრცელდება მკის სიმღერებზე, სადაც ჩვეულებრივ ვპა-რობს ხალხთან მაჟორული სახეები. ერთი-ორი ვაშრალისის ვარდა. მაგ. დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი „პერიოსა“ (იხ. ჩხვიკავას დასახელებული კრებული გვ. 97). სადაც ფრთვილი კილის წყალობით სიმღერის (ისიც სხობოდ იაშ-ყვის მელოდიაში) მინორული იერი დაკარგა.

„ბიჭო, პური შემოსულა“ თავისებურება იმისაა, რომ იგი სრულდება ასეთ მშავარ მინორულ კილოში, მაგრამ მკის სიმღერებისათვის დამახასიათებელი პარმონიული (პირველ რიგში) კანონზომიერებების წყალობით მასში მნიშვნელოვან შერბილუბულია ლოკურიული კილის მეტი ელვარი და სიმღერა თავისი ხასიათით თავისუფლად თავსდება მკის მხნე, ენერგიული სიმღერების გვერდში.

ჩვენი შესწავლილ ნიმუშებში შემჩნეულია, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებში კვარტის გამოჩენული ადგილი უქირკე (შ. ასლიანის თქმით). იგი ხშირად არის სიმღერის დაწყების ბგერა და თვით საფუძელ ეპიზოდული კვარტის ინტონაცია ერთ-ერთი წამყვანი. მაგრამ განსაკუთრებით დიდი კვარტის როლი ფრთვილი კილის მქონე მელოდიებში (კერძოდ, ფშავ-ხევსურულ სიმღერებში და ქართლ-კახეთ ორბუკლებში), სადაც კვარტა გველინება პლავალური პარმონის წინამძღვრად. აღსანიშნავია, რომ ამავე კვარტის და მისგან გამოძინარე პლავალური პარმონის წყალობით ფრთვილი კილის მელოდიებში (განს. ფშავ-ხევსურული), წამყვანი, საყრდენი საფეხურია VI. ამის გამო ფრთვილი მელოდიებში სექტის ინტონაცია წამყვანია, ტონუსის განმასზღვრელია. IV და VI საფეხურები ფრთვილი მელოდიების უმეტეს ნაწილში ხაზგასმულია ინტონაციურად, რიტმულად, ვლამწეურად რილის თამაზობენ მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში. ასეთი ტიპის მელოდიებში V საფეხური მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ამის თაობაზე ჩვენ გქონდა სასულიერო მოხსენება, რომელიც წავიკითხეთ დ. არაყიშვილისადმი მიძღვნილ თბილისის ინსტიტუტის და საქ. მეცნიერებათა აკადემიის ოტორისის ინსტიტუტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე 1959 წელს).

² იხ. გრ. ჩხვიკავას „ქართული ხალხური სიმღერა“, ტ 1, გვ. 102.

³ იხ. დასახ. კრებული გვ. 266.



ბირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „მკის სიმღერა“ ლოკრული კილოს შესამჩნევ ნიშნებს შეიცავს. აქ ერთ-ბაშად ძნელია დაბეჭდითებით ითქვას, რომელია ტრიაკა — ფა-მიქსოლიური, კადანსრებით III საფეხურზე (ე. წ. „ფრიგიული კადანსი“; რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახათ, თავისთავად შეიცავს ლოკრული კილოს ნიშნებს) თუ — ლა (მაშინ კილო იქნება ლოკრული, ნაცნობი კადანსით: I-VI-VII-1).

ჩვენი აზრით, ამ სიმღერის ტონიკად ლა ბევრა უნდა ჩაითვალოს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი:

სახლოური სიმღერების სპეციალურმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქართულ ხალხურ მუსიკაში გავრცელებული კადანსი — I-II-III, რომელიც გვხვდება მიქსოლიდური კილოს მქონე სიმღერებში და „ფრიგიული კადანსი“ სახელით არის ცნობილი, ნაკლებად ახასიათებს კახურ სიმღერებს¹⁰. მაგრამ საკმაოდ პოპულარულია ქართულ (თუმცა აქაც არც ერთ შრომის სიმღერაში არ გვხვდება იგი).

მეორე საკადანსო საქცევი (I-VI-VII-1) ძალიან გავრცელებულია ქართულშიც და კახეთშიც, და, რაც მნიშვნელოვანია, ირივე კუთხის შრომის სიმღერებში და მათთან ახლომდგომ საცეკვაოებში¹¹.

მაგრამ ეს საბუთები მაკარბისი რომც არ აღმოჩნდეს, „მკის სიმღერა“ თავისთავად საკმაოდ შესამჩნევად ატარებს ლოკრული კილოს ნიშნებს. აქ, შესავალით, მართალია, ისე ძლიერად არა, როგორც „ბიჭო, პური შემოსულია“; მაგრამ მაინც სმენით შეიგრძნობა მელოდიის პარნოიული საყრდენი. ტონიკური საფუძველია მე-9 ტაქტი; სადაც „ნარჩენი შთაბეჭდილების გამო“ (შ. ასალაიშვილი), აქვს კიდევ არ გამკრალა საკადანსო უნისონის გვალი, ჩნდება ბევრა მი-ბემოლი, რომელიც ერთაშაშად დიქტდება, როგორც ლოკრული კილოს კინტა. ყველ ზემთხვევაში, აშკარაა ამ სიმღერის საკადანსო საქცევის (რომე-

ლიც ყოველი მუხლის ბოლოში მტკიცედ ქედს) ლოკრული ხასიათი.

არ შეიძლება არ მიეთითოს ამ ორი სიმღერის მსგავსებაზე სხვა მხრივაც, განსაკუთრებით ინტონაციურად (მელოდიამი კვარტის ხაზგასმა და საერთოდ კვარტის დიაპაზონის შემოფარგვა, ფრიგიული კლფერი); აგრეთვე მეტრის იგივეობასა და ტრანსკრიპტულ სიხალღეზე.

ზემოთ ჩამოთვლილი 15 შრომის და საცეკვაო სიმღერადან (რომელთაც ახასიათებთ პარნოიული სველები — I-VI-VII-1), ყურადღებას შევყენებთ ორ ნიმუშზე, რომელთაც ახასიათებთ ფრიგიული კილო და ამ მხრივ გაცილებით ახლოს დგანან სიმღერასთან „ბიჭო, პური შემოსულა“. ესენია „კალოსპირული“ და „სათამაშო“.



ამ სიმღერის ძირითადი კილო უდავოდ არის ლა-ფრიგიული. ეს ხაზგასმულია შესავლის პარტიით (აღსანიშნავია ამ მხედობის განსაკუთრებული ინტონაციური მოშიშვლილობა და სიღამა), რომელიც თავიდან ბოლომდე ფრიგიული კილია, და საგუნდო რეგრების კადანსით. ყურადღებას იქცევს ამ სიმღერის დიდი მსგავსება პარნოიულად და რაღმდამდე ინტონაციური თვალსაზრისითა სიმღერასთან — „ბიჭო, პური შემოსულა“.

„კალოსპირული“ ერთ-ერთ საინტერესო თვისებას შეადგენს ის, რომ აქ VI საფეხური იძებს ტონიკის ძლიერ ნიშნებს და უფრო ფა-მიქსოლიდურის ტონის ქვეწარმადეგის, ვიდრე ლა-ფრიგიულის VI საფეხურის¹². მაგრამ სიმღერის თავსა და ბოლოში ხაზგასმით მიცემული ლა-ტი-ნიკა, უკვეყვლს ხედს, რომ სწორედ ეს უკანასკნელი სიმღერის ძირითადი ტონი.

ამრიგად, ამ სიმღერაში შერწყმულია ერთდროულად ორი მიმდებარე:

- ა) შრომის სიმღერებისათვის დამახასიათებელი პარნოიული საფუძველი — I-VI-VII-1 და
 - ბ) ორი კილოს — ლა-ფრიგიულისა და ფა-მიქსოლიდურის დაპირისპირება ამ უკანასკნელის კადანსირებით („ფრიგიული კადანსი“ და მხრებით) ისევ საყენის ტონალიზმში — ლა-ფრიგიულში (თუმცა ეს უკანასკნელი, გარკვეული აზრით, ატარებს ლა-ლოკრული კილოს ნიშნებს მი-ბემოლის „ნარჩენი შთაბეჭდილების გამო“).
- ფა-მიქსოლიდური აქ მოცემულია არა პოპულარული მოღვაწის სახით, არამედ როგორც დაპირისპირება (ამითაც ხაზგასმულია, რომ იგი ამავე დროს ლა-ფრიგიულის VI საფეხურია) და, გარკვეული აზრით, უნდა ჩაითვალოს დამძიმარე ტონიკად (VI საფეხური დროებით იძებს

10 გამოწვლილია „მუშლი მუხასა“ (გვ. 389) და „გლესამ და გლესამ ნამკალს“ ერთ-ერთი ვარიანტი (გვ. 274). მართალია, გრ. ჩხიკვაძის აღნიშნულ კრებულში კიდევ ვხვდებით რამდენიმე სიმღერას ასეთი კადანსით, მაგრამ ადვილად მტკიცდება, რომ ისინი ნამდვილ კახურ სიმღერებს არ წარმოადგენენ. მგ. აღმზრდელ-აღმკურნალ და „ყოფილი ბატონი“ ორივე ვარიანტი (გვ. 323, 284, 283) — საცეკვაო კილოებია, „გინა სთქვა“ (გვ. 338) — ქართული კილია, „სინადირულ წაოვიდნენ“ (გვ. 340) აშკარად დასაყველი საქართველოს სიმღერის ნიშნებს ატარებს, ვერც „სიმინდის თონა დაღუწყო“ (გვ. 212) ჩაითლება კახურ სინდურად და, ბოლოს, „მყურული“ (გვ. 361) „მუშლი მუხასა“ ვარიანტია.

11 ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილ ასეთი კადანის მქონე 15 ხოლო სიმღერის და საცეკვაო ვარიანტის სიმღერა, რომელიც მარტო გრ. ჩხიკვაძის აღნიშნული კრებულიდან ამოყრიფეთ.

12 იხ. მისივე დასაბულებული კრებული გვ. 254.
13 იხ. მოტანელი მავალით სავსელი პარტია მე-8 ტაქტიდან ბოლომდე აქ ფა-მიქსოლიდური გამტკიცებელია უველაზე გავრცელებული ქართული კადანსით — I-VII-1 (იხ. იქვე მე-10, 12-ე ტაქტები); ე. ი. დამძიმარე ტონიკას აქვს საყოფარო დამძიმარე ლა-ტი-ნიკა, რომელიც აილიერებს ფა-მიქსოლიდურის ტონიკურ ნიშნებს.

ტონიკის ნიშნებს). მსგავს მომენტებს ხშირად ვხვდებით ქართულ ხალხურ მუსიკაში.

„კალოსპირულში“ განსაკუთრებით კარგად ჩანს I სახის რთული კადანისი — I-VI-VII-I ახალ საფეხურზე ასეა. აქ ქართულ ხალხურ მუსიკაში ყველაზე გავრცელებული რთული კადანისი ახალ ხარისხშია წარმოდგენილი — მისი ყოველი საფეხური იქნის დამხმარე ტონიკის ინიშებს. სიმღერის პირველ და მეორე მუსულში ორმაგი ფუნქციის მატარებელია ლა. ერთი მხრივ, იგი ლა-ფრიგიულიის ტონიკა და, მეორე მხრივ, ფა-მიქსოლიდიურის III საფეხურია. შესაბამისად ფა, ერთი მხრივ, ლა-ფრიგიულის VI საფეხურია და, მეორე მხრივ, ფა-მიქსოლიდიურის ტონიკა, ამრიგად, აქ შერწყმულია ორი კილო — ლა-ფრიგიული და ფა-მიქსოლიდიური და, შესაბამისად, გვაქვს ორი სხვადასხვა სახის რთული კადანისი: I-VI-VII-I და I-III-III.

ბოლო შესამე მუსულში მელოდის თავისებური შემობრუნებით დამწყები ახდენს მოდულაციას VII საფეხურის კილოში — სოლ-დორიულში, რომელიც შენარჩუნებულია თითქმის იმავე ტაქტის მანიშლიზე¹⁴ და ასევე შეუმჩვენად გადადის ძირითადი კილოს (ა-ფრიგიულის) ტონიკაში. ე. ი. ახდენს მოდულაციას ა-დორიულიდან ა-ფრიგიულში. ამასთან ამ შემთხვევაში მოდულაცია ხდება მომზადების გარეშე, შეუმჩვენად. არ შეიძლება ამაში არ დაიჯახოთ იგივე ხერხი (იღონდ სხვა ფორმით მოცემული), რაც შეგვხვდა პირველ და მეორე მუსულში. აქაც, ერთი მხრივ, გვაქვს ყველაზე გავრცელებული ქართული მარტივი კადანისი I-VII-I და, მეორე მხრივ, ყოველი საფეხური შეიცავს ამავე დროს ტონიკის საკმაოდ ძლიერ ნიშნებსაც.

ამრიგად, „კალოსპირულში“ გვაქვს ყველაზე გავრცელებული ქართული კადანისების ორმაგი ნიშნულობითი გამოყენების შემთხვევა. რთული (I-VI-VII-I და I-III-III) კადანისი ცალკეული საფეხური ერთდროულად ორმავე ფუნქციის ასრულებს. აქ კარგად ჩანს ქართული კადანისების ბუნება და მის წიაღშივე ჩაახადებული ერთდრობის ტენდენციები, რომელმაც მრავალკილო ხელოვნების საოცარ სიმალეებამდე მიგვიყვანა:

ელახნიშნავია, რომ განვითარების დონის მხრივ, დიდი სხვაობის მიუხედავად, აშკარად შეინიშნება „კალოსპირულში“ მსგავსება-ნათესაობა ზემოთ განხილულ სიმღერებთან¹⁵, „ბიჭო, პური შემოსულა“ და „მკია სიმღერა“. ის განხონსომიერებათ თუ ნიშნები, რომლებიც ამ ორ სიმღერაში მარტივად, ჩანასახის სახით არის დიდებული, „კალოსპირულში“ განვითარების მაღალ საფეხურზეა წარმოდგენილი.

ნაბოლოს, ამ სიმღერაზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ახალსური კილოების მეტად ორიგინალურ გამოყენებაზე. აქ ერთმანეთში გადასართულია ლა-ფრიგიული, ლა-დორიული, და-დორიული, სოლ-დორიული და ფა-მიქსოლიდიური კილოები. და კიდევ ერთი მეტად ორიგინალური ქართული კილო, რომელიც განსაკუთრებული აღნიშვნის დროსაც; ესაა ე. წ. „ფშაური კილო“¹⁶ — ფრიგიული კილო ამაღლებული სექსტი (დიდი სექსტი), რაც წარმოქმნის უაღრესად თავისებურ ინტონაციას VI და II საფეხურებს შორის (მიზანშეწონილი იქნება, „ტრიტონის“ ანალოგურად, მას „ტეტრატონის“ ეწოდოს), რომელიც ზედიზედ ოთხ დიდ სექსუნდას (ე. ი. მიუღ ტონს) შეიცავს და მიუღტონის განმას უახლოვდება.

აი ეს დასკვნითი მუხლები:



მოტანილ მაგალითში მე-9, მე-10 ტაქტებში აშკარად ჩანს „ფშაური კილოს“ ბერძნობი — a, b, c, d, e, fis, g, a. ამ კილოს არსებობა უაღრესად პოპულარულ სამხიან სიმღერაში თავისთავად დიდ ინტერესს იწვევს და მნიშვნელოვანდ ამტკიცებს „ფშაური კილოს“ კაიხციებს, რომელიც დღემდე რაღაც იმეთა ვაგონაკოსად ითვლებოდა (და რის გამოც ზოგჯერ იქნის თვალათაც კი უკუერბა). სამუხარად, ამ ქალიან სანდერესო სიმღერაზე მეტს ვეღარ შევჩვენებთ.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს პროფ. გრ ჩხიკავას მიერ ჩაწერილი „სათამაშო“,¹⁷ რომელიც ქართული საცეკვაო ფანრის სიმღერების ერთ-ერთი საკმაოდ მონათესავე ნიმუშია: სიმღერა კუბულტური ფორმისაა და ყოველი სტროფი თავისებურ განარებას განიცდის. გარდაც ძირითადი მიქსოლიდიური ხარისხი, როგორც ინტონაციური, ასევე რიტმული და განსაკუთრებით კოლორიტული (კილო-საფეხურის შეფერილობის ოსტატური ცვლა) ამ სიმღერის განვითარების მთავარი ფაქტორია.

მომყავს ერთ-ერთი მუხლი:



აშკარაა ამ მონაკვეთის დიდი მსგავსება სიმღერასთან „ბიჭო, პური შემოსულა“. შესამჩნევ ინტონაციური მსგავსების გარდა (კვარტის ინტონაციის ზაზგასმა, დადამკალი ფრიგიული ხაზი მელოდისა, მისი ხასიათი, აგრეთვე მეტრი), დიდ ინტერესს იწვევს საკმაოდ მონათესავე კვეთში (გუნდის რეფრენი, რომელიც აგრეთვე ქალიან გვაგონებს სიმღერას „ბიჭო, პური შემოსულა“¹⁸) მაღალ მხამში ოქტავური გაორმაგება ბანისა, თანვე ნაცნობი ხერხით (I-VI-VII-I). თუ გაავითვალისწინებთ, რომ ამ ორ სიმღერას შორის განვითარების დონის მხრივ დიდი სხვაობაა, მაშინ აღნიშნული საერთო ნიშნები ძალიან საკულისხმოდ მოგვეჩვენება.

15 იხ. გრ. ჩხიკავას დასახელებული კრებული გვ. 43. „ფშაური“. ეს სიმღერა ჩაწერილია მ. შველიას მიერ და კალოა მის მიერვე არის „მოთალოლო“.

16 იხ. მისივე დასახელებული კრებული, გვ. 404.

14 იხ. ქვემოთ დასკვნითი მუხლის მე-5, მე-7 ტაქტები.

ფიქში, მდინარე რიონის ნაპირას, დგას მაღალი კოშკი, რომელშიც წლების მანძილზე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. ამ კოშკის წარსული ფოთის სხვა ძველი ციხესიმაგრეების ისტორიასთან არის დაკავშირებული.

კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ფოთი (ფაზი-სი) მთელი ანტიკური სამყაროსთვის კარგად ცნობილი იყო. აქ გადიოდა მთავარი სავაჭრო გზა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. აქვე ბერძენმა კოლონისტებმა ძლიერი სავაჭრო ფაქტორია გაიჩინეს. ფაზისისა და ძველი კოლხეთის სხვა მოწინავე ზღვისპირა ქალაქების შემუშავებით საქართველოსა და სავაჭრო გზის შორის ფართო სააღმსრებლო და სხვა ურთიერთობანი არსებობდა.

მამინ ფაზისი მნიშვნელოვანი ზღვისპირა სიმაგრეც უნდა ყოფილიყო, ცნობები კი მის შესახებ ისტორიამ მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან შემოგვიანა. ფლავეუს არიანესა (II საუკუნე) და აკათია სქოლასტიკოსის (VI საუკუნე) მიერ ნახანი და აღწერილი ფაზისის სიმაგრეთა ნაშთები ჯერჯერობით აღმოჩენილი და მიკვლეული არ არის.

მოდერული ნივთიერი და წერილობითი საბუთები ფოთში აგებული ციხე-სიმაგრეების შესახებ XVI-XVIII საუკუნეებისაა.

ცნობილია, რომ XVI საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს ფოთი თურქებმა დაიპყრეს. როგორც იტალიელი მისიონერი არჩანჯელო ლამბერტი თავის ნაშრომში (იხ. „სამეგრელოს აღწერა“, 1938 წ., ქართული გამოცემა, გვ. 172) განმარტავს, თურქები გარადობდნენ, რომ ფოთის დაპყრობის შემდეგ ადვილად მიალწვედნენ ქუთაისს, იქიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდნენ და ირანს შეუტევენდნენ, მაგრამ ქუთაისის მახლობლად ქართველთა ჯარმა დაამარცხა ისინი. უკან გამოქცეული თურქები ფოთში გამაგრდნენ და 1578 წელს ციხე ააგეს. ამათთანავე, — დაძმენ ლამბერტი, — ბევრი ხანი არ არის მან აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა“.

ფოთის კოშკი

მამანტი პაჭკორია

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1672 წელს ჩამოვიდა საქართველოში და ფოთიც მოინახულა) ადასტურებს, რომ 1578 წელს თურქების მიერ აგებული ციხე იმერეთურია-სამეგრელოს გაერთიანებულმა ლაშქარმა 1640 წელს იერიშით აიღო და დაანგრია (იხ. ჟან შარდენის „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, რუსული გამოცემა, გვ. 147).

1633-1649 წლებში ლამბერტი სამეგრელოში ცხოვრობდა. ამდენად მისი ცნობა სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს, რასაც სხვა მასალებიც ადასტურებს.

1723 წელს თურქებმა კვლავ დაიპყრეს ფოთი და თანაბრად საოკუპაციო მიზნებისათვის ციხესიმაგრის შენებას შეუდგნენ, რისთვისაც ადგილობრივთა (განსაკუთრებით ტყვეთა) იძულებით შრომაზე იყენებდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „რიონის თვალზედ, სამხრეთის კედესა ზედა არს ფოთის ციხე, რომელიც აღაშენეს“.

1 ოსმალების მიერ ფოთის დაპყრობა სხვა წყაროებში 1579 წლით არის დათარიღებული, იხ. გ. ვანაძე, „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს“, 1971 წ., გვ. 124.

კინოკროკაპანდისტი

ირმზიმონ ვლის წინ ზუგდიდის რაიონის სოფლებში კინო იშვიათობა იყო. მამინ ფილმის დემონსტრირების დროს ეგრანის გიმრები სდუმდნენ, მაგრამ ხალისიანად საუბრობდა კინომექანიკოსი ტერენტე ჯაბას ძე ზუბუღავა. იგი მაყურებლის დამწერლობით უხსნიდა სურათის მიზნებს. ყველგან სიხარულით ელოდნენ ტერენტის გამოჩენას.

კინომექანიკოსად დიდხანს იმუშავა ტერენტე. მის სახელთან ბევრად არის დაკავშირებული ფილმების დემონსტრირების ხარისხის გაუმჯობ-

ებსება. მოწინავე მუშაკი ჯერ კინობაზის, ხოლო შემდეგ ზუგდიდის კინოგანყოფილების უფროსად დააწინაურეს. ერთხანს კინოთეატრ „ოქტომბრის“ დირექტორიც იყო, შემდეგ კინოთეატრ „საქართველოს“ დირექტორად გადამყვანეს.

მეოთხე კალია ტერენტე ზუბუღავა ზუგდიდის საქალაქო კინოქსელის დირექტორად მუშაობს. 1968 წელს მას საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა. შარმან აღებული ვალდებულების შესრულებისათვის

კინოქსელის კოლექტივის საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი დროშა, საპატიო სიგელი და ფულადი პრემია გადაეცა. საიუბილეო წელს კიდევ მეტი ენთუზიაზმით შრომობენ ზუგდიდელი კინომუშაკები. ამაზე შეტყუვლებს ის ხალხმრავლობაც, რომელიც მუდამ იგრნობა რაიონის კინოთეატრებში. მჭიდრო კონტაქტი დამყარდა მაყურებელსა და კინოს შორის, რამაც დიდი როლი შეასრულა ექვსი თვის საწარმო-საფინანსო გეგმის თვის დატარებებით შესრულებაში. ზუგდიდელი კინომუშაკთა შრომითი გამარჯვებები მუდამ სიხარულსა და სიამაყეს გვრიან ტ. ზუბუღავას, რადგან ამ წინამტკბეში მისი წვლილიც უნდა იყოს.

ირილი ბარულავა.

ოსმალთა წელსა ჩივგ. ე. ი. 1725 წელს — მ. პ.), ქართულსა უიგ. ნავსადგურობისათვის და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით“ (იხ. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941 წ. გამომცემი, გვ. 174). ამავე პერიოდში იმერეთის მეფის დავალებით შედგენილ (1737 წელს) დასავლეთ საქართველოს რუკაზე ჩანასტელა ფოთის ციხე, შემდგომ წარწერით: „ფოთის ციხე, ქართულად. ძველად ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიანა. ორი თულიანი ფაშა ზის. 1723 ქეს ააშენეს თათართა. ორმოცდაათი თოფი ძეგს დიდი. ორასი კაცი დგას“ (რუკას გავეცანით პროფესორ შოთა მესხიასთან).

ცნობები ფოთის ციხის შესახებ მოიპოვება რუსი სამხედრო მოხელის კაპიტან იაზიკოვის 1770 წლისა (იხ. ალ. ცაგარლის „გრამოტები და სხვა...“ ტ. I, 1891 წ., გვ. 261) და ქუთაისის მიტროპოლიტის მაქსიმეს 1769 წლის (იხ. ალ. ცაგარლის „გრამოტები და სხვა...“ ტ. II, 1899 წ., გვ. 3) ჩანაწერებშიც. მტრის ზღუდე-სიმაგრეთა შესახებ ზოგიერთი ცნობა მოგვაწოდა თურქთაგან ფოთის განთავისუფლებისათვის XIX საუკუნის დასაწყისში წარმოებული ბრძოლების აქტიურმა მონაწილემ და აღმწერმა ნიკო დლიანმა (იხ. მისი „ქართველთა ცხოვრება“, 1962 წ., გვ. 199-200).

ფოთის ციხესიმაგრეებზე საინტერესო მასალები აღმოჩნდა მოსკოვში, სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში. ინჟინერ მელიქოვის, ტაოზარაფ გორშკოვისა და მხატვარ ჩერნიცოვის ნაშუქვებიდან (რომელთა ფოტოკოპიები ფოთის მუზეუმში ინახება) დოკუმენტურად ჩანს, რომ თურქების ბატონობის უკანასკნელ პერიოდში ფოთში, რიონის სამხრეთი შესართავის მარცხენა მხარეს, ორი სიმაგრეა: დიდი — ზღვისპირიდან დაახლოებით 1,5 ვერსით და მცირე — ზღვის საბაირისთან მდებარე.


ინჟინერ-კაპიტან მელიქოვის მიერ 1811 წელს ადგილზე შესრულებული გეგმა-ნახაზის მიხედვით, ფოთის დიდ ციხეს კვადრატული ფორმა ჰქონია და ყოველ კუთხეში თოხსუთხა კოშკი (ბასტიონი) მდგარა. ციხე-გალავანის შიდა შემოღობიდან ყურადღებას იქცევს იმხანად მართლის საწყობად გამოყენებული ქვის მეჭეთი, საპატიმროდ ქვეული ქვისავე აბანო, თოფის წამლის მაღაზია, საარტილერიო საჭურჭლეთი დაკავებული ციციკაუსი, ოფიცერთა სახლი და სხვა. ციხის გარეთა შემოჭრიდან აღწერილია რამდენიმე სახელისნო-სავაჭრო დუქანი.

1829 წლის მდგომარეობით დიდი ციხესიმაგრის საერთო ხედი და სხვა ნაკვობანი მხატვარ ჩერნიცოვის ნაშუქვებზეა კარგად ჩანს.

ეს ციხე ასახულია ტაოზარაფ გორშკოვის მიერ 1828 წელს ინსტრუმენტურად გადაღებულ რუკაზეც. აქვე არის მეთრე, უფრო პატარა ციხეც. ავტორმა მას „ფოთის დიდი და პატარა სიმაგრეების გეგმა“ უწოდა.

ცნობილი ფრანგი მოგზაური (XIX საუკუნის 30-იან წლებში), არქიტოგ-უნიოგრაფი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეთრე სიმაგრე ზღვისპირაა და მდინარის უშუალო შესართავთან აუცილებელი შეიქნა, რადგანაც ორნახევარი საუკუნის წინათ (XVI საუკ.) აგებული, შემდგომ დაზარალებული, მაგრამ კვლავ აღდგენილ-განახლებული ციხესიმაგრე საკმაოდ მანძილთ იყო და შორეული სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილს იმის გამო, რომ რიონის მიერ შეტანილმა შლამმა ხმელეთთა თანდათან წინ წასწია (იხ. დიუბუას „მოგზაურობანი“, რუს. გამოც., გვ. 96).

ქართველი ხალხი განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა თურქებისგან მიტაცებული მიწა-წყლის განთავისუფლებისათ-



ფოთის კოშკი

ვის. საბოლოოდ, ქართველთა ლაშქარმა, რუსეთის არმიის დახმარებით, ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილი დაიბრუნა.

1828 წელს ფოთი საქართველოს შემოუერთდა. დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. უპირველესად გამოიყოს კომისიები, შედგა პროექტები ნავსადგურის მოწყობის და მისი მიდამოების დასახლებისათვის. ერთ-ერთი კომისიის თავთურმა, პოლკოვნიკმა ივანოვმა ყურადღება მიექცია ფოთის თავდაცვის საკითხსაც. მას უნდოდა დიდი და პატარა სიმაგრეთა რესტავრაცია. ზოგიერთები იფრმის დროს დაზიანებულ და რღვევის პროცესში მყოფ ძველ სიმაგრეთა მონივრად დაშლასა და ახლის აშენებას მოითხოვდნენ. ამასთან დაკავშირებით შედგა ოთხი სხვადასხვა პროექტი (იხ. „კავკასიის არქიტოგრაფიული კომისიის აქტიები“, ტ. XI, გვ. 510-512).

საბოლოოდ, XIX საუკუნის 70-იან წლებში გადაწყდა სიმაგრეთა დაშლა და სამშენებლო მასალად გამოყენება. აღსადგენად დატოვეს მხოლოდ დიდი სიმაგრის შიგარე კოშკი, რომლის რესტავრაცია ამავე საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს მოახდინა ქალაქის თავმა ნიკო ნიკოლაძემ არა ძველი, პირვანდელი სახით, არამედ საფუძვლიანი გადაკეთებითა და გახასპებით.

ადგილობრივ მკვიდრთა შრომით შექმნილი და სათანადოდ მოვლილი ეს კოშკი დღემდე შემორჩა ქალაქს. ფოთელები მას „ნიკოლაძის კოშკს“ უწოდებენ.

ქართული

ფსიქოლოგიური

ღრამის

სათავესთან...

(„ირინეს ბედნიერება“)

ვასილ კიკნაძე

დავით კლდიაშვილი „ირინეს ბედნიერებით“ შემოვიდა ქართულ დრამატურგიაში. პიესამ დაბეჭდვისთანავე მიიქცია მწკრივითა და საზოგადოებრიობის ყურადღება. გამოქვეყნდა რამდენიმე კრიტიკული წერილი, სადაც საკმაოდ ვრცლად იყო განხილული პიესის ავტორიანობა. თითქმის ყველა რეცენზენტმა აღნიშნა, რომ დ. კლდიაშვილის ახალი ნაწარმოები არ გავდა სხვა ქართულ პიესებს. მაგრამ ამასთანავე ბევრს მიაჩნდა, რომ იგი სცენურად სუსტი იყო (ჩანაკაუთრებით მეორე მოქმედება). ი. ნაკაშიძის აზრით, „ირინეა სიმპატიურმა ავტორმა აირჩია ძველი თემა, ძველი განზრახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სასაბეგროდ განახლდა იგი. პირველი მოქმედება მის ნაწარმოებში სიციცხლით სავსეა, მეორე კი სუსტი“. მიუხედავად ამისა, ი. ნაკაშიძე მაღლობას უხდის ავტორს, რადგან დავითი მწერალი იმ მცირე რიგებს ეკუთვნის, „რომელთაც ირი-გინალობის ბეჭედი ატყვიათ, იმ მურცხალთა გუნდსა, რომელნიც, თუმცა მოშორებულს, მაგრამ მაინც მომავალ გა-ზაფხულს გვიკვდიან“.

პიესის სიახლე უფრო ხაზგასმით აღნიშნა ხომლელმა. იგი დ. კლდიაშვილის ტალანტის მთავარ ღირსებად მი-ინიხებს ღრმა დაკვირვების უნარს, რეალიზმს, ჩაფიქრებუ-ლობას, ნაზ იუმორსა და პოეტურ ნაღვლს. „ირინეს ბედ-ნიერებას“ შესანიშნავ დრამატულ პიესას“ უწოდებს, ცალკე განიხილავს სახეებს. მისი აზრით, „აბუქოლა სა-ელომაძის მსგავს ხალხს იცნობს ჩვენი ლიტერატურა. ეს იერემია წარბას და მისი არჩილის ტარიელ მკლავამის ახლო მონათესავეა, მაგრამ აბუქოლს ნიჭიერმა ავტორმა მაინც შთაბერა ახალი სული და ცხოვრების განსხვავებულ გარემოებაში დაეკავია იმის სასიათი და საქციელი“. რაც შეეხება ვიქტორს, იგი „სრულიად ახალი ტაიპია“ ქარ-თულ ლიტერატურაში. „აქამდე ვინც კი შეხებია, — განაგ-რძობს ხომლელი, — ჩვენ თავად-აზნაურთა ცხოვრებას,

ყველანი უარყოფით და რაღაც ერთსელ აჩემებულის ტენ-დენციით ცდილობდნენ... კლდიაშვილმა ღრმად და შეგზე-ნით ჩაიხედა ცხოვრებაში და თავად-აზნაურთა შორის დღეს დაინახა მეტად სიმპატიური და ნათელი არსება, რომელსაც ყოველს სიტყვა-პასუხში და საქმეში ეტყობა გონიერი მოქმედება“².

კარგად შეინიშნა ხომლელმა ვიქტორის სახე. იგი სავეს-ბით იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ვიქტორი სიკეთის და გონიერების სიმბოლოა პიესაში. იგი მართლაც „მეტად სიმპატიური და ნათელი არსებაა“, რომელიც მალალი უნებორივი პრინციპებისავე მოუწოდებს ადამიანებს. მას, როგორც თანამედროვე ინტელიგენტს, ვერ წარმოუდგენია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს ქალის ძალით გათხოვება, სიყვარულის გამო ადა-მინის დასჯა. მიუხედავად მისი წარმომავლობისა, იგი სავესბით თავისუფალია კლასობრივი შესუღვლელობისა-გან. ვიქტორის ზოგადპუმანური იდეალები წინააღმდეგობა-შია მკაცრ სინამდვილესთან. ეს არის კონფლიქტი, რომე-ლიც მეტ-ნაწილად ეხება პიესის ყოველ გმირს. მუცავე ბრძოლაა გაშლილი ძველსა და ახალ მორალურ პრინცი-პებს შორის.

ვიქტორი სავსეა ადამიანური გრძნობებით, ლირიზმით, ინტელიგენტის ტაქტიკითა და კეთილშობილებით. როცა მას ვუყურებთ, გვევრა, რომ მიუხედავად თავად-აზნაურთა სა-ზოგადოების გადაგვარებისა, მაშინ მაინც არის ის ნაწი-ლი, რომელიც თავისი ღირსებით ცდილობს კლასობრივი შესუღვლეობას. ამ ადამიანებს სველთასდმი სამსახური უქმედობათან არის დაკავშირებული, მაგრამ ისინი არ არიან გმირები. მათი ბრძოლა ზნორად უარყოფითი მოვლენების მსოფლიოთ განისაზღვრება. მიუხედავად ამისა, ვიქტორის სახე დიდი შემობრუნება იყო ქართულ დრამატურგიაში. შემობრუნება ახალი, ნათელი და კრისტიანული დაწმენ-დილი სულის ადამიანის საიდებლად. იგი იქცა იმ კე-თილ ადამიანად, რომელსაც სხვისი ბედნიერებისათვის ზრუნვა მიურწევია ცხოვრების მიზნად. სიყვარულსა და ჰარმონიას ესწრაფვის ადამიანთა შორის. მაგრამ იმდენად ღრმა კონფლიქტია იქ, სადაც იგი მთლიანობას ეძებს, რომ მისი მოხსნა აღემატება ვიქტორის შესაძლებლობებს. ცხოვრების მკაცრი სინამდვილე ბატონობს სიყვარულზე, პოეზიაზე, მაცალ ჰუმანურ იდეალებზე. „რას იხმა ძმაო, — კუნებნა ვიქტორი როდამიშვილს, — ჯერ კიდევ მხეც-ბაში გვიდგია ფეხი!“

წარსულის სიმძიმე მაჯალაუნასავით აწვევს ადამიანის სულს, მუდამ ბრძოლაშია კეთილი და ბოროტი, ძველი და ახალი. აც გრძელდება თათბიდან თათბერში.

და აი, დ. კლდიაშვილმაც ერთი ასეთი დაპირისპირების მაგალითი მოგვცა „ირინეს ბედნიერებაში“. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა ვიქტორი და აბუქოლა, აბუქოლა და ირი-ფე, ფილიპე და ირინე, აბუქოლა და როდამიშვილი. სხვა-დასხვა ენაზე, სხვადასხვა გრძნობით ალაპარაკდნენ ისინი. მათ შორის მოციქულივით დგას ვიქტორი, რომელიც ამაოდ ცდილობს ერთი გრძნობითა და აზრით გამსჭვალოს ყვე-ლა. იგი კონფლიქტშია ამ სინამდვილესთან. მაგრამ მისი დაპირისპირება მოკლებულია სიმძაფრს, მოწინააღმდეგე მხარე უფრო გაბედული და შემეტვია. ვიქტორის ისღა დარ-ჩენია, როდამიშვილს სთხოვოს „შეიმპროს თავი, რომ არავის შეამჩნივოს შეწუხება... ისე მოიქცეს, თითქოს ირინე არც კი შეყარებოდეს, ისე შეახედონს ყველას, თითქოს“ მათ შორის „ნამდვილი არაფერი ყოფილიყო“.

1 „მოამბე“, 1898 წ., № 3.

2 აკაკის კრებული, 1899 წ., № 9.

როდამიშვილიც მორჩილებით წამოიძახებს: „გადავიწყდა ყოველივე სიყვარული, აბესალო წააშაობაძე! გადავიწყდა!“

აჲ მთავრდება პირველი მოქმედება.
მაგრამ ვიდრე შემეგულებოდა დაიწყება, ვიდრე ვიქტორსა და როდამიშვილს შექმნილი სიტუაციიდან გამოუვალობის გრძობა დაეფუძლებათ, ისინი დარწმუნებული არიან, რომ შთაგონებით, თხოვნით შეიძლება აბესალოს განსზრახვის დათრგუნვა. პირველ ნაწილში ვიქტორიცა და როდამიშვილიც უფრო აქტიურები არიან.

აბესალოს და ვიქტორის ინტერესების შეჯახება, მათა ხასიათებისა და სურვილების დაპირისპირება, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა მშვენივლად არის გადმოცემული პირველი მოქმედების მეხუთე გამოცვლაში:

აბესალო — „სად წამიხვალ, სად?... სად წამიხვალ?!
ვიქტორი — რას ნადიხარ, ყმაწვილი?! რა ამახავში ხარ?!

აბესალო — გვევდრები, თავი დამანებო!... ხომ მხედავ?...
ვიქტორი — რომ შენს ჭკუაზე არა ხარ...
აბესალო — ჰო, ჰო! სწორედ ჩემს ჭკუაზე არა ვარ!. და თავი დამანებე, თორემ მაწყენიხარბო...
ვიქტორი — ყმაწვილო, თავი როგორ დაგანებო, როცა გედავ, რომ ირინესთან შენს საქვიელს შეუძლია აქ ერთი აყალ-მყალი აკატის... გუბუნები, იმ ქალს ყვა ამოირჩეული სამწირო, ის კაცო თავს გამოიღებს და...
აბესალო — ჯანდაბას მისი თავი და ტანი!.. გიხვავ, ჩემთან მას ნუ ასხუნებ... ირინესთან იმას ხელი აღარ აქვს დღეიდან, არა, ასე მოახსენე...
ვიქტორი — როგორ თუ ხელი აღარ აქვს? რა გინდა ამით თქვა?

აბესალო — ის, რომ ირინეს საკუნოდ გამოეთხოვოს..
ვიქტორი — აბესალო!..
აბესალო — ჰო, აბესალო, აბა ვინა ვარ?
ვიქტორი — შენ რაღვას უცნაურს აპირებ, აბესალო...
აბესალო — რასაც ვაპირებ, კიდევაც აკარსებ...
როგორც ვხედავთ, აბესალო უფრო ენერგიულად იბრძვის თავისი სურვილის აღსასრულებლად, იგი მოქმედებს, ვიქტორი კი მორალს უკითხავს. მართალია, არც ვიქტორია მოკლებული გარკვეულ მოქმედებას, მაგრამ აბესალოს საქმიონს განსაზღვრავს უაღრესად მიწიერი და მძაფრო შინაგანი ძალა, რომელიც ვნებით, გახველებული ადამიანის ენერგიით არის სავსე მამონ, როდესაც ვიქტორის სურვილები მაინც უფრო თვითონი სფეროში რჩება.

და მაინც პიესაში ვიქტორის გამოჩენას სინათლის გამოშუქებას ვაგვ. მისი მსგავსი ადამიანების არსებობა აუცილებელი ხდება შემდეგ საკუნიველში. უფრო მეტად, ვიქტორის მსგავსი ადამიანები ფილოსოფიურ განსჯადობებს იძინენ მეოცე საუკუნის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იქმნება ფილმები, სპექტაკლები, იწერება მოთხრობები, სადაც ადამიანისადმი რწმენის სიმბოლოებადაა გამოყვანილი ვიქტორის მსგავსი კეთილი სულები (თუნდაც როყო ფილმიდან „როყო და მისი ძმები“) მათი არსებობა მოთხოვნილებად იქცევა განსაკუთრებით კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც ექვემდებარება დაყვებით ადამიანის პიროვნება, მისი სიყვით. ძალადობა ბატონობს ყველგან, ადამიანი უძლეული არს აღუდგეს მას. ამგვარ გარემოში აქა-იქ გაივლებენ ხოლმე სახეები, რომლებიც მიაგინებენ ადამიანებს ადამიანური საწყისის არსებობას, მოუხმობენ სინდონს. ამგვარი ადამიანები ხშირად მორალისტებად რჩებიან, მაგრამ ისინი მაინც იმ ჯარისკაცების რიგებში დგანან, რომლებიც აზრსა და სინათლეს აღლვევენ ადამიანის სიცოცხლეს.

გარკვეული შინაგანი კონტაქტი არსებობს ვიქტორსა და აბესალოს შორის. ისინი ერთად არიან, ერთმანეთის გვერ-

დით ცხოვრობენ, აქვთ ნათესაური კავშირიც, მაგრამ სხვადასხვადა მათი ხასიათიცა და მორალური პრინციპიც. პირველი ახალი ადამიანის ხასიათი, მეორე — ძველისა. როგორც ითქვამს, აბესალო „ღირსეული“ მემკვიდრეა დათიკოს („გლახის ნაამბობი“), ირინესა წარბას („პირველი ნაბიჯი“), ტარიელ მკლავაძისა („ჩვენები ქვეყნის რაინდი“) და მის მსგავსა ტიპებისა. იგი სკანდალ ძლიერი ეკონომიკურად, აქვს პრივილეგიური მდგომარეობა. მის ძარღვებში ჩქქვამს გარდასულ წინაპართა სისხლი. იგი არ ახვენებს მას, ვიდრე არ დაიმთხვებს მისი სურვილის მოწინააღმდეგეს (ე. ი. ირინეს).

დამინების, დამორჩილების სი სურვილი აღსავსეა ვნებით, ჭაბუკური გახვლებით. ამიტომ არ იქნებოდა მთლად ზუსტი, თუ აბესალოს სულსწრაფვას — დაიახლოვოს ირინეს. მარტო მისი „კლასობრივი ფინით“ აგუნის. მართალია, იგი ნიშიერია დათიკოსა და მისი მსგავსი „რაინდების“, მაგრამ აბესალოსთან ახალი ნიუანსები ჩნდება. მას გულწრფელად სჯერა, რომ ირინეს მისი კარგი მეუღლე იქნება. ვიქტორმა იცის აბესალოს ხასიათი და ვერ წარმოშედებოდა, თუ იგი ირინეს შეირთავს: „რავა დავიჯივრ, მართლა უნდადეს ირინეს ცოლად მერთვა... ვინაა წამოუარა, სხვა მტეტი არაფერია...“ მაგრამ აბესალო მისს აეკეთებს, რაც ვიქტორსაც არ სჯერა. იგი ხელს თხოვს ირინეს, ირინეს კი როდამიშვილი უყვარს და, როგორც პატიოსან ქალს შეეგონოს, კატეგორიულ უარს ეუბნება აბესალოს.

პიესის დასაწყისშივე ჩანს, რომ ირინეს დანახვამ სულამდე შესძრა აბესალო, ცეცხლივით მივდო ვნება, აქამდე შეუმჩნეველი ირინეს ახლა მისთვის სათაყვანებელი გახდა, აბესალოს აღარ შეუძლია გინიერულად განსჯაოს თავისი ნაბიჯი. ამასთან აბესალო ხომ ტიპიური წარმომადგენელია იმ უღლებიას, რომელმაც ძალადობისა და უსამართლობის მთელი ინსტიტუტი შექმნა.

აბესალოს მორალური გადაგვიარება, როგორც მისი კლასის დეგრადაციის უტყუარი ნიშანი, დიდი სიმართლით გამოიხატა პიესაში.

„აბესალებით არის სავსე ქუთაისის სასტუმროები, — წერდა „კვალი“, — უაბესალოთ არ ჩაივლის არც ერთი სოფლის დღესასწაული, არც ერთი ქორწილი კეთილშობილ ოჯახში“³.

ცხოვრებამ უკარნახა მწერალს აბესალოს ტიპის გამოჩენა პიესაში. მანვე განაპირობა იმ ახალი ნიუანსების წარმოქმნაც, რომელიც აბესალოს ხასხევა გამოვლენილი.

როგორც უკვე ვთქვით, თავის დროზე დიდი კამათი გამოიწვია მეორე მოქმედებამ, უპირველესად კი აბესალოს ხასხევა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნება ხელომურული წერილი⁴. ავტორი უსაყველურებს მწერალს, რომ თითქმის მან ვერ დაიგვა მნატურული მთლიანობის პრინციპი. რეცენზენტები წინააღმდეგობას ხედავენ პირველსა და მეორე აქტის შორის. მისი აზრით, აბესალო გაორებულა. პირველ მოქმედებამ იგი „ეთინაბი მკლავაძეა“, მეორეში კი ცლილის პატარსნებაში გულწრფელად დაექვევული ქმარია.

სხვა რეცენზენტები თითქმის ერთხმად შენიშნავენ, რომ აბესალოს მიერ ირინეს მოკვლა ავტორის მგლომამატლად უყსტიათ. „ირინეს ზედინიერების“ პირველ წარმოდგენას ძალზე კრიტიკულად გამოუმხარა „კვალი“. კრიტიკა ძირითადად პიესას შეეხო. „სწორედ მიჯახსენით, მთელი ის სცენა, როცა აბესალო კლავს ირინეს, ყოველდ წარმოდგენელი და გაუგებარია, იგი რაღაც სცენური

³ „კვალი“, 1902 წ., № 46.
⁴ „ივერია“, 1902 წ., № 233.

უჩერებლობის ნიშნითაა⁵. არც ხომელემა მოიწონა პიესის ფინალი. ექვეტური, მაყურებლისათვის „შოშის ზარის და-საცევი“, „დინამიტისმი“ შეშმა არ შეფერვდა სადა, ცხოვრების სიმართლით ამსახველ პიესას. დაახლოებით ამგვარი შენიშვნები მოსცეს სხვა რეცენზენტებმაც. შენიშ-ნული იქნა ერთი მომენტიც: ი. იმელაშვილი წერდა: „ამე-სალო კალას ირინეს და რდამაშვილი კი არაფერს უწე-ვება. იმ წრეთი, რომელსაც ავტორი გვიხატავს, არც ისაა უკონო წარმოსადგენი, რომ ახალგაზრდა კაცი მივიდეს თუხანში, სადაც მას მოსაკლავს არ დაინდობენ და გა-სიკვებლადს საჯაროდ ქმარს, მე შენ ცოლს არ ვყვარო-ბო...“⁶

აბესალო სალამათაძის ხასიათში მართლაც შეინიშნება გაორება, მაგრამ წინააღმდეგობა, რომელიც აბესალო მო-ექცა, ავტორის მხატვრული შედგომის კი არა, იმ ახალი ნიუანსების აღმოჩენაა, რომელიც თვით ცხოვრებამ წარმოქ-მნა აბესალოს ხასიათში. სულაც არ არის პარადოქსი, როც მას გვივი ალექსრის ირინესადმი. იგი პირველ ხანებში, როცა დაუმეცხრალი ვნებით იყო აღტყინებული, ანგარისა არ უწევდა ირინეს გულგრილობა, მაგრამ როგორც კი აის-რულია წადილი და დამშვიდდა, მიხვდა, რომ ირინე თავისი შინაგანი სამყაროთი მას არ ეკუთვნოდა, მან დაიზორიდა იგი, მაგრამ თავისად ვერ აქცია. ირინე პატიოსანი ქალია და წინიდადაც იცავს თუხანის ტრადიციას, ქმრისადმი პატ-რიარქალური მორჩილების ნორმებს. მაგრამ აბესალოს მიანიც არ ასვენებს როდამიშვილის სახე. ექვეტუ დგება მის მიერ აღადღობით მოპოვებული გამარჯვება. სულ უფრო და უფრო აგინდება როდამიშვილი. თითქოს იგი რაღაც უხი-ლავი, ფარული შინაგანი დინებაა, რომელიც მის სულში იჭრება და მიიღებს მის არსებას აფორიაქებს. აბესალოს უპირატესობა თანდათან არსებობდა. როდამიშვილი მე-დადეს კიდევ მიწასხლში მიხვდა. ეს არის მისი კიდევ ერთი ვაჟკაცური ტესტი, ირინესადმი მისი დიდი სიყვარუ-ლის ახალი დადასტურება. აბესალოს აღარ შეუძლია ასე ცხოვრება და იგი იკონებს ტყუილს, რომლის მსხვეპლიც თავად ხდება.

„აბესალოსათვის ტრაგიკულ სატანჯველად ქცეულა სწო-რედ მის მიერვე შეთხზული ტყუილი... თავად შეშვივრად იცის, რომ ირინე პატიოსანი ქალია, მაგრამ საწინააღმდე-გოში დაარწმუნა თავი“ — და „ტყვეუ თავისივე გამონა-გონისა, სჯერა მისი და ამიტომაც იგი ასე ტყვედმწარე-ბული. მან პირველმა შეთხვა ფანტასტიკური ტყუილი — თითქოს ირინე მას ღალატობს როდამიშვილითან და პირ-ველმავე ირწმუნა ამ ცილისწამების სისწორე, ახლა იგი გამომდგარა და საქვეწოლ ღაპარაკობს ირინეს ღალატის შესახებ. აბესალოს თავისივე გამონაგონი მთელ არსებაში იმდენად გაუკადა, რომ არ შეისინა მოზობილებისა და მე-ღობრების საწინააღმდეგო მოსაზრებანი... „ქუდღე, ვეა-ბეცონდ, ყორიფელი სისახელით ავასოს ჩემზე გული, ღიონდ სხვას, სხვას ნუ ამჩნევინებს, სხვას ნუ ახვედრებს ამაში, თორემ მაგისი სიყვარული სრულიადგ არ შევირ-ვება მე. სრულიადგ არ მეჭირვება... რა ჯანდაბათ მინდა, იღონდ ქვეყანაში ვაგაკაცობის სახელს ნუ მისყრის ტა-ლანში“. ირინეს, როგორც გულწრფელ ქალს, არ შეუძლია დეფაროს თავისი ანტიპათია აბესალოს მიმართ, ხოლო აბესალოს ეს თავისი ვაჟკაცობის შელახვად მიანიჩა⁷.

პიესაში გარკვევით არ ჩანს, რომ აბესალო ირინეს კლავ-

დეს, რეცენზენტები კი თითქმის ერთხმად უკვირებენ ავ-ტორს, რომ თითქოს ირინე კვდება. ხშირად სექტაკლებიც ირინეს სიკვდილით მთავრდებოდა. მაგრამ ამ მწერალი რა შეუათა? არაიშვიათად გახსნარა ფინალის კი მხარე საკამათო, მაგრამ ყოველთვის სრულიად უმართებლოდ ეს-პონდენ თავს მწერლად. ეს რომ ასეა, დავიმოწმებთ პიესის მეცამეტე გამოსვლას...

კონფლიქტი კულმინაციურ წერტილამდგა მისულა. ირინემ იღვიბებს პროტესტის გრძნობა. თავისი ქალური ინტენსივობის მიხედვით და უსამართლობა მებრძოლ ქალად აქცევს მას.

შეურაცხყოფილი ირინე აბესალოს მიმართ წავდა, „თავად ჩაიხედ ვაჟბატონო, შენს გულში, თავად ჩაიხედ! შე მართლა ვუპაკო! მართლა ვუპაკო! თუ არა და მე გალ-რინებდა ვაჟბატონო?“

ვილიამე — ირინე, შეილო!
ეკა — ირინე, დედაშვილობას, ნუ, დედაშვილობას!
ირინე — თუ არა და მთელ ქვეყანაში მოდენ ჩემი უნაშუბობის ამბავი! მე გამიხვედ გარყვნილი და მე კი პა-ტიოსანი! შენ კი პატიოსანი! შენი უწინდურობა ჩემზედ კადმიობტანე, შე გლახა, გლახა.

აბესალო — ხმა ჩაიწყვიტე ახლავე!
ირინე — მე წამებ უპატიოსნებას!! თავათ რა კაცი პრძანდები?

ვიქტორი და ეკა — ირინე, დაწყნარდი, ღვთის გული-სათვის!

ფილიამე — ირინე, თავი შევიკავე, თავი შევიკავე!
ირინე — რაში დაგეტყო პატიოსნება, ვაჟკაცო? ფუი შენს კაცობას! ფუი!

აბესალო — გაჩრდი, თვარა გაგათავებ ამ წამში! ხმა არ ამოიღო!

სამსონ — აბესალო, შეჩერდი, მითქვამს შენთვის!
ირინე — უწინდლო, ჩემს გულში რა უნდა ხაზო მენ? შენსაიტი მიღუწე გგონია ყველა? პატიოსნება თავად რომ არ გაქვს, სხვანი რაფერ დაგანახებს შენი გაფუჭებული-ბა, შენი სიზოლახე?...
აბესალო — ხმა, თორემ მოგაკალი ეს არი... (მიიწვევს ირინესაკენ, ყველანი შეჩერებენ).

ფილიამე — ირინე, კარგი, შეილო!
ირინე — გლახაკი მეტს რას იზამს? მეტი რა შეუძლია?! გლახაკო, გაფუჭებული!

აბესალო — თო!.. შენი სული! შენი სული! შენი სული-ხვევრად იძრობს ხანჯალს და ეძვრება ირინეს. საერთო კი-ვილი, ყმაწვილები მივარდებიან აბესალოს და აქეთ გა-ამორებენ).

სამსონ — რა ქენი, შე უბედურო, რა ქენი ეს? ქალი პოკალი განა?!

ეკა — უიე, უიე! ირინე! შეილო! ირინე!
ფილიამე — მიშველეთ, მიშველეთ! მიმიკლეს შეილო!
ირინე, შეილო, შეილო...

ირინე — ნეტავი მართლა და მოვეკალი... მაინც ამით არ გათავებება... აი, ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ სე-დავ... ხომ ბედნიერი ვარ!.. ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა, ა?..

ფილიამე — შეილო, ნუ გემინია! ნუ გემინია, შენი ჭი-რსნი!

ირინე — შემახვედეთ ამ ვაჟკაცისათვის, შემახვედეთ ერთი... ყოჩაღ! ყოჩაღ! ვიშ, რა ვაჟკაცობა გამოიჩინა, ვიშ! მამა!.. მამა!.. (მტორალი ჩაყვრება გულში მამას).

სიტუაცია იმდენად დრამატულია და ისეთი ატმოსფე-რთა შექმნილი, რომ მელოდრამის მოყვარულ თეატრს

5 „იველი“, 1901 წ., № 39.
6 „იველი“, 1901 წ., № 208.
7 ნ. გულანაძე, „სცენა, რეჟისორი, მსახიობი“, „ლიტერა-ტურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966 წ. გვ. 182.

შეუძლია ირინეს სიკვდილით დაუსვას წერტილი მოქმედებას. ასეც ხდებოდა ხშირად, მაგრამ, როგორც ვხედავთ, აბესალოს ქარქაშიდან ხანჯალი არ ამოუღია. მან „ხახვერად იძრო“ ხანჯალი და გაქაქნა ირინესაკენ, მაგრამ „ყმაწვილები მივარდებიან აბესალოს და აქეთ გააშროსებენ“. სხვები კი აბესალოს ხანჯალს ხელის მოკიდებისთანავე შეაკვივლებენ მოსალოდნელი უბედურების შიშით. არეულობაში არც ფილიპეს დაუნახავს ყოველივე, იგიც შეკვივრებულს: „მიწველით, მიწველითა“, მაგრამ იქვე კითხულობს: „ვილი მომიქვალა?“, „ნეტავი მათალო მოვევლით“ — პასუხობს ირინე. ასე, რომ ირინე ფიციურად არ კვდება, მაგრამ ის, რაც მოხდა, მისთვის სიკვდილს უდრის. მან ისიც იცის, რომ ამით ტანჯავს არ დამთავრდება („მანც ამით არ ვათავდება!“...) მის ცხოვრებას ახალი სვედა და ტკივილი შემემატება...

„ირინეს ბედნიერებაში“ მხატვრულად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახეა ფილიპე ბარბაქაძე. მიმიე ცკონომიზური მდგომარეობა და ძველი წარმოდგენები ოჯახზე, სიყვარულზე, მის სახიათში მაღლეს სიმტკიცეს. მას თავისი გადაწყვეტილება შეუვალად მიანიჩა. იმ ეპოქაში, რომელიც იგი ცხოვრობდა, ჯერ კიდევ ძლიერი იყო პატრიარქალური ურთიერთობის ინიციატა. განსაკუთრებით ეოიკისა და მორალის სფეროში. ქართულ სოფელში დიდხანს, ძალაოა დიდხანს სჯეროდათ, რომ ქალიშვილის გათხოვების ბედს უნდა წვეტიდეს არა სიყვარული, არამედ მშობლების სურვილი. სიყვარული კი ცოლქმრული ურთიერთობის შემდეგ წარმოიშობება, მერე მისდება ერთმანეთთან შეეუება და შეჩვევა. ქალი გახდება ქმრის მორჩილი და შევიდნის დედა, ასე იყო წარსულში. ასე იქნება რომაგალოცე. სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია ფილიპე ბარბაქაძეს. მან იცის, რომ აბესალო ცკონომიზრად მიდარაი ახალგაზრდაა, არც შესახებდათა აკლია და არც ჩამოშავლობით არს მამობით, სხვა რაღა საჭირო ირინეს ბედს, ერებისათვის? — არაფერი. იგი ეიქტორს გაიქვდიული უკუნება: „წარმოიდგინე, შენმა ხალხისშვილმა, აბესალომ იმნათანა პატკიე დაძღვა, რომ ჩემი ღარიბი ოჯახიდან ჩემი შვილის ცოლად შეირთვა ისურვა“.

ფილიპეს წარმოდგენით სიყვარული სამარცხნივც კია გაუთხოვარი ქალიშვილის. ირინეს რეკლიკაზე — აბესალო „არ მიყვარს“, ფილიპე პასუხობს: „ჩუ, აბა, ჩუ...“ მშა არ აბიოლებ... დიან, მანამდე რუ გათხოვნი, სანამ ვინმე არ შევიყვართ ქალიშვილობადა და კისერსეც არ მოეხვიოს ისე მაგრად, რომ ვერსად გაქაქმეს... დიან, შენმა სიყვარულში! არ მიყვარს? არ გიყვარს, მერე შევიყვარდება — მანამდე რომელი თავმოყვარე ქალიშვილი დაიქვემნა შენსა თუ ასე უმორიდებლად სიყვარულზე ტრატობს... ამას მოველოდი შენგან?... ამის იმდე ქმინდა მე შენი?... მარა უსჯელი და უქართუ მე ვარ, ამდენი დაპარაკის ნებას რომ გაძლევ... შენი უკუუთობისათვის ამნაირ ბედნიერებას რაგა დაგპარავინებ? მერე მალდობისასაც კი მტკიცე...“

აქ იგრძნობა ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის ინიციატა. ფილიპე შემოთთებულობა იმის გამო, რომ მისა ქალიშვილი შეყვარებულა: „მოქლა კაცი, გამათავა!... მსხრვის ეიქტორს, — ვილაგამ შევიციდნა... ვილაგამ გაემისულელა!... არ მიყვარსო დაუჯინია! მშ, არ მიყვარსო! მოდი და ილიაგაქვ ქალბატონს! აბა, უნდა ვუყურო, სანამ ირინემ არ შევიყვარებს და სირცხვილს არ მაქმევს?...“ ასე რომ, ფილიპეს გაავება მარტო მდიდარი სახიძის დაკარგვის შიშით არ არის გამოწვეული. იგი ტყვეა ძველი წარმოდგენებისა. ამ მომენტს მარჯვედ იყენებს აბესალო და საწადლესაც აღწევს. ამასთანავე, ფილიპეს ვერ წარმოუდგენია, რომ „ვილაგა ბარბაქაძეს საღამთაძე ხელს“ უსჯიდდეს დამოყრებაზე და უარი უხრბას.

ჯერ კიდევ ცოცხლობს წოდებრივი იერარქიის ძალა. იქნისაში რამდენიმე მტრისთხაა დასატული მერე მოსუესის, აბესალოს მამის — სამსონის სასე. იგი აჭავს პატარა ქსიკურ ჩანახატს, მაგრამ მაინც ჩანს, რომ სამსონი ძველი უბედურს კაცია. ცილობის ოჯახში შენარჩუნის ფეოდალურ-პატრიარქალური წესრიგი. ავით ამასლოცე კი იძულებული ანგარიში გაუწიოს მას, სამსონი აბესალოს უდიერი ქვების მიზნეს ხეუვას ახალ დროში, ცხოვრების ახალ პირობებში. იგი გრძობს მორალურ ფსევდობობა და დგვრადიანს. „ახვარიშის გასწორება“, შვილი, ვაჟაკურად ვიცილით ჩვენს ღრძობის! — უუნებნა იგი აბესალოს. ფრანკის ინტონაციისა იგრძნობა სამსონის უკმაყოფილება ძველი რანდული კითვის მოშლის გამო.

შინგან წინააღმდეგობათა მრავალი პლანია პიესასა, ზოგი ელიდებნა მოქმედ პირთა აშკარა შეჯახებანში, ზოგიც — იორი რეალიკები. არის ქვეტექსტების უღმა და ფარული შინაგანი დინება, რომელიც ხახს უსვამს ხაწარმოების ემოციურ ატმოსფეროს, გმირთა ფსიქოლოგიურ გასწორებას.

„ირინეს ბედნიერება“ მისი დაწერიდან ოთხი წლის შემდეგ დაიგა. 1899 წლის 1 სექტემბრის დ. კლდია-შვილმა დამატული საზოგადოების კომიტეტს წერილი მიმართა: „ეთხოვ კომიტეტს მიიღოს გასარჩევად ჩემი პიესა სასულწოდები „ირინეს ბედნიერება“, საპრომოდო წარმოდგენილ პიესებთან ერთად. თუ იმ მიზეზით, რომ პიესა დატკეცილია და საბრემო პიესებთან არ მიიღება, ვთხოვ კომიტეტს ამ შემთხვევაში იგი ცალკე გააჩინოს, თუ ზომუნდა გამოსადგვია იგი ციციისათვის და შესადგებულა თუ არა მისი მიღება ქართულ თეატრში წარმოსადგენად“.

მიუხედავად მწერლის ამ თხოვნისა, პიესა მხოლოდ 1901 წლის 23 სექტემბრს იქნა წარმოდგენილი ქართული დრამატული დასის მიერ ზ. აბაშიძის რეჟისორით. ავტორმა კი პიესა ზ. ბალახიძეს უძღვნა. პიესამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. პირველი დადგმა მარცხით დამთავრდა.

კრიტიკოსების ნაწული ფიქიობდა, რომ პიესას ერთგვარი წარბატება მაინც ხვდა, ხოლო ავტორმა და მისი თანამოაზრეები დიდად უკმაყოფილონი იყვნენ წარმოდგენისა. აქაც გამოჩნდა ორი ტენდენცია, ორი გზა პიესის შეფასებისა. ნაწილი „ნოეუე ომორჩენი“ ასე აფასებდა პიესის დადგმას: „კლდიაშვილი ქართული სოფლის ცხოვრების ყოფილი სქენების გამოხატვის ოსტატაა. და ეს მან თავისი პიუიითაც დაამტკიცა. შემსრულებელი გატაცებით თამაშობინდეს, მაგრამ ტელონისრობის გამო როლები ჩაუვარდათ“. ხოლო „კრიტიკოსი ლისტაკის“ რეცენზენტმა ავტორს „პირდაპირი ბღღვერი“ აადინა. ნაწილი წერდა: „პიესა ავსტოლოდ დაუჯერებელი სიტუაციებით, პიესა სრული მარყობიდან იხსენს შესანიშნავა შემსრულებლებმა, განსაკუთრებით კარგი იყო კარგარეთელის ქალი“. დადგმას უფრო ახადებდად გამოეხმაურა „ცნობის ფურცელი“.

„დიდი დაბნე...“ — წერდა რეცენზენტი, — საზოგადოება ისე კმაყოფილი არ გამოსულა ქართულ თეატრიდან, როგორც ეკუში, საუცხოვოდ უკეთესადგენს „ირინეს ბედნიერება“, ჩვეულებრივც უკეთესად და თითქმის სრულიად უსჯლოდ თამაშობდა მ. სვიშინიძე აბესალოს როლს. კარგად და გრძობილად თამაშობდა ირინეს როლს ქ. კარგარეთელი. მოსაწონი და დამბახიელი მოთამაშეა ყველა როლებისა მ. გამყარელიძის“.

* „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., № 15, 92.

გაზეთ „ივერიის“ რეცენზენტმა (ია. — ვ. ი. ი. იმედა-
წილი) პიესა გააკრიტიკა, სპექტაკლი კი მიიწონა. „რაც
შეხება წარმოდგენას, ჩვენმა არტისტებმა ამ სასამართლო
ისახელეს თავი, უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ
ამჟამინდის როლის შესრულებელი ბ-ნი სვიმონიძე. ამ არ-
ტისტმა მწვენივრად დაგვიტანა თავადილეობითა და
ხმა-საღმელით გამაყებელი... იმერული თავადილეობა“⁹.

კატეგორიულად უარყო პიესა „კვალმა“. „ჩვენი აზრით,
ეს პიესა სენისთვის არ არის დაწერილი და არც მისი
დადგმა ღირდა სცენაზე... მაყურებელი ვერ ნადვებს ვერც
მოქმედებას, ვერც სიფხვლეს, ვერც ხასიათებს“¹⁰. ასე
უკმადად შეხვდა პიესა და კლდიაშვილის პირველ პიესას.
მაგრამ გაზეთის მომდევნო ნომერში სპექტაკლის წარმა-
ტებულობა ახსნილი იქნა როლებში არასწორი განაწილებითა
და თვით პიესის ხასიათით.

„უმეტესად ჩვენ გვიკვირს, — წერდა „კვალმა“, — გე-
დევანშიველი როგორ დათანხმდა დარბაისელი იმერელი
თავადიშვილის როლის¹¹ ასრულებას, ჩვენ ვაფრთხილებთ
ჩვენ არტისტებს, რომ თავიანთ ხიზს ასე ვუ მოეწყვიან;
თორემ იმასაც დაკარგავენ, რაც აქვთ. ბ-ნი სვიმონიძე სა-
ზოგადოდ ისეთი იყო, როგორც არის. ამ პიესაში მისა
თამაშობის ხალხს თვით პიესის ხალოვანებით ვხსნი“¹².

როგორც ვხედავთ, წარმოდგენის მარცხის ძირითად მი-
ზეშად პიესა მიჩნეულია. წარმოდგენის დასწრებაა ლ. მე-
სხიშვილიც. გაუმხეველია მწერალი და ლაპარაკობა, რომ
პიესას ქუთაისში დადგა. „არ გაუვლია თვეს, — იგო-
ნეს დავითი, — ლაღსაგან დეკემბი მივიღე — პიესა მი-
დისო და ამოდლი. გავგეშურე ქუთაისისაკენ გულაძებრე-
ბული. დილით რეპეტიცია“.

— დაითი, დაჯერე და უყურე. მერე მითხარი თუ რამ
აღდგა — მითხრა ლადიმ.

დაიწყო რეპეტიცია. ყველა ხალისიანადაა. ხალისიანად
იწყება, აბსულდით თამაშობს შლავა დადიანი — ჩინებუ-
ლი; აგერ შემოფაფხურდა ფილიპე — ვასო ბალანჩივა-
ძე, ჩემი ფილიპე, ხამდელი ფილიპე; ჩემს სისარულს
საზღვარი აღარ აქვს; როდამიშვილი — გიორგი თუბუ-
რძე, ირინე — გვეტაძის ქალი. სისარულისაგან გაბრუ-
ბული ვარ“¹³.

არემიერსაც დიდი წარმატება ხვდა. „ეს იყო გრძელი
გამბული სისარულის წუთები“¹⁴, ავტორისათვის დაუწყვარი
წუთები. „ფირფასმა ლადიმ მაჩუქა ის დაუწყვარი წუ-
თები, — წერს დავითი „მემუარებში“; — ერთ კვირაზე
ვასო ბალანჩივაძე მიწვეული იქნა თბილისში და თავისი
თამაშის აღტაცებაში მიიყვანა საზოგადოება და პიესას
სიცოცხლე დაუბრუნა“¹⁴.

მასშალაძე, „ირინეს ბედნიერება“ პირველად ქუთაის-
შიც 1901 წელს დადგმულა. თბილისში კლდიაშვილის პი-
ესასთან ერთად წარმოდგენილი ველსენჯოს კომედია
„პირველი ბუხი“ (გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ), ხო-
ლო ქუთაისში „ვენიციელი ვაჭარი“. ძველი წარმოსადგე-
ნია ერთ საღამოს „ვენიციელი ვაჭარი“ და „ირინეს ბე-
დნიერება“, მაგრამ მასწინ ქართულ თეატრში ფართოდ იყო

დამკვიდრებული ორი სხვადასხვა პიესის ერთ საღამოს
წარმოდგენის პრაქტიკა, მაყურებელიც შეჩვეული იყო სპექ-
ტაკლის გვიან, ზოგჯერ ნაშუადღევს დამთავრებას.

ქუთაისის სპექტაკლს გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“:
„საუცხოვლო ჩაიარა ბიურე პიესამ, — წერდა გაზეთი, —
რომელიც, როგორც ვგამეხონ ადინამ, მზადდებოდა პატე-
ნცემული ავტორის ხელმძღვანელობით... „ირინეს ბედნი-
ერება“ მეტად მოსაწყენია პიესაა, მაგრამ ჩვენმა მსახიო-
ბებმა თავი ისახელეს და მთელი პიესა თავიანთ ბოლო-
ზე ისე ჩაატარეს, რომ აღტაცებაში მოიყავნეს დამსწრე
საზოგადოება, განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა
ბ-ნი ბალანჩივაძემ (ფილიპე), მისი ბუნებრივი თამაში გა-
ვიწყებდათ, რომ თეატრში იჯექი და სცენაზე მსახიობს
უყურებდი... ასე მწყობრად და ასეთის ანსამბლით იშვი-
თად ჩაუვლია წარმოდგენას ჩვენს სცენაზე და მგონია
ავტორის „ხელმძღვანელობას“ უნდა უმალოდეთ, რომ
საზოგადოება ასე ხასიათიანებით წავიდა თეატრიდან“¹⁵.

დავითის „მემუარებში“ მინიშნებაც კი არ არის იმაზე,
რომ სპექტაკლი მისი „ხელმძღვანელობით“ დაიდგა. რე-
პეტიციაც დასწრება და თუნდაც შენიშვნების გამოთქმა
პიესის დადგმის ხელმძღვანელობას არ ნიშნავს. ეს ასეა,
მაგრამ აქნა ხომ ლ. მესხიშვილის ნებათაღვის გარეშე ვერ
დაიბეჭდებოდა? არ არის გამორიცხული, რომ დადგმის
ხელმძღვანელად დავითის გამოცხადება სპექტაკლით ხა-
ლის დინტერესების მიზნით გაკეთდა, მაგრამ ამგვარ რე-
ლამასაც ხომ გარეგნული საბაბი სჭირდებოდა? როგორც
ჩანს, ასეთი საბაბი არსებობდა. ბუნებრივია, რომ დავითი,
ღრამატურის სავალდებულო მონაწილეობას წარმოადგე-
ნაში (შენიშვნებით, რჩევით და ა. შ.) მის „ხელმძღვანე-
ლობას“ ვერ მიიჩნევდა, ლ. მესხიშვილს კი მწერლისად-
მი თავისი დიდი პატივისცემა ამ ფესტშივე გამოხატა.

წარმატებით ჩატარდა ვ. ბალანჩივაძის გასტროლებიც
თბილისში. პრესის ფურცლებიდან ირკვევა, რომ თბილისის
სპექტაკლში მხოლოდ ვ. ბალანჩივაძე მონაწილეობდა
ქუთაისიდან.

თბილისის საზოგადოება ინტერესით შეხვდა ვ. ბალან-
ჩივაძის გამოსვლას. მას ერყული სტატიით გამოეხმაურა
„ცნობის ფურცელი“. წერილში რეცენზენტი (ს. ფორცხა-
ლია) რამდენიმე საგულისხმოდ საკითხს შეეხა. მისი აზ-
რით, ქუთაისში „ირინეს ბედნიერების“ წარმატება აიხს-
ნება არა იმით, რომ „პიესის შინაარსი იმერული ცნებ-
რებიდან იყო“, არამედ წარმოდგენის მაღალი რეჟისო-
რული და აქტორული დონით. ამის საილუსტრაციოდ რე-
ცენზენტი ასახელებს ვ. ბალანჩივაძეს ბარბაქოს როლით.
იგი წერს: „ტახნისამოსით, გრიშით, მიჭრე-მჭობრით, კი-
ლოთ, ხასიათით — საზოგადოების წინ იდგა ტიპიური
იმერული აზნაური, რომლის ერთი სახე იწყვედა ინტერესს,
ეს სახე შეიძლება პირდაპირ დახატული ჰქონდეს და სი-
ამოფებით უქცობით როგორც მეტატრული ნაწარმისა.
მაინც უნდა უწიროთ ბ. ბალანჩივაძეს, ეროდოს იმ მიცერ
გადაშტეტებულობას, რომელიც ხანდახან წამოსდებდა ხოლ-
მე, რომელიც ავებს ფილიპეს ტიპის სინამდვილეს. ფილი-
პე თავის თვად სასაცილო და აქტიური უნდა ყრიდოს,
ცოტაც არის ფარსული ხასიათი მისცეს მას“. და ბოლოს:
„...ზოგჯერ ჩვენს არტისტებს არ უყვართ ბუნებრივად
იყვნენ და ილპარაკონ სცენაზე... წარმოდგენის დროს ყვე-
ლაფერში უნდა იყოს დაცული ბუნებრიობა და სინამდვი-
ლე, უბრალო წერილმანებში კი“¹⁶, ხოლო „ივერია“ ბა-

⁹ „ივერია“, 1901 წ., № 208.

¹⁰ „კვალმა“, 1901 წ., № 39.

¹¹ შ. გედევანიშვილი პიესაში სასწინ საღამოთაის როლს ას-
რულებდა.

¹² „კვალმა“, 1901 წ., № 40.

¹³ და კლდიაშვილი, „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ.,
გვ. 242-243.

¹⁴ იქვე.

¹⁵ „ივერია“, 1901 წ., № 245, გვ. 2. რეცენზენტი ს. კაკაბაძე.

¹⁶ „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1958.

ლანჩივადის ამვე გასტროლის შესახებ აღნიშნავდა, რომ მან შექმნა ისეთი განზოგადებული სახე, როგორც ლუარსაბ თათბირი ან თბილისში მწერლობაში¹⁷.

ვახუტი „დროება“ „ირინეს ბედნიერებას“ ერთ-ერთ საყურადღებო დადგმას ასე შეხვდა: „ცხოვრების ცოდნამ და ნიჭიერმა გამპირიანობამ დააბატონა ეს სურათი ჩვენს აუტორს ანბანად და ასე შეწყვიტოდა. მოსდევველი მხიარულება საწინააღმდეგე კონცერტად დადო წინა სენას (ლაპარაკია მამა-შვილის ცეკვაზე — ვ. კ.) უფრო მაკვირად, უფრო მკვეთრად გამოიხატა მამა-შვილი შორის ტრაგული კვიანის დედა-პური. თეთრი, მხიარული ფერი. შავზე არნიად გარშემოვლებული უფრო განაცხადვლეს, უფრო თავლახანით გადმოგვეცემს ხოლმე „მაგი ფერის მუქარე სანახაობას“.

და მართლაც, განა ერთი დიდი მწუხარე სანახაობა არ არის დ. კლდიაშვილის გმირთა მთელი ეს საყურადღებო?

1913 წელს ნაძალადევის თეატრმა ბ. სვიმონიძის დადგმით წარმოადგინა „ირინეს ბედნიერება“. პრესის აზრით, „წარმოდგენა მშვენიერი იყო. ახიდა ფარდა თუ არა, ხუთმეტრადე ქალი და კაცი სივლის ახსავალი ფილიბი ბარბაქაძის ვიზით კაკლის ქვეშ გაშლილ სუფრას მისხდ-ღოლიდნენ და გაეგარათ მშვენიერი, ნამდვილი იმერული სიმღერა. ამას მოყვა ლეკური, დირა და სალამურზე დაკ-ურა, რამაც დადგმა ასიამოვნა დამსწრე საზოგადოებას. ბ. სვიმონიძე განხორციელებული აბესალო იყო. უმჯობესი აბესალო არ მინახავს. მალიან კარგი იყო ფილიბის როლში სვანთქაძე“.

ქართულ თეატრში „ირინეს ბედნიერება“ მრავალჯერ დაიდგა, პრესაში ზშირად იმეჭდებოდა ხოლმე პატარ-პატარა ინფორმაციები პიესის დადგმის შესახებ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. 1911 წელს პიესა წარმოდგენილია სოფ. ანავაში, „სახალხო ვახუთის“ ცნობით „ირინეს ბედნიერებაში“ კარგნი იყვნენ: ირინე (როსტომიშვილისა), აბესალო (შ. მორიანშვილი), ზოგ ადგილას კარგი იყო, ზოგან კი აჭარბებდა ყვირილით და თვალის ხუტეობით. ვიქტორი (მჭედლიშვილი) უსუსტბდა. სცენის მოყვარები უნდა ცდილობდნენ, რომ გამოთქმა მაინც აკარგი კონოდეთ¹⁸.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე „ირინეს ბედნიერება“ სხვადასხვა დროს დაუდგამთ ვ. აბაშიძეს, ლ. მესხიშვილს, ა. წერეთელს, გ. გუბიას, ვ. შალივაშვილს, გ. გამყრელიძეს, ნ. ვეარაძეს, ა. ფალავას და სხვებს. ამ დადგმებში მეტ-ნაკლებად გამოჩნდა დ. კლდიაშვილის შემოქმედებით ბუნების ამონისას განსაკუთრებული ცდები, განსხვავებულობა კი მეტწილად პრინციპული ხასიათის იყო.

„ირინეს ბედნიერების“ დადგმებიდან გამორჩეული ადგილი უჭირავს ა. ფალავას სპექტაკლებს. მან ორჯერ (1920, 1922 წ. წ.) დადგა იგი.

დ. კლდიაშვილის პიესების დადგამა მაყურებელს აგრძნობინა ქართული თეატრის დიდი პოტენციური შესაძლებლობა. „აჲ, ფალავას სპექტაკლს — იგონებს დ. ანთაძე — ცხოველი გამობზურება პოვა როგორც აუდიტორიისა, ისე პრესისა. ხალხი აღტყვებდა მოჰყავდა ყოფით ფორმებში გადაჭრილ სპექტაკლს... სპექტაკლში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს აქტივობებსა და მოავარი სწორედ ეს იყო. ისინი თამაშობდნენ ბუნებრივად, კოლორიტულად. მეტად საინტერესო, დაუვიწყარი სახე აბესალო სალამაძისა შექმნა აკაკი ვასაძემ. ასვევ დამაჯერებელი იყვნენ მიმა

ლორთქიფანიძე და შალვა ღამბაშიძე. პატარა ეპიზოდურ როლები საერთო ყურადღება მიიპყრო მიმა გელოვანმა. იგი მიერად იმერულ ახსნურს თამაშობდა“¹⁹.

აქტიურული ანამბლის, დიდი და პატარა როლები ერთნაირი ყურადღება და სრულყოფა სამხატვრო თეატრში მიღებული გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. რეჟისორი დიდი ანგარიშს უწყევდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მოღწევებს და, ბუნებრივია, რომ იგი თავის გამოხატულებას პირობობდა ა. ფალავას რეჟისურაშიც. მაგრამ მიუხედავად სამხატვრო თეატრისადმი მისი განსაკუთრებული ერთგულებისა, იგი ძირითადად მანერე ყურდნობდა პიესის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს და ეს კარგად იგრძნობოდა სპექტაკლში.

წარმოდგენის მაღალი შეფასება მისცა პრესამ. „ქართულ თეატრს უნდა მოეხასხას ახალი გზები. რომელსაც „ახალი დრამა“ განსაზღვრავდა. ამისათვის ერთგვარი მუშაობა უკვე წარმოებდა. შეიფიქროდა მინაგანი პირობები თეატრის რეფორმისათვის. ამ მოსაზრდებელი, დიდი თეატრალური ვადატრიალების წინაპირობა იყო რამდენიმე საუკეთესო დადგმა და მათ შორის ა. ფალავას „ირინეს ბედნიერებაც“.

რეჟისორების ნიჭიერების დასამტკიცებლად ყოველთვის არ არის სავალდებულო მრავალი სპექტაკლის წარმატებით დადგმა. ნიჭიერება ერთ ნაწარმოებშიც მკლავდება. ა. ფალავას რეპერტუარიდან ასეთი იყო დ. კლდიაშვილის პიესები. ნ. ვეარაძის თქმით: „აკაკი ფალავამ სრულიად ახალი დეკორაციებით და ახალი მიხასნცენებით დადგა დავით აღმაშენებლის „უბედურება“ და „ირინეს ბედნიერება“, რომელშიაც აკაკი ვასაძე მშვენივრად თამაშობდა აბესალოს. ეს წარმოდგენაც დიდი სიყვარულით იყო დადგმული“.

„საქართველოში“ დაიბეჭდა ორიგინალური წერილი დ. კლდიაშვილის შესახებ მისი პიესების დადგმისთან დაკავშირებით. რეკლამები პარალელურ აულებს და. კლდიაშვილის და თ. დოსტოევსკის შემოქმედებას შორის. მისი აზრით, „დოსტოევსკისათვის თვითონ სინამდვილე იყო ფანტასმა, იგი ამბობდა: „ჩემთვის რა იქნება უფრო ფანტასტიკური და ულოდნელი ვიდრე სინამდვილე?“, „რასაც უმჯავრობდა უწოდებს ფანტასტიკურს და უცნაურს, ჩემთვის იგი უკლავს თვითონ არსებას სინამდვილისას“, „მე მთიერ მიყვარს რეალიზმი ხელოვნებაში, რეალიზმი დასული ფანტასტიკურობამდე“.

იმერეთის სინამდვილე ფანტასმაგორიანა თავისთავად. დ. კლდიაშვილი არაფერს უმატებს მას. იგი ამ მხრივ ნამდვილი რეალისტიკა. დოსტოევსკისა და კლდიაშვილის შორის ის გარჩევა, რომ პირველი რეალიზმი მართლაც დასულია ფანტასტიკურობამდე, მეორისა კი მხოლოდ მიანდვილებით: დოსტოევსკის კითხვის დროს პირდაპირ გადადინხარ ფანტასტიკაში, კლდიაშვილის ათკისების დროს კი საჭიროა განწევა დადგმა, რომ გაითქრო (მხოლოდ გაითქრო) ფანტასტიკურობა. კლდიაშვილი ბოლოს და ბოლოს „დღევანდელბობის ამსახველია. შესაძლოა ეს გარეგნობა აძლეს მის დრამატურულ სცენებს ერთგვარ სიმწუხვეს“.

ა. ფალავას დამსახურებაა ისიც, რომ მან უწყობდა დ. კლდიაშვილის პიესასთან ერთად სხვა ავტორის წარმოდგენის დადგმის ტრადიციას. იგი ერთ სპექტაკლად წარმოადგენდა. მხოლოდ კლდიაშვილის პიესებს. შემდეგ წლებში ქართულ სცენაზე ეს პრაქტიკა მტკიცედ დამკვიდრდა.

¹⁷ „ოცერია“, 1902 წ., № 223.

¹⁸ „სახალხო ვახუთი“, 1911 წ., № 369.

¹⁹ დ. ანთაძე, „დღევანდელი აბლო წარსულისა“, „ხელოვნება“, 1962 წ., გვ. 82.

1949-1950 წწ. სეზონში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შ. ლაშბაშიძემ დადგა კლდიაშვილის სამივე პიესა. გარდა მარჯანიშვილის თეატრისა, პიესები დაიდგა ქუთაისის, ბათუმის, გორის, ჭიათურის, მახარაძის²⁰ და სხვა ქალაქებისა და რაიონების თეატრების სცენაზე. მათ არა იშვიათად წარმოადგენენ ხოლმე სახალხო თეატრებშიც.


თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია ქუთაისისა (რეჟისორი ა. ვასაძე) და გორის თეატრების (რეჟისორი ლ. იოსელიანი) სპექტაკლებმა. ა. ვასაძემ, რომელიც გამოირჩევა დიდი აქტიორული ტექნიკითა და წარმოსახვის მაღალი ოსტატობით, „ირინეს ბედნიერების“ დადგმამ და მის აქტიორულ განსახიერებაში საყურადღებო შედეგს მიაღწია. სპექტაკლში ხაზგასმით იქნა გამოსახული მწვერლის მაღალი კუმიანიში, მისი ფიქრი და ტკივილი ადამიანის ბედზე. წარმოდგენა გააზრებული იქნა ფართო პლასში, მასშტაბურ აქტიორულ მონასმებში ისახებოდა მოქმედი პირობის ცხოვრება. სპექტაკლში იყო არტისტიზმი.

ფსიქოლოგიური ნიუანსებით, პაუზებითა და ძუნწი, თეატრალური ფორმებით: გამოირჩიოდა ლ. იოსელიანის წარმოდგენა. რეჟისორმა სპექტაკლში გვიჩვენა ნაღვლიანი დრამა გარდასული ცხოვრებისა, რომელიც დღევანდელ მარჯობებშია იწყებს ტკივილსა და დაფიქრებას.

სპექტაკლში კარგად არის მომზადებული სცენალური ფონი. უყურებთ წარმოდგენას და გრძობთ, რომ ეს არის რთული სინამდვილე, რომელიც ადამიანთა შორის წარმოშობს კონფლიქტს, ურთიერთობის რღვევას.

რაც უფრო მეტა დრო გადის, მით უფრო იზრდება „ირინეს ბედნიერებისაღმ“ ინტერესი. მისი სცენური ისტორია, ახალი ქართული ფსიქოლოგიური დრამის პრინციპების დამკვიდრების ისტორიაა არის.

²⁰ ვაზ. „ლენინის დროში“ (1952 წ., № 5) აქებდა თ. წეროძის დადგმას. განსაკუთრებით აღნიშნავდა ფილოზოფ როლის შემსრულებელს ე. თალაკვაძეს.



კლავდია დალაკვიშვილი

საიუბილეო სესია ხელოვნების

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობაში 16 აპრილს შედგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი II სამეცნიერო სესია; სესია შესავალი სიტყვით გახსნა ამავე მუზეუმის დირექტორმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ქართული საბჭოთა ხელოვნების მეცნიერული შესწავლის ამოცანებზე. სესიაზე მოსმენილ იქნა მრავალი

მოსხენება: „ქართული საბჭოთა ხელოვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში“ (მომხსენებელი მუზეუმის ასალდი და ქართული საბჭოთა ხელოვნების განყოფილების გამგე ქეთევან ბაგრატიშვილი); „თანამედროველი თონიმანდაკებლობა“ (მუზეუმის უფროსი მეცნიერ მუშაკი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გულნარა ჯაფარიძე); „სიუჟეტურ კომპოზიციითა შერჩევა VI-VII საუკუნეების ცვლ-

სიათა დეკორატიულ სისტემაში“ (მუზეუმის საგანძურის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გურამ აბრამიშვილი); „საირხები აღმოჩენილი ტაძრის ფრაგმენტებისა და საკულტო საგნების ფუნქციონისა და თარიღის განსაზღვრისათვის“ (მუზეუმის მეცნიერ მუშაკი, შინაფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ჯურხა ნადირაძე); „ელექტროფიზიკური მეთოდების გამოყენება დაზოგადი მხატვრობისა და ფრესკული წარწერების ცვლევის საქმეში“ (მუ-

უწყავთილი

სიძლარა

ამ რამდენიმე წლის წინ უეცრად შემოგვესმა გულიდან ამოხეთქილი მისი ხმა: წრფელი და მგზნებარე იყო ჯილდა დათუაშვილის სიმღერა. უმაღლე ვიგრძენით მასთან სიახლოვე, გეხიზლავდა მისი გულახდილობა.

„სიმღერა ჩემთვის ყველაფერია!“ — მზურვალედ იტყოდა ხოლმე იგი და მთელ თავის მთრთოლარე გულისტემას სიმღერაში გადავიშლიდა. მაინც როგორ მღეროდა ჯილდა? მიივლი არსებით, მღელვარედ, ძალზე მუსიკალურად. მღეროდა ურ-

თგულებსა და თავდადებაზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე. მას მგრძობიარე გული ჰქონდა და ვაგაკუტრე შემართება. ასეთი ყოფილა მუდამ — საკლამი, ინსტიტუტში, მეგობრებსა და კოლეგებთან.

სამაგალითო მოწაფის სახელით ჯერ კიდევ თბილისის 88-ე საშუალო სკოლაში სარგებლობდა, ჩვენი დედაქალაქის პიონერულ-კომკავშირული შტაბის თავმჯდომარეობასაც ყოჩაღად უძღვებოდა. მაშინვე თვალმანინ იყო მისი ნიჭი, მუყაითობა, გამჭრიახობა. მუდამ იმარჯვებდა რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციებში. ღირსეულად იღებდა ქების სიგელებსა და წამახალისებელ ჯილდოებს. ოქროს მედლით დაავიჯივინა მოწაფეობის წლები.

1969 წელს კი ჯილდა დათუაშვილმა წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური (კვების ტექნოლოგიის განხილვა) ფაკულტეტი. იგი ჩვეული აქტიურობითა და ენთუზიაზმით მინაწილეობდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ 1967-1969 წლებში ჯილდა დათუაშვილი ქ. თბილისის აღმასკომის XI მოწვევის დეპუტატად იქნა არჩეული.

გატაცებით სწავლობდა, ბავშვობიდანვე ასეთივე გატაცებით მღეროდა. ჯერ მხატვრულ თვითმოქმედებაში, შემდეგ კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო კოლექტივში იხვეწებოდა ჯილდა დათუაშვილის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. თავისთავადობა ახასიათებდა მის ხმას, სიმღერას, საშემსრულებლო მანერას. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სითბოთი და ექსპრესიით მღეროდა ქართველ და საბჭოთა კომპოზიტორთა საესტრადო ნაწარმოებებს, მსოფლიოს ხალხთა სიმღერებს.

პირველი წარმატების სიხარული

ჯილდა დათუაშვილმა მოწაფეობის წლებში განიცადა. არტყვის დაარსებიდან 15 წლისთავის გამო არტეტეში ჩატარდა ნორჩი მომღერლების კონკურსი. აქ ჩვენი პატარა თანამგამომღელ ოქროს მედილითა და „საუკეთესო არტეტელის“ სპეციალური სამყარედ ნიშნით დაჯილდოვდა. მას ეს პრემია უშუალოდ გადასცა ცნობილმა საბჭოთა კომპოზიტორმა დიმიტრი კაბალეცკიმ. იქვე შეუდგენიათ ალბომი ასეთი სათაურით: „ჯილდა და მისი ამხანაგები“.

ჯილდა დათუაშვილმა თავი ისახელა თბილისში გამართულ ახალგაზრდა შემსრულებელთა საქალაქო კონკურსში „გაზაფხული-68“. 1969 წელს კი მას ჩელიაბინსკის ახალგაზრდა შემსრულებელთა პირველ საკავშირო ფესტივალზე პირველი პრემია და ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა.

ჯილდა დათუაშვილი მრავალჯერ ისე იყო დაჯილდოებული საკავშირო და საქართველოს ალექ ცენტრალური კომიტეტებისა და პროფსაბჭოს მადლობებით, ქების სიგელებით, ჯილდოებით. იგი წარგზავნის საფრანგეთის ქალაქ გრენობლში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე.

„სიმღერა ჩემთვის ყველაფერია“, მაგრამ მარტოდენ ესტრადით „ცხოვრება“ არ მსურს“ — ამბობდა ჯილდა და სამაგალითოდ უთავსებდა ერთმანეთს სიმღერასა და მეცნიერებას, საკონცერტო ესტრადას; გასტროლებს, რადიო თუ ტელევიზიულ დასრულებებს, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზე საინჟინერაციო თემაზე მუშაობას.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ნიჭიერი, გულთბილი და თავდაბალი ახალგაზრდა მომღერლის, 25 წლის ჯილდა დათუაშვილის ხანმოკლე ცხოვრება.

მეზეზეზი

ზეუმის რენდგენო-ოპტიკური ლაბორატორიის გამგე ივანე გილოვანი (ფი); „უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქის ძირითადი მშენებლობა“ (მუზეუმის ფოტოალბომის ხანის ხელოვნების განყოფილების გამგე თინათინ ქარუმიძე).

სხვათა დაეწინაურნენ როგორც მუზეუმის თანამშრომლები, ასევე სტუმრები — არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები და სხვ.

60 წლი ჩაჩაბა.

ქართული საგზოთა ხალხური სიმღერები

სოლომონ ლაფაური

ქალზე ბევრი დაიწერა და ითქვა ქართულ ხალხურ სიმღერებზე. სათქმელი, საკვლევი და სასადგენი ჯერ კიდევ ბევრია. ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ნიმუშების მიგნება, ჩაწერა და აქლერება, მისი დაცვა, მოვლა და პატივითა ჩვენს მუსიკალური მოღვაწეების ვალა. მით უფრო, რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორის დღითი დღე მდიდრდება ახალ-ახალი ნაწარმოებებით. დღეს, როდესაც სამჭოთა საქართველო თავისი ახალი ცხოვრების 50 წელს შეიშობს, გვიანდა ზოგადად მაინც მიმოვიხილოთ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე შექმნილი ხალხური სიმღერები, რომლებშიც აირეკლა ჩვენი ხალხის რწმენაში, მის ყოფაცხოვრებაში მომხდარი ძვრები, ისინა მნიშვნელოვანი სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენები.

სამჭოთა პერიოდში შექმნილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში სრულად იშლება ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და შრომის ფერსაცხე სურათები. თვალსაჩინოა ხალხის დამოუკიდებლობა სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენებისადმი, იგი მტყნებარედ უმღერს წარმატებებს მცენიერებაში, ხელოვნებაში. ლიტერატურაში, მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში.

ახალმა ერამ წარმოშვა ახალი ადამიანები. ისინი პროლეტარულბარეოლუციამ იხსნა ჭქსალთაბატორია ბრჭყალებიანაგან. ახალმა ცხოვრებამ წარმოქმნა ახალი ლექსები და სიმღერები, შვა ახალი თემატიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ღრმა იდეური შინაარსი და ოპტიმისტური ტონი. მათთვის უცხოა ის გულწაფობილობა და სევდა, რომელიც რევოლუციამდელ ფოლკლორში სუფევდა. ძველი და ახალი ხალხური სიმღერების შედარებიდან თვალსაჩინოა ჩანს, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა

მშრომელი ადამიანი წარსულში და რას განიცდის იგი რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

მაგალითად, ძველ ქართულ ხალხური სიმღერაში „საწყალი გლეხის შვილი ვარ“, მოთხრობილია:

„საწყალი გლეხის შვილი ვარ,
მჯადიათა გამოზრდილი,
უქუდი, ჩოხის აპარა,
ქალაქნებ დაცვეთილიო.
მე ვე მომასწრებს იმ ღღოსა,
ვიცოდე ცოტა ანაწი,
დაჭად და წიგნი ვიკაობო.
გაშეგო ქვეყნის ამაგაი.“
(ტექსტი ი. ლავითაშვილისა)

მართალია, ამ სიმღერაში ერთი პირობების მწუხარებაა გადმოცემული, მაგრამ იგი გვიჩვენებს საზოგადოდ რევოლუციამდელი მშრომელი გლეხობის მდგომარეობას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ეს სიმღერა კოლექტიურად სრულდებოდა. ასე იგი მეურმის სიმღერაშიც აღზევანს წასული მეურმის მოთქმა-გოდება მიგვანიშნებს ძველი დროის ადამიანის წყნებლზე.

სოლო სხვა სამჭოთა ადამიანების გულებიდან ამოსული ლექსებისა და სიმღერების შინაარსი. ისინი აღსაცხვა პატრიოტიკით, ხასისით და ენთუზიაზმით. ისევე ღაღადარაწერი (კახეთი) ჩაწერილი ხალხური სიმღერა „საკოლმეურნეო სიმღერა ბელოდზე“, რომელიც ერთ ხმაზე სრულდება ფანდურის თანხლებით, უმღერის სოციალისტური სამშობლოაგვავებს. გახარებული გლეხი მზარულად დანახის ფანდურზე:

„... არა სთქვათ, რომ ეს გლეხია,
არ იყის არაფერიც,
უნდა დაიწყო, რაც ვიცო —
ახალია თუ ძველია.
ჭარ მოგახსენებთ ახალზე:
დრო დაღდა ნანატრელია,
გასწორდა გლეხი, არ წააღობს,

გაულოც ადარ აქვს ჭრელია.
მხარში უღვევავთ კოლექცივს,
არის უდალო გრძელია,
გაღმოგვცეს კომპანიები
ყნის გმირულად მკვლია“...

ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში ნათლად მოსჩანს სამჭოთა ქვეყნის მშრომელი გლეხის აღტაცება და სიხარული, რაც ახალმა ბედნიერმა ცხოვრებამ აღძრა.

სამჭოთა ხალხური ფოლკლორი გაიზარდა და დავაჯავდა რევოლუციური ბრძოლის ქარცხცხლში. ამ პერიოდის ქართულ ხალხურ სიმღერებში იჭრება რუსეთიდან შემოტანილი რევოლუციური საბრძოლო სიმღერების მღოღიები. პარალელურად იქმნება სიმღერები თვითმპყრობლობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ გმირებზე. სხვა ქვეყნიდან შემოტანილი სიმღერებიდან აღსანიშნავია: „მუშური მარხლიგა“, „გარშაულა“, „ინტერნაციონალი“, „მებრძოლნო, მწყობრად“ და სხვა. მათი გავრცელება ჩვენში უშთავრესად შეფის მთარობის მიერ კავკასიაში გადმოსახლებულ რევოლუციურად განწყობილ პირთა მასშულებით ხდებოდა.

ამ სიმღერების გავრცელება უშთავრესად და გრეცელებოდა ორიგინალური ქართული ხალხური რევოლუციური სიმღერებიც. მათ შორის აღსანიშნავია 1929 წელს პროფესორ გ. ჩხავიას მიერ ჩაწერილი შემდეგი სიმღერები: „სალი რწმენა“, „დაკარ“, დაკარა“, „ძველთა ძველი“, „მე ვარ არსენა ჯორჯაშვილი“, „მეგობრებო, წინ, წინ გასწითი“. უფრო მოგვიანდელ პერიოდის მიგვეთვინება: „დევეშო ძველი სამეფო“, „ჩადრის სიმღერა“, „ნამგლით, ჩაქურთი“, „სიმღერა შვიდ ნოემბერზე“ და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი სიმღერის მქოლბიანსახსებია ძველი ქართული მუსიკალური ფოლკლორიდან, ასეთ სიმღერებში შევცლილია ოპტიკური ტექსტი. მაგალითად: სიმღერა „მეგობრებო, წინ, წინ გასწითი“ უკლებოთ სალმეო სიმღერის საფუძველზე შექმნილი. არსებობს ამავე სიმღერის მეორე ვარიანტიც. იგი ჩაწერილია ხელოვნების დამახსურებულ მოღვაწის დ. ჭკუასელის მიერ. მასში გამოყენებულია სალმეო სიმღერა „ქართველო, ხელი ნახლს იკარა“.

ამრიგად, სამჭოთა მუსიკალური ფოლკლორის ჩასახვა და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური იდეების გავრცელებას, მისი აკვანი მუშათა

კლასის მოწინავე წარმომადგენლებმა დაარწიეს, რომელსაც მალე თავის ხმა სწორად გულბობაზე შეუერთა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ქართულ საბჭოთა მუსიკალურ ფოლკლორში დიანადა ახალი მუსიკალური სახეები. ხალხმა ლექსების და სიმღერებში უმეტესა ბელადებს, მებრძოლ გმირებს, ჩვენი ცხოვრების ახალ ყოფას, ჩვენი ქვეყანაში განხორციელებულ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ძვრებს. ამიტომაც თანამედროვე მუსიკალური ფოლკლორი, თავის მხრივ, იძლევა თვალსაჩინო მასალას საბჭოთა ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის.

ქართულ საბჭოთა პოეტურ და მუსიკალურ ფოლკლორში ფართოდ აისახა სოციალისტური მშენებლობა ქალაქად და სოფლად. საქართველოში საბჭოთა იდეოლოგიის დამყარებისთანავე პარტია და მთავრობა შეუდგა ზემო აჭქალის ჰიდროელექტროსადგურის — შაქისის მშენებლობას, რომელიც ლინენური „გოგორის“ გვირგვინს მიხედვით განხორციელდა. 1927 წლის 26 ივნისს სადგურმა პირველი სამრეწველო დენი მისცა საქართველოს, რაც დიდი ზემოთ აღინიშნა.

ზაქებისავე დაიძარა ათასობით მშრომელი. ისინი სიმღერებითა და ლექსებით გათხოვნიდნენ აღორთოვანებს. მათ შორის აღსანიშნავია „სიმღერა ზაქებსზე“ და ხალხური ლექსების ციკლი, რომელშიც ზაქების მშენებლობის ეტაპები აისახა.

ქართული ხალხი ოდითგანვე აგებდა საბრძოლო დანიშნულების ციხე-კოშკებს, რადგან ისტორიული აგებობებმა მუდამ მამულის დაცვეს საკენ მოუწოდებდა. გლეხობისთვის მშვიდობიანი შრომა სანატრული იყო. გუთნისდევას გუთანთან ერთად საბრძოლო იარაღი გჭირა ხელში.

საბჭოთა სინამდვილეში ციხე-მარგებმა დააკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, გუთნისდების სვედიანი „თრიალხა“ მხნე და ხალხისანმა ტრაქტორისტის სიმღერამ შესცვალა. მთლიანად შეიცვალა გლეხის დამოკიდებულება შრომისადმი. ამის გამო თანამედროვე ხალხური სიმღერები ასახავენ მშვიდობიან საყოლმურენო შრომას, სოციალისტური სოფლის აჯგუფებას, დიდებთ მოსაგენ სოციალისტური შრომის მოწინავეებს, გმირებს. ხალხი საამური ცხოვრების შექმნისათვის აქებს და აღივსება გენიალურ ბელადებს. ერთი სიტყვით, შექმნა მრავალი შესანიშნავი პოეტური და მუსიკალური სახე. ასეთე-

ბია: „დიდება ბელადს“, „სიმღერები ლენინზე და სტალინზე“, „სიმღერა მზიურ საქართველოზე“, „სტალინური კონსტრუქციის“, „ბალია ჩვენი ქვეყანა“, „სიმღერა სამგორზე“, „შრომის გმირებს“, „სიმღერა ახალ სოფელზე“ და მრავალი სხვა. ხალხი უმღერის ჩვენი ქალაქებს, რომლებმაც ძირფეხიანი შეივსავეს სახე. ასეთებია: სიმღერები თბილისზე, რუსთაველა, ქუთაისზე, სოხუმზე, მახარაძეზე, გალზე, თელავზე, გორზე და სხვა.

ქართულ საბჭოთა მუსიკალურ ფოლკლორში აისახა ხალხის გმირული ბრძოლა დიდ სამამულო ომში. ხალხმა მკვნიბარდ უმღერა საბჭოთა არმიის გმირობას, მებრძოლთა თავგანწირვას. ამ სიმღერებში უკავდაფიფილია გამორჩენილი ქართველი გმირების: ბენდელიანის, პაატაძის მუხაძის, წერეთლის, გენერალ ლესელიძის, გენერალ ჩანჩიბაძის, ლურსმანაშვილის და სხვათა სახელები. ეს სიმღერები დიდი სიყვარულით სარგებლობენ ხალხში.

დიდი სამამულო ომის თემზე შექმნილ უამრავ ხალხურ ლექსსა და სიმღერაში თვალსაჩინოდ ჩანს, რომ პარტიასა და მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ შეადგინა სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ადამიანი. ეს ერთიანობა გადმოცემულია საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის ფოლკლორში.

დიდის მოღვაწეობითა და გულისტკივილით უმღერა ქართველმა ხალხმა სამამულო ომში დაიჭურა შინ-მოსკელელებს, მათ მარადიულ ხსოვნას მიძღვნა „სიმღერა ომში დაღუპულ გმირებსზე“. ამ სიმღერებს ზერკიდვე 1948-50 წლებში ასრულებდა ი. კოპიაშვილის სახელობის თელავის ჰოდაგოიური ინსტიტუტის თოითმომღები ანსამბლი, რომელსაც ამ სტრუქტურების ავტორი ხელმძღვანელობდა.

ქართულ ხალხს ოდითგანვე დაჰყავა მშვიდობისადმი სიყვარული და მშვიდი შრომისადმი ლტოლვა. ჩვენი ერის ამ მრავალსაკუთრან ოცნებას მხოლოდ საბჭოთა სინამდვილემ შეასახა ფრთებით. ამიტომ, რომ ქართველი ხალხი ქმნიდა და ქმნის სიმღერებს, ლექსებს ხალხთა მეგობრობასა და ერთგულებასზე.

ამ სიმღერებისა და ლექსების მრავალი ვარიანტი გაავრცელებულია საპარტიოების თითქმის ყველა კუთხეში და ასრულებენ ჩინურების ან ფანდურის თანხლებით, მღერავენ საუნდო კოლექტივებში. მათში ჩაქსოვილია ქართული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი პო-

ლიფონიური ელემენტები, მელთიფორმა. მშვიდობის თემაზე შექმნილი სიმღერებიდან აღსანიშნავია ა. ხარეზაძის „სიმღერა მშვიდობასზე“, გურისის და აჭარის რაიონებში გავრცელებული სიმღერები „ჩვენი მშვიდობა“ და სხვ.

ვადრებით რა რევოლუციამდებ ქართულ ხალხურ სიმღერებს საბჭოთა მუსიკალური ფოლკლორის ახალ ნიმუშებთან, აშკარად ვხვდებით ცვლილებებს და სიხარულს. აღსანიშნავია, რომ ხალხური სიმღერის თვალსაჩინოებისათვის აღვიზიანებ რევოლუციური, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, სამამულო ომისა და მშვიდობის თემატიკაზე შექმნილ სიმღერათა ახალ ფენებს.

კვლავაც ვითარდება ქალ-ვაგთა სახეობა-საშარი სიმღერები და სატრფიალო ლირიკა. ვანრულ სიმღერებში მიგნებულია მავალი ოემო ინსტიტუტი ინტონაცია, რაც ეძლეო ფოლკლორიდან მომდინარეობს.

საშარი და სატრფიალო ლირიკის მრავალი ნიმუში შეტანილია თვით მოქმედი საკუნდო კოლექტივების რეპერტუარში. ასეთებია: „მონების ქალი. თინათ“, „ნეტკაი, გოგოვ, მე და შენ“, „ქალა, მიდი ჩემთანა“, „თურქი სატრფიალო“, „კოლექტივის მერგოლორი“, „ნუ ვიყარის, ქალაე“, „პარამი და შარია“ და მრავალი სხვა. ამ ვანრის სიმღერები იქმნება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთში, სამეგრელოსა და მთიან რაიონებში.

საბჭოთა თემატიკაზე შექმნილ სიმღერებს ახასიათებთ მხნე, ოპტიმისტური ეფერადობა, სამხტერესო რიტმული და ინტონაციური ყოფა. ამ სიმღერებში განსაკუთრებით განვითარებულია საფანდური და საჩინურთა თანხლება. მეორე მხრივ, ფანდურისა და ჩინურების თანხლებამ ერთგვარად შეზღუდა სიმღერათა მელთიფორმა ნაკადის განვითარება. ამან კი ძირითადად კულტურით ფორმა დაამკვიდრა, რამაც ერთგვაროვნის დალი დაამზინა ამ სიმღერებს. ამვე მიზეზებით უნდა აფხნათ ისიც, რომ თანამედროვე ხალხურ სიმღერებს ზოგჯერ აკლიათ ის მინორმენტურობა და სიღაფრ, რაც დამახასიათებელი იყო ქართული ხალხური მუსიკისათვის. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მუსიკალურ ფოლკლორში ფართოდ გავრცელდნენ ხალხისანი საცკვაო მელთიფორმები: ძველი ხალხური ფერხულების ნაცვლად იქმნება საბჭოთა თემატიკის

ამსახველი ლალი და ტემპერამენტული ცეკვები. ასეთებია: „საკოლმურნეო საცეკვაო“, „ლზინი სოფლად“, „ლელო“, „მხედრული“, „საბალობო“ და მრავალი სხვა. ისინი თანამედროვე ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ. ერთხანს ფიქრობდნენ, რომ „პროფესიული მუსიკის განვითარება მოსპობს ხალხურ შემოქმედებას“. ჩვენ ეს აზრი იმთავითვე არ გავიზიარეთ. სოციალისტურ ქვეყანაში წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციამ, სახალხო განათლების აღმავლობამ ხელი შეუწყო ფართო მასების გააქტიურებას და თვითშემოქმედების განვითარებას. რეალისტური ხელოვნების მასაზრდოვებელი წყარო ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება ხალხური შემოქმედება.

დღევანდელ მუსიკალურ ფოლკლორს ავტორებიც ყავს. ისინი მიმართავენ არა მარტო ხალხურ პოეზიას, არამედ ცნობილი ქართველი პოეტების შემოქმედებასაც. მიუხედავად ამისა, ეს სიმღერები თავიანთი ხასიათით, წყობით ფოლკლორულ ნიმუშებს წარმოადგენენ. მრავალი მათგანი გაგრელებულია მთელს საქართველოში, ხშირად არც კი ვიცით ავტორის ვინაობა.

იქმნება ამ სიმღერების ვარიანტებიც. დროთა ვითარებაში ეს სიმღერები სახეს იცვლიან — იხვეწებიან და ვითარდებიან.

ქართული ფოლკლორისტიკის პროფ. მხეილ ჩიჭოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი მხატვრული შემოქმედების სიუხვით და ღირსებით. ხალხი მარადიულია, ასევე მარადიულია და უკვდავია მისი მხატვრული სიტყვა“.

პროფესორი გრიგოლ მჩივკაძე კი თავის შრომაში „საბჭოთა პერიოდის ქართული ხალხური სიმღერა“ სამართლიანად დასძენს:

„ჩვენი დიდი მრავალნაციონალური სოციალისტური სამშობლოს ერთგული კულტურის ფორმირებაში წამყვან როლს მუდამ თამაშობდა და თამაშობს ხალხური სიმღერა, რომელიც მხატვრულ სახეებში გადმოგვიცნეს თანამედროვე საბჭოთა მკვდრობის გრძნობას, კაცობრიობრიობის კეთილდღეობისათვის, კომუნისტების გამარჯვებისათვის ბრძოლას“.

ქართული საბჭოთა ხალხური მუსიკა დგას სოციალისტური კულტურის ავანგარდში.



საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ახალი შენობა საბურთალოს ქუჩაზე.

ნიგონი სეზანაშვილის ანეკდოტი და პოეზიკალი

ელნიზბარ ბახუტაშვილი

საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატას მალე 50 წელი შეუსრულდება. თავისი ნახევრასაკუნოვანი არსებობის მანძილზე მან დიდი მუშაობა გასწია ქართული წიგნის მოვლა-პატრონობის, მისი მიღების, შენახვის, ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური დამუშავების, რეტროსპექციული ლიტერატურისა და სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული ორგანოების მომზადებისა და გამოცემის, საცნობო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის სფეროში...

წიგნის პალატის დაარსებით ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის განვითარება უმაღლეს საფეხურზე ავიდა. წიგნის პალატა გახდა მთავარი წყარო, საიდანაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამეცნიერო დაწესებულებები და წარმოება-დაწესებულებები იღებენ მათთვის საჭირო საინფორმაციო ცნობებს წიგნების, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა გამოცემების შესახებ.

ბევრი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მეცნიერი თუ ავტორი, სათანადოდ ვერ იყენებს წიგნის პალატას. ეს იმით აიხსნება, რომ წიგნმცოდნეობის ამ უდიდეს კერას, სამეცნიერო და ბიბლიოგრაფიული მუშაობის ასეთ დიდ ცენტრს, ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ, ხოლო პრესა, რადიო, ტელევიზია ვერ უწყობენ მას საჭირო პროპაგანდას.

* * *

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი 1924 წლის 26 აპრილის დადგენილებაში საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის დარსების შესახებ მოკლედ და ამომწურავად არის ჩამოყალიბებული მისი ფუნქციები. ეს დადგენილება ემბარგოვდა ვ. ი. ლენინის 1920 წლის ცნობილ დეკ-

რეტს ბიბლიოგრაფიის შესახებ, რომლის მიხედვითაც წიგნის პალატას დაეცინა „ლიტერატურის აღრიცხვა-დაცვა-ში წყაროების დამყარება და მისი პოპულარიზაცია“. შემდეგ იმ წლებში წიგნის პალატის ამოცანები და ფუნქციები თანდათან განვითარდა. წიგნის პალატა გახდა სახელმწიფო სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის, ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკისა და ცენტრალიზებულ კატალოგის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრით და ქართველოლოგიური ლიტერატურის სახელმწიფო საცავი. სწორედ აქედან გამოიზიდავთ წიგნის პალატის ამოცანები, ფუნქციები და საქმიანობა.

წიგნის პალატა ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც ვეკლებ რესპუბლიკაში გამოცემული ნაბეჭდი პროდუქციის ხელშეწყობილი, სასული სახელმწიფო არქივის შექმნა და მისი დაცვა.

წიგნის პალატა იღებს საქართველოში გამოცემული ყველა სახის ლიტერატურის უფასო სავალდებულო გეზში პლარებს, აწარმოებს მათ კონტროლს, აღრიცხვას, მათ შესახებ სასოფლოეობის ინფორმირებას, ნაბეჭდი პროდუქციის სტატისტიკას და ამ მასალების პუბლიკაციას; აქვე ხდება ცენტრალიზებული კატალოგისა, რესპუბლიკის ბიბლიოთეკების კატალოგისათვის ბარათების შედგენა და სტამბოლი წესით გამოცემა; ბეჭდვითი პროდუქციის ამაზრველი სხვადასხვა სისტემის კატალოგის ორგანიზაცია და მართვება. პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს, სამეცნიერო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს აქ შეუძლიათ მიიღონ ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენჯერ და, სახელდობრ, რომელ წლებში გამოიცა ესა თუ ის წიგნი, ჟურნალი, ესა თუ ის გრაფიკული ნაწარმოები, რუკა, აფიშა... წიგნის პალატა საგამომცემლო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს აწვდის ე. წ. სააინფორმაციო ცნობებს, რომლებშიც აიხატება ავტორის წიგნის მერამდნე გამოცემასთან გავსებს საქმე, რამდენჯერ და რომელ წელს ითარგმნა პროზაული ნაწარმოები, პიესა, ლექსი და ა. შ. დანიტერესებულ ორგანიზაციები და პირები ასეთ ცნობებს მიიღებენ, როგორც სამჭიოთა პერიოდის, ისე რეგულიაციამდელი გამოცემებისა და მათი ავტორების შესახებ.

წიგნის პალატის ერთ-ერთი ამოცანა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული ორგანიზების წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის სტატისტიკის მატრიცების, რეტროსპექტიული ლიტერატურის გამოცემა. მასვე ეკავება „რეცენზიების ბიბლიოგრაფიის“, „სახვითი ხელნაწების ბიბლიოგრაფიის“ და სხვა გამოცემების ბეჭდვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საცავის ფონდები არ არის განკუთვნილი საჯარო სარგებლობისათვის. იგი ეროვნული კულტურის ძეგრფაში ძველების საგანძურია, სადაც შთამომავლობას საუკუნოდ ენახება გონებრივი შრომის მემკვიდრეობა. ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება მარტოდუნ საგანგებო შემთხვევებში და სპეციალური წესებით რეგულირდება.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნის პალატის საცავებში ინახება ქართული კულტურის ძეგრფაში ძველების (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და ა. შ.) ძველი დროიდან დაღობული. აქ შეხვდებით წიგნებს, რომლებიც დაიბეჭდა თბილისსა და მუსკოვში, პარიზსა და რომში, ბერლინში, ლაიფციგში... პალატაში ამჟამად დაცულია 1 300 000-მდე, ხოლო სადუბლეთი ფონდში 38 000-მდე ბეჭდვითი ერთეული, მათ შორის: 92 000-მდე წიგნი, 40 000-მდე ჟურნალი, 1023 238 გაზეთი, 103 000-ზე მეტი გრაფიკული ნაწარმოები.


პალატის თაროებზე აწყვია უნიკალური გამოცემები. აი,

ზოგერთი მათგანი: თბილისში, ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი „სასარგებო“ ვახტანგისეულ წინასიტყვაობით (1709 წ.); „დავითნი“ (1712 წ.); „კურთხევაანი“ (1713 წ.); მუსკოვში გამოცემული „ბიბლია“ ზაქარის წინასიტყვაობით (1743 წ.), ტოლუკანთ დაითას მიერ რომში გამოცემული „საქრისტიანო მიძღვრება“ (1797 წ.), სანტორში დაბეჭდილი „სამოციქულო“ (1815 წ.); საცავის თაროებზე ამჟამად არ არის არცერთი ფურცლებზე დაბეჭდილი, თამარ ზინიატურული გამოცემა — „საქადრებელი ღვთისმშობლისა“, რომელიც მესამეზე რომონოზ ზუბალაშვილს ამოუყვია 1809 წელს. აქვეა „ვეფხისტყაოსნის“ 1900 წლის ჩარკიანისეული გამოცემა, რომელიც მარტოდუნ ჩივის არქივსა და ხლოთების მუსეუმში მოიპოვება. აქვეა რაითაციო 1743 წელს გამოცემული „სანაზარო წიგნი“ (გერმანულ ენაზე), რომელშიც შეტანილია ქართული ხეცური ანბანი.

პალატის საცავში სათუთად ინახება მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების თარგმანები; აგრეთვე გამოჩენილი ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერების და მწერლების წიგნები.

ბევრი მტკივნეული პრობლემა დგას წიგნის პალატისა და მისი კოლექციის წინაშე. მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი მუშაობისა, რაც პალატის მუშაკებმა გასწიეს არქივის შესავსებად, ვერ კიდევ არ გვაქვს ქართულიოთოიური ლიტერატურის ყველა გამოცემა. მარტო 1921-1968 წლებში გამოცემიდან გავალია 2000-ზე მეტი წიგნი, 14 000 გაზეთი, 2320 ჟურნალი. რაც შეეხება რეგულირებადელი პერიოდის ლიტერატურას, საცავში არ მოკავებოვება დაახლოებით მათი ნახევარი. ეს კი ნიშნავს, რომ მოზავალ თაობას ვერ შეეუნახავთ ბევრ წიგნს, ჟურნალს, გაზეთს; ამჟამად კი მათს შესახებ საჭირო ცნობებს ვერ მიიღებენ სამეცნიერო და სასოფლოეობრივი ორგანიზაციები. შექმნილი

კონდაკი, თბილისი, 1910, დამწვევებული ვახტანგის პორტრეტით.





1870 წელს გამოცემული სახარების ვარკეანი.

მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ 1924 წლამდე (წიგნის პალატის დაარსებამდე) არ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც დაიცავდა წიგნად ფონდს, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ბეჭდვითი პროდუქციის შექმნა-დაცვას, რის შედეგადაც სტიქიური უბედურებისა და მოუვლელობის გამო ბევრი ძვირფასი თვლილი განადგურდა, ან დაზიანდა. ეს საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩაიდა 1937 წლის შემდეგ, როცა შემდგომ ორგანიზების დადასტურებით წიგნის პალატა შეუდგა მოსახლეობის იდეალურატორის შექმნას, რომლებიც მის ფონდში არ მოიპოვებოდა. მარტო 1938-1946 წლებში პალატამ შეიძინა 5584 სახელწოდების წიგნი, 16 230 პერიოდული გამოცემა და სხვა შემქმნელი წიგნებიდან ბევრი ძვირფასია, ხოლო ზოგი — უნიკალური. ამგანად მხოლოდ და მხოლოდ წიგნის პალატის არქივშია დაცული 1629-1920 წლებში გამოცემული 266 დასახელების წიგნი. მათათვლად: „მეფე ერეკლეს სახსოვარი“ („ცნობის ფურცლის“ გამოცემა, თბილისი, 1898 წ.); „კარამანიანი“, კარი მხუთე და მეექვსე (მორე გამომცემი, 1902 წ.), „ოთხი მსა“, მორე გამოცემა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კავშირისა (ცენკე, სტამბა „ბრძოლა“, 1903 წ.). ლ. კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა (კავკასიის კავშირის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამომცემი, 1903 წ.), კლინამედ ჩერქეზშიშვილი „სამოცი წლის არმიები“ (თბილისი, 1899 წ.), ვ. თაყაიშვილი — „არქეოლოგიური ექსპედიციის აღწერა-სვანეთში“ (1937 წ. პარიზი), მისივე — „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართუ-

ლი ხელნაწერები და ოცი საიდუმლო ქართული დამწერლობის ნიმუში“ (პარიზი, 1933 წ.).

შექმნილია ჟურნალების — „ციცკრის“ (1852-1875) წლების), „გუთნის დღის“ (1873-1876 წლების), „ნაკადული“, „ჯეჯილის“, „განათლების“ ნომრები; აგრეთვე 1903-1905 წლებში პარიზში გამოცემული გაზეთი „საქართველო“, 1866-1885 წლების „დროება“, 1886-1900 წლების „ივერია“, 1898-1906 წლების „ცნობის ფურცლის“ დამატება და ა. შ.

წიგნის პალატის ფონდის შევსებაში დიდი წვლილი მიუძღვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკას, ცენტრალურ არქივს, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიულ მუზეუმს, თბილისის პიონერთა სასახლეს, ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლას და სხვა ორგანიზაციებს, რომლებმაც პალატას ბევრი საინტერესო გამოცემა გადასცეს. ჩვენი ფონდების შესავსებად პალატას სხვადასხვა წიგნი შემოსწირეს გამოჩინულმა მეცნიერებმა: ი. ბერიტაშვილმა, ა. ჯანელიძემ, ვ. თოფურიამ, რ. ნათაძემ, მწერლებმა ა. თევზაძემ, ა. ლვინიაშვილმა. წიგნის პალატისათვის წიგნების შეგროვება-შექმნისათვის დიდი დრო და ენერჯია დანარჩუნს ამ საქმის ერთუხასტებმა, ქართული წიგნის თავყვანისმცემლებმა ი. იმედაშვილმა, ვ. სამადაშვილმა, გ. ლორთქიფანიძემ, ვ. გადილიამ, ა. ლონატამ, გ. ლალიაშვილმა და სხვებმა.

მართალია, ხარვეზების შესავსებად დიდი მუშაობა გაწეული, მაგრამ დახაკლისი ბევრი გვაქვს. განა შეიძლება შევერიადეთ იმ ფაქტს, რომ წიგნის პალატის ფონდებში 1629-1705 წლებზე გამოცემული არც ერთი წიგნი არ მოგვეპოვება.

ჩვენს თაროებზე ვერ შევხვდებით უძვირფასეს გამოცემებს: სტეფანე პაოლინისა და ნიკოლოზ იბრაქის „ქართული-იტალიური ლექსიკონს“ (პირველ ქართულ წიგნს) და „ქართულ ანბანს ლოცვებითურთ“, რომლებიც გამოიცა რომში 1629 წელს; მაჯიო ფრანცისკო-მარიას „ქართული ენის გრამატიკას“ (რომი, 1670 წ.); რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ (1712 წ.) გამოცემას და სხვ.

ამასთან გარკვეულთ მშობნევეით და მიემართავთ ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს, რუსულებს, არქივებს, ორგანიზაციებს, ოჯახებს, კერძო პირებს, რომლებსაც აქვთ ბეჭდვითი პროდუქციის იმეათი და უნიკალური გვებულარები, სამუდამოდ შესანახად გადასცენ წიგნის პალატას, შთამომავლობისა და სიხარობის კუთვნილებად აქციონ ისინი.

* * *

როგორც უკვე ვთქვით, წიგნის პალატა ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. მკითხველს აწვდის ინფორმაციას ახალ ლიტერატურაზე, წიგნებზე, ჟურნალებზე, გაზეთებზე. შეთხვევითაა უნდა იცოდეს რა რეცენზიები, რა მიმოხილვები იბეჭდება ამა თუ იმ ენაზე. ამ ინფორმაციას წიგნის პალატა მკითხველს „წიგნის მატანიის“, „ჟურნალის მატანიისა“ და „გაზეთის მატანიის“ მატანიის მეშვეობით აწვდის.

წიგნის პალატა ამზადებს სხვა გამოცემებსაც. მათგან აღსანიშნავია უნიკალური გამოცემები: ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „ქართული წიგნი“, ტომი I (1629-1920 წწ.) ტომი II (1921-1945), ტომი III (1946-1950 წწ.) და „ქართული წიგნის“ I ტომის დამატება. გამოვიდა აგრეთვე რეცენზიების ბიბლიოგრაფია (1931-1938 წწ.), „ქართული პერიოდიკა“ (1819-1945 წწ.), „რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, ნაწ. I (1828-1920 წწ.) და სხვ.

ამგანაც წიგნის პალატაში გატყობილებული მუშაობა მიმდინარეობს სხვა გამოცემების მოსამზადებლად. 1969

წელს გამოცემლობა „განათლება“ გადაცემა „ქართული წიგნის“ მე-4 ტომი (1951-1955 წწ.), თავიანთ ჯერს ელიან „ქართული წიგნის“ მე-5 (1956-1960 წწ.), მე-6 (1961-1965 წწ.) და მე-7 (1965-70 წწ.) ტომები განზარახულია ქართული წიგნის I და II ტომების გადამზავებული და შეასებული გამოცემით. მომზადებულია და გამოცემის ხელს ელის „შ. რუსთაველის ბიბლიოგრაფია“, ნიმიდნარეობს მუშაობა ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიის მომზადებისა და გამოცემისათვის.

* * *

წიგნის პალატის მუშაკები ყოველწლიურად აანალიზებენ, აკომპლექტებენ, ამუშავებენ და არქივს გადასცემენ პალატაში შემოსული 28 ათასამდე ბეჭდვით ერთეულს, მათ შორის 2950 წიგნს, 794 ჟურნალს, 19000 გაზეთს და სხვ. აღარაფერს ვამბობთ საგანმომცემლო, რეტროსპექციულ, საცნობო, სტატისტიკურ და საარქივო სამუშაოზე.

ამ სამუშაოთა შესასრულებლად პალატაში შექმნილია მიღებისა და კონტროლის, კატალოგების, საცნობო, წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის მატანეთა განყოფილებები, რეტროსპექციული, პიკეინისა და რესტავრაციის, წიგნსაცემის განყოფილებები და სტატისტიკის სექტორი. ამ განყოფილებების ხელმძღვანელობენ უზარმაზარ და გამოცდილი მუშაკები: თ. მეჭანარიშვილი, ჯ. შარაშიძე, მ. შენგელია, ა. კენჭაძე, ნ. ქორიძე, მ. მაჭავარიანი, ნ. ძიმიხტიანიშვილი, მ. ყურაშვილი. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ ის დიდი დეაქტი, რომელიც წიგნის პალატას დასდო პალატის მთავარმა ბიბლიოგრაფმა, თავისი საქმის დიდმა სპეციალისტმა თინათინ ნაკაშიძემ.

პალატა დიდ საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას ეწევა. იგი რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანიზაციებს ყოველწლიურად რამდენიმე ათას ცნობას აწვდის. თითოეული მათგანის შედგენა ხშირად მოთხოვნა მრავალი ადამიანის ელემენტარული შრომის კატალოგებსა და არქივებში. გაითვალისწინა რა ამ საქმის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, პალატის დირექციამ (დირექტორი ალიო მირცხულავა) მიზანშეწონილად ცნო ახალი საცნობო განყოფილების შექმნა. პრაქტიკამ უკვე გაამართლა მისი შექმნის საჭიროება.

* * *

სულ მთელ წიგნის პალატა ახალ, სპეციალურად მისთვის აგებულ, მოუშენებლურ შენობაში გადავა. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ სათანადო შეფასების წიგნის პალატის მნიშვნელობა და მისთვის შექმნილი სასაბუღალტრო განყოფილება. ამ ბოლო დროს ვისაც საბურთალოს ქუჩაზე გაუვლია, შეუძლებელია ერთი წუთით მაინც არ შეჩერებულიყო ორიგინალური კონსტრუქციის თვისადე მოქაუთაუ ლამაზ შენობასთან. ეს არის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ექვსსართულიანი წიგნსაცემი, რომელიც დამშენებელია ადვინსტრაციული კორპუსით. აღსანიშნავია, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის პირველად საქართველოში აშენდა ასეთი ნაგებობა წიგნის პალატისათვის. (არქიტექტორი თ. როგვაძე).

კეთილმოწყობილ ბინაში გადასვლა ახალ პერსპექტივებზე და ამოცანებზე სანავს წიგნის პალატის წინაშე. პალატის დირექციამ ამ შესაძლებლობათა მაქსიმუმი გაითვალისწინა 1971-1975 წლების პერსპექტიული გეგმის პროექტში.

ერთ-ერთი მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული ორგანოების გამოცემის მოგვარება. ამ მიზნით გასულ წელს დაიწყო რეტროსპექტიული განყოფილება ორად გაიყო — წიგნისა და ჟურნალის მატანეთა და გაზეთის სტატისტიკის მატანეთა განყოფილებებად, რამაც უფრო გააადვილა მატანეთა დენების მომზადება და გაა-

უმჯობესა მათი ხარისხი. ამავ დროს წიგნის პალატის დირექციამ შექმნა რეტროსპექციული განყოფილება, რომელმაც უახლოეს ხანში უნდა მოამზადოს რამდენიმე სპეცტანიანი ტომი. კერძოდ, ქართული წიგნის მიმდევრო ტომები და სხვა ბიბლიოგრაფიული გამოცემები.

დაუსაბუთებლად შეწყდა და უნდა აღვადგინოთ „მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიის“, „სახვითი ხელოვნების ბიბლიოგრაფიის“, „რეცენზიების ბიბლიოგრაფიის“ გამოცემები. უნდა განახლდეს „რესპუბლიკის სოციალისტური მოძრაობის და სასწავლებლების სტრუქტურის ქვეყნების ბეჭდვითი სიტყვაში“ გამოცემა, აგრეთვე წლიურად გამოცემის გამოცემა. ბევრი მათგანი წიგნის პალატაში კვლავ ხსარდება. პალატის მუშაკები დიდ ენერჯიასა და შრომას მარჯავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოცემა ჯერ ვერ მივიხვდა.

ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის გამოცემა თვითმისანი კი არ არის, არამედ უვიღებელი და საჭირო საქმე. იგი ერთს კვლავის დინეზე მიანიშნებს და ამიტომ მთელი სასოფაღების ინტერესს შეადგენს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემის სასიხარულო ინფორმაცია არასაზარბიელო მდგომარეობაშია. ამას გრძობენ სამეცნიერო ორგანიზაციები, მეცნიერ მუშაკები, ბიბლიოთეკები, რომლებიც სამართლიან გულისწყობასაც გამოსთქვამენ. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ჩამორჩენის მიზეზის კვალი კულტურულ ორგანიზაციებთან — გამოცემლობებთან და პოლიგრაფიულ საწარმოებთან მიდის. უკვე დროა განხორციელდეს სერიოზული ორგანიზაციული ღონისძიებანი. აღ-

სახარება, თბილისი, 1870 წ. დაბეჭდა შტუდლბარტი.





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სახელმწიფო ბიბლიოთეკის აღმასრულებელი

სას სახელმწიფო ბიბლიოთეკის წინამძღოლი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის აღმასრულებელი და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მდივანის მოვალეობას ასრულებს, თავისი მოვალეობის შესრულების მიზნით, დაიბრუნება საქართველოს საზოგადოებრივი საწიგნო-საბიბლიოთეკოს მდივანის მოვალეობას და დაიბრუნება საქართველოს საზოგადოებრივი საწიგნო-საბიბლიოთეკოს მდივანის მოვალეობას, რათა დაიბრუნდეს საქართველოს საზოგადოებრივი საწიგნო-საბიბლიოთეკოს მდივანის მოვალეობას და დაიბრუნდეს საქართველოს საზოგადოებრივი საწიგნო-საბიბლიოთეკოს მდივანის მოვალეობას.

6-6
6-7
6-8

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სახელმწიფო ბიბლიოთეკის აღმასრულებელი და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მდივანი, თავისი მოვალეობის შესრულების მიზნით, დაიბრუნება საქართველოს საზოგადოებრივი საწიგნო-საბიბლიოთეკოს მდივანის მოვალეობას და დაიბრუნება საქართველოს საზოგადოებრივი საწიგნო-საბიბლიოთეკოს მდივანის მოვალეობას.

6-9


კურთხევის, მოსკოვი, 1826 წ.

ბათ მიმწიფდა საკითხი, რომ თვით წიგნის პალატის ხელში მოვაქციოთ ბიბლიოგრაფიული გამოცემების საქმე, ამ მიზნით პალატასთან უნდა შევიწინას მცირე გამოცემლობა, ან სპეციალური საგამომცემლო განყოფილება და მასვე გადაეცეს საჭირო პოლიგრაფიული ბაზა. ადრე ხომ სწორედ ასე იყო და საგამომცემლო საქმეც მოგვარებული იყო.


თუ პალატას სათანადო სიმძლავრის პოლიგრაფიული ბაზა ექნება, მეორე დიდი საკითხიც გადაიტყუება: წიგნის პალატა შესძლებს რესპუბლიკის ყველა იმ ბიბლიოგრაფიული ნაშრომის გამოცემას, რომლებსაც სამცხე-აფხაზეთის საინფორმაციო დაწესებულებანი და ბიბლიოთეკები ამზადებენ.

ჩვენი დიდი საზრუნავი კვლავაც საცავის წიგნად ფონდის შეესებაა. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარდა და ახლაც ტარდება. პალატას სხვა ხარჯეუბებიც აქვს. ბევრი წიგნი საქართველოზე, ქართველ მეცნიერებზე, მწიგნობრებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაუბებზე, გამოჩენილ ადამიანებზე გამოდის მოკავშირე რესპუბლიკებში. ასეთი წიგნები იცემა სასულავარეთის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, მაგრამ მათზე ხელი არ მიგვიწვდება. ისინი კი ჩვენითვის საინტერესო ცნობებს შეიცავენ. მართოდენ საინფორმაციო ცნობები და მოკლე ანტეცედენტები არ ემარა, ეს გამოცემები ჩვენი ერთგული საცავის უკეთესი ტიპის უნდა იყოს. წიგნის პალატამ ამ მიზნით შექმნა სპეციალური განყოფილება „გეორგიკა“, რომელიც ასეთი ლიტერატურის გაცემობას და შეეძინავე იზრუნებს. განყოფილება ურთიერთობას დაამყარებს სათანადო ორგანიზაციებთან ჩვენში და სასულავარეთში. აღმათ ბევრი ორგანიზაცია დაინტერესდება ამ საშუალებით საქმით და საჭირო დახმარებას გაუწყებს პალატას.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად წიგნის პალატა უნდა ასრულებდეს რესპუბლიკის ყველა ბეჭდვით პროდუქციის სასიგნალო უნივერსალური ინფორმაციის რესპუბლიკურ სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ცენტრის ფუნქციებს; მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სამცხე-აფხაზეთის ინფორმაციის ერთიანი სისტემის პირველი რიგის შექმნაში, რომელიც დაეფუძნება მანქანური მეთოდების გამოყენების ძიების, დამუშავების, გამრავლების და საინფორმაციო მასალების მანძილზე გაცემისა და გადაცემის პროცესს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერებისა და ავტომატიზა-



სავედრებელი დოკუმენტის ნაგებობა 1809. მინიატურული გამოცემა (7x5), რომელიც დაიბეჭდა სოფ. წესში.



წალკოტი ლოკათა, გამოცემულია 1877 წ. კონსტანტინეპოლში.

ციის საშუალებათა დანერგვით პალატამ უნდა შექმდოს თავისი გამოცემების ოპერატიულად მეჭდვა, მიაღწიოს სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის სრულყოფას, გამოცემების სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული დონის ამაღლებას.

ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატას მეტად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ახალი შენობის მიღებაში და სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების შექმნაში. სწორედ ამ განყოფილების ამოცანას შეადგენს სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული, პოლიგრაფიული, გამოცემვლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეში სიახლე-თა შესწავლა და მათი დანერგვა.

წიგნი, ჟურნალი, გაზეთი მეტად ფაქიზია და გულშეღვივებულად, გაფრთხილებას საჭიროებს. მათზე მუდამ უნდა ვზრუნავდეთ, აღვადგინდეთ და პირვანდელ სახეს ვუბრუნებდეთ დროთა მსვლელობაში დაზიანებულ წიგნებს. ამ საქმეს ემსახურება ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილება, რომელიც ერთი წლის წინ შეიქმნა. ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ ამ განყოფილებისა და მისი მუშაგების სამუშაო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდება. წიგნების შეკეთების პრიმიტიული საშუალებებს შექმნიზებული პროცესები შეცვლიან, რაც გააძვირებს წიგნის აღდგენას.


განზრახული უახლოეს ხანში შეიქმნას ფოტოლაბორატორია, რომელიც მეურ მტკიცებულ საკითხს მოაგვარებს. სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა განვახლებთ ბიბლიოგრაფიული საქმის დიდი სპეციალისტებით.

საბჭოთა კავშირში უკანასკნელ 10-15 წელწადში წიგნის საქმეში შეიკვალა საგამომცემლო, საბიბლიოგრაფიო, საბიბლიოთეკო და წიგნით ვაჭრობის საქმის სოციალური ფუნქციები, შეიქმნა წიგნის საქმის ყველა დარგის მიზანდასახული საერთო სახელმწიფოებრივი სისტემა. წიგნმცოდნეობას დაეკისრა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების კულტურული განვითარების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებაში.

ეს საპასუხისმგებლო ამოცანები მოითხოვენ წიგნმცოდნეობის მეცნიერების ყოველმხრივ განვითარებას, წიგნის პალატის როლის ამაღლებას, მისი ფინანსურ-ეკონომიური ბაზის განმტკიცებასა და თეორიული დონის ამაღლებას.

სწორედ ამ ნიშნით ჩაიარა წიგნმცოდნეობის პრობლე-მებზე გამართულმა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენციამ (1971 წლის 14-16 აპრილს) ქ. მოსკოვში, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო კულტურის ისტორიის

„ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, გრ. ჩარკვიანისეული გამოცემა, (1900. 13 X 8).



სამეცნიერო საბჭომ, საკავშირო წიგნის პალატამ, მოსკოვის პოლიგრაფიულმა ინსტიტუტმა, მოკავშირე რესპუბლიკების წიგნის პალატებმა, გამოცემლობებმა და სხვა ორგანიზაციებმა; კონფერენცია მიწვეულია განაწვევებულენები და რეკომენდაციები მიიღონ, რომლებიც სრულიად ახლებურად აყენებდნენ წიგნმცოდნეობის პრობლემებს, მათ შორის წიგნის პალატების მუშაობის პრობლემებს. ეს რეკომენდაციები ამხმევენ წიგნის პალატების როლსა და მუშაობის მიძველებულ, ტრადიციულ გაგებას, რაც გმყარება ვიწრო, ცალმხრივ და არასწორ მოსაზრებებს.

კონფერენცია სამუთონა წიგნმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის მთავარ მიმართულებებად აღიარა:

წიგნის გამოცემის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, სამუთონა წიგნის გამოცემის ისტორიის დამუშავება; მსოფლიო მორიხავე გამოცემლობათა წარსულისა და აწმყოს შესწავლა. ბიბლიოგრაფიის საქმის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება, მეცნიერებისა და ავტორიტატიის ინტეგრირება ბიბლიოგრაფიის პროცესებში; სამუთონა ბიბლიოგრაფიის ისტორიის დამუშავება. საბიბლიოთეკო საქმის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, წიგნის გავრცელების სამეცნიერო საფუძვლების დამუშავება, სამუთონა წიგნით ვაჭრობის ისტორიის საკითხების შესწავლა და ა. შ. ყოველზე ამის განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკათა წიგნის პალატებს.

კონფერენციის რეკომენდაციით უნდა განმტკიცდეს სრულიად საკავშირო წიგნის პალატის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება იმომავალში წიგნმცოდნეობის კომპლექსური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შესაქმნელად.

კონფერენციის განაწვევებულობებსა და რეკომენდაციებში მოყვანილ დასკვნებს მითიანად ექნება წიგნმცოდნეობის პრობლემებს საქართველოში. ამჟამად რესპუბლიკაში არ არის ერთიანი ცენტრი, რომელიც წიგნმცოდნეობის პრობლემებზე იმუშავებს. ეს ფუნქცია ცხოვრებაში ჩვენი რესპუბლიკის წიგნის პალატას დაიცვას.

ამიტომ საქართველოს წიგნის პალატა უნდა გადავაქციოთ წიგნისა და წიგნის საქმის, წიგნმცოდნეობის ცენტრად. სამუთონა წიგნმცოდნეობის პრობლემების, როგორც მეცნიერების, აგრეთვე კომუნისტურ მშენებლობაში წიგნისა და წიგნის საქმის როლის შემდგომი ამაღლებისათვის გვგმური და ინსტიტუტური კვლევითი მუშაობის ჩატარება წიგნის პალატის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას უნდა შეადგინდეს. იგი ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარების, წიგნის კვლევითი ამაღლების საქმეს. პირველ რიგში საჭიროდ მიგვჩვენა წიგნმცოდნეობის პრობლემების მეცნიერულ გამოკვლევასა და დავებებსა და კორინდიაციის მიზნით საქართველოს წიგნის პალატასთან შეიქმნას სამეცნიერო საბჭო; წიგნმცოდნეობის განყოფილება, რომელიც გახდება ბაზა წიგნმცოდნეობის პრობლემებზე მომავალში უფრო მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაქმნელად.

ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში წიგნმცოდნეობის პრობლემების განვითარებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს წიგნმცოდნეობის კანდიდატისა და დოქტორის ხარისხის შემიღება, რომელიც გაემიჯნება ისტორიულ, ფილოლოგიურ და პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგებს.

ამ ამოცანათა განხორციელება წიგნის პალატას ოპერატულ ორგანიზაციადა, აქტიურ, ზემოქმედ ინსტიტუტად გადააქცევს.

პროსულ ხალხურ გამოყენებით ხელოვნებასა თუ მხატვრულ რეწვას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. მისი ფუნქციები ჩვენი ისტორიის სიღრმეში იკარგება და ხანგრძლივი, განსაკუთრებული კვლევა-ძიება საჭირო მათ განმოსავლენად. საერთოდ, ხელოვნების ეს დარგი საგანგებო, მეცნიერული შეწყველის სავანად არავის გაუხდია და დღემდე მოვლის თავის მოჭირანს ეძღვნება.

ხალხურ გამოყენებით ხელოვნების ჩვეულებრივ ოჯახური მრეწველობის ამ შინამრეწველობის სფეროში ათავსებდნენ და, ამდენად, მისი უტილიტარული მხარე აინტერესნდდათ: მას, როგორც ხელოვნების დარგს, ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს მდგომარეობა ამჟამადვე გრძელდება. წინამდებარე წერილი, ბუნებრივია, ამ ხარეუს ვერ შეაქვებს, მისი მიზანა მხოლოდ საკითხის დასმა.

ოჯახური მრეწველობა და მისი შედარებით განვითარებული სახე — შინამრეწველობა სპეციალურ ლიტერატურული განიხილება, როგორც მრეწველობის ჩანასახიანი, პრიმიტიული ფორმა. იგი დამახასიათებელი იყო ჩამორჩენილი, ნატურალური მეურნეობისათვის და კანიტალისზამდე მოაღწია, როგორც რუტინულად გადმინაშიმა. ასეთ ფუნქც გასაგება ხალხური გამოყენებითი ხელოვნების სავალლო ბედი.

ამანერვი ტუმარიტება, რომ ხელოვნება ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებათა დამკაყოფილებას ემსახურება, ხოლო ხელონობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა თუ ჯარობის სხვა საფერო ძირითადად უტილიტარულ მიზნებს ისახავს. მაგრამ გამოყენებითი ხელოვნება იმთავითვე მტკიცედ იყო შეწყვეტილი ყოველწლიურ მოთხოვნილებათა. ამიტომ უფროსების უჭირდათ ამ საქმეში გაჭირვით ნამდვილი ხელოვნა ხელონისაგან. ადამიანის მხატვრობა აზროვნება თავიდავე მრავალმხრივი იყო. ზოგი სიტყვაკაზმულობაში, ან მუსიკაში ავლენდა „ჩემ-თავისთვის ნიჭს“, ზოგი ქვას ამღებდა, ან რაიმე ნივთში აიცილებდა მხატვრის დაუდგომელ სულს. პოეტები, მუსიკოსები იმთავითვე აიყვანეს ხელოვნების მეშვედ ცაზე, ხოლო ნივთებისაგან პოეზიის შემქმნელი დღესაც არ არის აღიარებული. მათთვის ჯერჯერობით შესაფერისი ხანტელა: ვერ გამოვინახავ: ხან ხელონისებს ვეძიებთ და ხან შინამრეწველებს.

ამ სტატიის დაწერის წინ ბევრი ვიფიქრე, რომელი ტერმინი მენმარა. ბოლოს შეთხზული თუ ნასესხები გამოთქმა „გამოყენებითი ხელოვნება“ ვარჩიე, მაგრამ გულს მაკლია. სწოლ ქართულში არა გვაქვს უფრო მარჯვე სიტყვა?

შეიქნა, ხელოვნების ეს დარგი რა მდიდარი და მრავალფეროვანი იყო ჩვენი. ქართულთა ნოსტალგია რომ მალბოლელ აღმოსავლეთის, ევროპას, ინდიოეთსა და სხვა ორრულ ქვეყნებშიც აღწევდა. ცარიზმა იგრძნო კავკასიური გამოყენებითი ხელოვნების უდიდესი მნიშვნელობა და მის ძარცვამაც დიდი გულმოკიდება გამოიჩინა. სამეფო პარსი, დიდებულები, ევროპელი თუ ამერიკელი ანტიკვარული ნივთების მოყარულნი, ყოველი ჯარის კანიტალისტი თუ ავანტიურისტი გრომანების ეჯიბრებოდა კავკასიურ „კოსტუმურ ხანტელათა“ დატყვეობას. ჩალის ფსადა მიქონდათ ძვირფასი ნაკეთობანი, მათი შემქმნელი სწორპოვარი ოსტატები კი არაივის ასხვავდა. ასე გრძელდებოდა თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე, მაგრამ 1899 წელს თბილისში შეიქმნა „შინამრეწველობის კავკასიური კომიტეტი“, რომელმაც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ადგილობრივი შინამრეწველობის შესასწავლად და ასალორბინებლად, დაარსდა საწვენებელი, სასწავლო სა-

ხელისნობები (თბილისში, ბაქოში, შუშაში, სტეფანწმინდაში, მცხეთაში, ოზურგეთში და სხვ.) მეცნიერება-გამართლებების ძველი კულტურის აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1907 წელს გახსნილ სამხატვრო სახელოსნოს საქმიანობა, „რომლის მიზანი იყო თავმოყრა, შესწავლა და აღდგენა ძველებური ადგილობრივი ორიგინალური ხალხური ორნამენტებისა და მათი ჩანერგვა შინამრეწველთა ნაკეთობაში. ეს საქართველოში იქნა მიზნული, რადგან „კავკასიის ხალხთა ძველებურა ორიგინალური ორნამენტები სწრაფად ქრება შედგად იმისა, რომ საზღვარგარეთ გააქვთ მხატვრულის ძეგლსაზრისით ყველა განთქმული ძვირფასი ძველებური შინამრეწველური ნაკეთობანი“¹.

კომიტეტი იღვწის აგრეთვე ილევროს ნაკეთობათა, მე-

ბანხილვის წმინტი

ს ა ლ ხ უ რ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ტ ი ს ა ლ ო ვ ნ ა ბ ი ს ს ა ლ ლ ი ს ო ა მ ო ს ა ნ ა ბ ი

ლევან ფროიძე

თუნების, წნული ჭურჭლისა და დგამ-ავეჯის ხალხური წარმოების გამოვლენა-გამოყოფილებისათვის. იგი ადგილებზე აგზავნის გამოცდილ სპეციალისტებს, რომლებიც არა მარტო სწავლობენ ხალხის შემოქმედებას, არამედ დაინტერესებულ პირებს ასწავლიან კიდევ მამა-პაპიდან მომდინარე უკვე მიღწეულ საქმიანობას.

„კომიტეტს ჰქონდა შინამრეწველობის მუშეები (1913 წლიდან), რომელიც ემსახურებდა ასეთივე წმინდა პრაქტიკულ მიზნებს. კომიტეტი რუსეთისა და უკრაინის (ტურინის — 1911 წ., მოსკოვის — 1912 წ., პეტერბურგისა

და ლონდონის — 1913 წ.; ბერლინის — 1914 წ.) გამოყვანზე აგზავნიდა ადგილობრივი შინამრეწველობის ნაკეთობათა, რთა გაფართოება მათი ბაზარი“².

კომიტეტი ნედლეულით ამარაგებდა ოსტატებს და ცდილობდა მათი ნაწარმის გასაღებას. რა თქმა უნდა, აქ გამოირიცხებოდა არ იყო ექსპლოატაცია, რაც მაშინდელი წყობილების ბუნებაში გამომდინარეობდა. აგრეთვე ადგილი ჰქონდა ქართული ეროვნული ინტერესებისადმი ერთგარი ნიალიზმს და ქართველი ბურჟუაზიის იფორმირებას, რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, „შინამრეწველობის კავკასიური კომიტეტის“ საქმიანობა საგანგებო შესწავლას საჭიროებს, იქნებ დღესაც გამოვადგეს მისი გამოცდილება.

1913 წელს დიდმა ქართველმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა საქართველოში მოღვაწე ეროვნულ საზოგადოებებს ასე განუსაზღვრა მოქმედების ასპარეზი: „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს უკვლ კუთხეში საეთნოგრაფიო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუშეებში თავს ზოუყრიდა, რომ მათი შესწავლა ყველასათვის ადვილი იყოს. რასაკვირველია, ამისთვისაც შემგებობათვის ცალკე საწოდებელი გეგმისა და სახელმძღვანელო დარგების შედგენა საჭირო.“

ქალ ხელოვანთა საზოგადოებამ თავის მხრივ უნდა ამ მასალების მხატვრული შესწავლა იკისროს მოყვანილობისა და სახეების მხრივ და თანდათან ქართული მხატვრულია შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეადგინოს.

ხილო ქალ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა საეთნოგრაფო მასალების და შინამრეწველობის ნიმუშების ტექნიკური შესწავლა იკისროს, ნამუშევრის მასალის თვისებები და ხელისნური ტექნიკა, მათი ღირსება-ნაკლოვნება გამოკვლიოს და თანაც ქალი მხატვრული შინამრეწველობის განახლების და შესაქმნი ყველა ტექნიკური საშუალებაც გაითავალისწინოს და მათი საბოლოო განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური მხარეც გამოარკვიოს“³.

აღიწმულმა საზოგადოებებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იარსებეს და მრავალი სასარგებლო საქმე ვაკეთეს, მაგრამ ქართული ხალხური გამოყენებით ხელოვნების მეცნიერული შესწავლისათვის ბევრი არაფერი შეუმატებიათ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაპყარების შემდეგ მიწსახვითან 1926 წლამდე არსებობდა „შინამრეწველობის განყოფილება“, რომელიც შემდეგ სარწაფო კოოპერაციას გადაეცა. ამით იგი თავის მიზანს ასედა და მალე გაუქმდა კიდევ. 1938 წელს ხალხური შემოქმედების სახლთან გაიხსნა ექსპერიმენტული სახელოსნო, რომელმაც ნაწილობრივ შეძლო გამოჩინილი სახალხო ოსტატების შემოქრება. მისი საქმიანობა სამამულო ომის დაწყებისას შეწყდა. 1945 წელს ისევ განახლდა და 1951 წლამდე გაგრძელდა. ექსპერიმენტულ სახელოსნოს მეცნიერული მუშაობა არც ჩაუტარებია და არც მიზნად ჰქონია. ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ექსპონატთა შეგროვებას და პოპულარიზაციას ეწევა „შინამრეწველობის მუშეების“ მეგობრულ „უხატვრო ხელოვნებათა მუშეები“, რომელიც „საქართველოს ხალხური და გამოყენ-

1 გ. ვუბეშვილი, შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ.; ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, IV, 1950, გვ. 119.

2 კ. ვუბეშვილი, იქვე, გვ. 113-114.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამოცდილება, ძეგლის შეგობარი, № 7, 1966, გვ. 45.

4 Т. И. Ткешелашвили, Кустарный музей Грузинской ССР, Советская этнография, № 4, 1946.

ბითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის¹ სახელწოდებით დღესაც არსებობს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში არის მცირე და განივფენიანი ხელოვნების განყოფილება. ასეთია სქემპანო მონახაზი იმ საზოგადოებასა და დაწესებულებათა ისტორიისა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ ხალხურ მხატვრულ რეაქციასთან.

სამბოთა ხელოსნოების პირველ წლებში, როცა პარტიისა და მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეული იყო ქვეყნის ინდუსტრიულ და აგრარულ გარდაქმნაზე, სოციალისტების სწრაფ ტემპით შენეებლობაზე, ხალხურ გამოყენებით ხელოვნებას ჯეროვანი ზრუნვა აკლდა. ცალკეული პირების ინიციატივა ძალაუნებურად იზღუდებოდა. ისინი ჩვეულებრივ ხელოსნებად ითვლებოდნენ და იბეგრებოდნენ.

სოფლის კოლექტივიზაციის შემდეგ, იქ, სადაც ხალხური ხელოსნობის კოშკები იყო (კერამიკა, ქვისა და ხის დამუშავება, ფიქრობა და სხვა), სცადეს საკოლმურენო საეროების შექმნა, მაგრამ ცდილ ორგანიზაციის გამო საქმეს თითო ვერ გაართვეს და მათი უმეტესობა მალე დაიშალა. ოსტატებს კი კერძოდ მუშაობის საშუალება არ მიცეს, რადგან ისინი საკოლმურენო ორგანიზაციაში უნდა ჩამბოლოყვნენ. ეს მდომარეობა მეტ-ნალებად ახლაც გრძელდება, ამიტომ დღემდე მიღწეული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ბევრი კერა ჩვენს თვალწინ ქრება. სამწუხაროდ, მათი გამოვლენა-შესწავლისთვისაც თითქმის არაფერი კეთდება. არა ვაკეხს დადგამოდა ამ კერათა რაოდენობა, აღურიცხავია მამაპაპური გამოყენებითი ხელოვნების შთამომავლობით მიმდევარი და მცოდნე პირები. ჯერჯერობით არაფერ ზრუნავს ხალხური მხატვრული რეჟისის მივიწყებული დარგების აღდგენისათვის.

1935 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით საერო კომპარტიის პრეზიდიუმმა დიდი სახალხო საქმე უწამოიყო. გადაწყდა საქართველოს შინაგარეკულტურის ისტორიის შესახებ აკადემიური მსახურის კაპიტალური ნაშრომის გამოცემა. ადგილებზე დაიგზავნა „ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები“. ისინი მასალებს აგროვებდნენ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შეუშავებული პროგრამის მიხედვით, რომლებიც გაზუთ „საქართველოს შინაგარეკულტურაში“ (№ 9, 1935 წ.) გამოქვეყნდა. პროგრამა მო ძირითად მიზანს ისახავდა: სამუშაოში ნივთების გამოვლენას და შეგროვებას, აგრეთვე საცნობარებელ, სამურენო და თავდაცვით ნაკვებობათა, მეურნეობის ძირითად დარგებს, ხის, ქვის, რკინის, ილვრის, სამშენებლო მასალებს და სხვ. დამუშავების, ფიქრობის, ავეჯის და, საერთოდ, ყოფაცხოვრებისათვის საჭირო ყველა ადრავის შესწავლას ითვალისწინებდა.

ახალგაზრდა მეცნიერებმა ეს გრანდიოზული ამოცანა წარმატებით შეასრულეს. შეგროვდა მდიდარი, უნიკალური მასალა, რომლითაც დღესაც იყვებდა შესაბამისი დისციპლინები. მასალების შეგროვების ამ ერთმა მასობრივმა კამპანიამ ცხადყო ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ნიჭი. შემდეგ აკად. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით ქართველმა ეთნოგრაფებმა მონოგრაფიულად დაამუშავეს ჩვენი მატერიალური თუ სულიერი კულტურის მრავალი პრობლემა, ამით „შინაგარეკულტურა“ დარგების შესწავლამაც საკრძობლად წაიწია წინ, მაგრამ თითქმის დაიწყებული იქნა ამ საკითხის პრაქტიკული მხარე, რაც ცნობრების მოთხოვნილებაზე კვლავ დაყავნა ჩვენს წინაშე.

ამჟამად უკველით გახდა, რომ თვით სოციალისტური მრეწველობის პრობლემაზეც იგი დიდ მოთხოვნილებას ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმზე. როგორც ფორეაოფთია ვერ შევცდის მხატვრობას და გამოთვლილი მანქანა — პოტეს, ქარხნულ-ფაბრიკული პროდუქცია ვერ

გამოცემა სახალხო ხელოვანთა შემოქმედების საწინააღმდეგო მსგელობაში ეს უფრო და უფრო საგრძნობი ხდება (მეტადრე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და უცხოეთთან კონტაქტების გაცხოვრების გამო), ამიტომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დროული დადგენილება: «О мерах по дальнейшему развитию народных художественных промыслов» (№ 628, 1968 წ. 14 აპრილი). ამ საქმის განსახორციელებლად ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივ მრეწველობის სამინისტროსთან 1969 წელს 1 იანვარს ჩამოყალიბდა გაერთიანება „სოლანი“ (ეს კეთილშობიანი სახელი, რომელიც ხელოვნებასა და ხელოსნობის სფერული ეკონომიკის კეთილდება, გაერთიანებას უწოდა აკად. გ. ჩიტაიამ).

„სოლანი“ შექმნასთან დაკავშირებით აკად. გ. ჩიტაიას, პროფ. გ. ბარდაველიძისა და ამ სტრუქტურის ავტორის ხელმოწერით გაზუთ „კომუნისტური“ (№ 114, 18 მაისი, 1969 წ.) დაიბეჭდა წერილი „კეთილი საქმე“, რომელშიც მათი თვითხელა ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ძირითად ეტრებზე, ასე მავალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელდებო, თუშეთში (ომლო, ზემო და ქვემო ალგანი) ძველთაგანვე ამხადდებენ ერთხელ ორნამენტებით შემკულ ხალიჩებს, ფარდაებს, ხურჯიანებს, ჩიბაებს, ჩუსტურებს და სხვ. მაღალ დონეზე იდგა ფერადი თექვსი. თუშური ქედებისა და ვერცხლის სამკაულების წარმოება.

ხევისურთი განთქმული იყო ორნამენტირებული ქსოვილებით (სათურა, მანდილი, ფარავი, ჯიბაები), შალის ქსოვიტ სხვადასხვა სახეობით (ორმთანი, წალკუკობა, ცალმთა), ფეხსამოსით (ჯორაბი, პაპიჯები, ჩუსტურები), ხეზე კეთილობით (საყერი, მაქალხი, სახრელი, ტაგურცი), ოქრომჭედლობით (საყურები, სამაჯურები, ბეჭდები, თავსამკაული, ყელსადები).

ფაკელებს ჰქონდათ ვერცხლის შესანიშნავი სამკაულიანი, საბანი წინსაფრები, ყავარჯები, მიოულეს — მიმოქურთმებული მერგები, საგარდები, ქვეზე კეთილობის საუცხოო ნიმუშები, რქისა და ძლის ნივთები, ბავშვების პრავალურეოვანი სათამაშოები.

რაქალენებსა და სვანეთში განთავარებული იყო ხის დამუშავება (მრავალგვარი ავეჯი, სასმისები), ოქრომჭედლობა (სარტყლები, სამკაულები, სასმისები), მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება (გულსატვირი, ჩანგი, ტყინი), მეთუნეობა, ქარგვა-ქსოვა, თქვის მიოთლე და ა. შ.

მათ არც საქართველოს ბარი ჩამორჩებოდა. თბილისის, იულიანის, კორის, ანალოციის, ოსურეთის, ზუგდიდის ოქრომჭედლობა (სვადი, ცვარი, მინაქარი, სადავი და სხვ.) უფლებით დროინდელ ცნობილი იყო საქართველოს ფარტლებს გარეთაც. განსაკუთრებით ყურადღებას იქვედად აბრეშუმის დამუშავება, ქარგვა-ქსოვა (ოქრომჭედი, აპლიკაცია, გვირბიტი, სარტყელ-გულისპირები, თავსაკრავები, ჩახსარაკები, ყაბალობები, აბრეშუმის გრძელით ძაფის ბადილა-ჩანთები, დამასმული ოლქაქები, ხალიჩები, ფარდაები, ლურჯი სურფები და ა. შ.), კერამიკა, ტყავის დამუშავება, ხესა და ქვეზე კეთილობა და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოკრიბოში (კვიბოლის რაიონი) მერჩხიული გიმზის წარმოება. ამ კეთილშობილი მინერალის მოპოვება მხოლოდ საქართველოს სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი. წერილობით მოცემულია ახლადმექმნილი „გარნიტანების“ სოციალური ფართო პროგრამა, მაგრამ ამ პრინციპებით „სოლანი“ მუშაობა ვერ წარმართა. ამის გამო 1970 წლის 6 იანვარს „კომუნისტური“ კვლავ გამოქვეყნდა აკად. გ. ჩიტაიას და ამ სტრუქტურის ავტორის წერილი „სანამ გვიან არ არის“.

ორივე გამოხმაურების გარდა არც ამ წერილის გამოქვეყნებას მოყოლა რაიმე პრაქტიკული შედეგი. დრო კი არ ითმენს, რაც უფრო დაგვიგვიანებთ, მით უფრო მეტ შესაძლებლობას დაკარგავთ.

თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე „სოლანის“ მესვეურებმა არც თუ ისე ცოტა გააკეთეს. ისინი მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, თბილისში გასსწვს საფირმო მალაზია, შემოიღებინეს 150-მდე ოსტატა, რომელთა ნაწარმსაც იძენენ. დუშეთში, სიღნაღში, თელავში, გორში, ქსანში, მესტიანიაში, ლენტეხში და სხვაგან გახსნილი აქვთ ხალიჩების, ქუდების, კერამიკის, ხის დაქუშავების და სხვ. სააპროუბი. ხალხური ნიმუშებიან წარმოებში დაიწყო ალვანური ხალიჩები, ჩითაები, თუშური და სვანური ქუდები, ლურჯი სუფურები, ნაბელები, ქვესურული წინხეები, პაჭიჭები და სხვ. ვეფირობთ, დასაწყისისათვის საკმარისია. როგორც ვხედავთ, წარმოება რენტაბელური რომ იყოს, „სოლანის“ ხელმძღვანელობა ცდომილად ვფიქტურად გამოიყენოს ხალხური სტანდარტები და აჩქარებს მათ სერიულ გამოშვებას. მუშაობის პირველ ეტაპზე ეს გასაგებია, მაგრამ ერთგვარი სასიფათო გზაა. ჩვენ ხომ არის შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. უმჯობესია, კვლევა პრაქტიკულ საქმეს გამარჯვება მათში დაეხედება, თუ იგი ყოველმხრივ არის მოფიქრებულ-მომზადებული, უკეთ რომ ვთქვათ, თუ სწორ მეცნიერულ-თეორიულ საფუძველზე დგას. ამისათვის მოვითხოვდით თავის დროზე, რომ „სოლანის“ მეცნიერული ხელმძღვანელობა აქყოლოდა. ეს ნიღო უფრო საჭირო იყო, რადგან ყველა ახალ წამოწყებას წინებისა და ავტორიტეტის მიხეცვა დასაწყისშივე სჭირდება.

უმჯობესია, პირველ რიგში, სწორედ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ჩატარება აუცილებელია, ხოლო შემდეგ სხვა წამოწყებანი, მაგრამ „სოლანის“, რა თქმა უნდა, კვლევით ინსტიტუტად ვერ ვაქციეთ. მას გარკვეული ვალდებულებანი და მიზანდასახულობა აქვს. აქედან გამომდინარე, ხალხური მხატვრული რეჟისის, მისი კერების გამოვლენა-აღდგენისა და შესწავლის საქმე კვლავ უყურადღებოდ რჩება. თბილისის მუსეუმბრო აკადემიისთან, მართალია, არსებობს გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი, მაგრამ მისი მი-

ზანი მეცნიერული საქმიანობა არ არის, ხოლო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებებს მტკიცედ განსაზღვრული თავიანთი სამუშაო გეგმები და თემატიკა მოეპოვებათ. მაშასადამე, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მომაკვდავი დარგების შესწავლისათვის ამაყურად ნაკლებად ზრუნავენ, დაყოფნა კი დაუმეგებელია.

მოსკოვში, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან, არის ხალხური მხატვრული მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აეთი ინსტიტუტის შექმნისათვის საქართველოს წევრთაგან მომზადდეს ნიადაგი, ხოლო სანამ ეს განხორციელდებოდეს, აუცილებელია ამ საქმესთან ასლო მდგომ ინსტანციათა („სოლანი“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის. სამხატვრო აკადემიისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი) საქმიანობის კოორდინაცია, რათა დროულად გატარდეს საერთო ღონისძიებანი ხალხური ხელოვნების ადგილობრივი კერების, ცალკეული დარგებისა და ამ საქმის მიმდევარი პირების გამოსაყოფნად.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ხალხური მხატვრული რეჟისის მივიწყებულ დარგებსა და ნახევრად ჩამჭრულ კერებს. მათი აღდგენა-გამოცოცხლება მეტად საშური საქმეა. ამასთანავე, უნდა შემუშავდეს კრიტიკური, რომლითაც დგინდება შინაგონელობის ესა თუ ის დარგი ხელოვნების კეთების თუ ხელოსნობას, ესა თუ ის პირი ხელოვანია თუ ხელოსანი. ამის შესაბამისად განიხილავთ დასაქმებულ პიროვნებათა შრომითი ანაზღაურება და უფლება-მოვალეობანი.

ადგილი რომ არ აქონდეს ხალხური შემოქმედებითი ნიმუშების გაყალბებას, მათი სერიული წარმოების საკითხი უნდა გადაწყდეს უმაღლეს დონეზე შექმნილი ავტორიტეტული კომისიის მიერ.

გზინგატოს ცული ანთრთბმბრფული გავთსახულებით

ლეილა ფანცხავა

მგრამანელ ანთროპოლოგ რ. ვირხოვის კერძო კოლექციანში, სხვა ნივთებთან ერთად, დაცულია ბრინჯაოს ცული, რომელზედაც გრაფირებით შესრულებული სიუჟეტური სცენაა გამოსახული; მის მთავარი პერსონაჟია გველეშთან მებრძოლი მშვილდოსანი (სურ. 1,2).¹

ცული ექვსახნავა ფორმისაა; მისი ყუა საკმაოდ მაღალია და მოთხზნავა თავი აქვს. სატარე ხერედი წვეტიანოვალურია, მის კედლებს გაუყვება ორ-ორი მკვეთრი წიბური, რითაც ღრმა ღარებია შექმნილი. ცულის შუბლი და

კანა ორ-ორწახნავოვანია, პირი ასიმეტრიულია და ფხისკენ თანდათან თხელდება.

ამ სახის ცულები პირველად აღმოჩნდა ყობანის (ჩრდ. ოსეთი) სამაროვანზე, შემდეგ კი, უფრო ღივი რაოდენობით — როგორც დასავლეთ (ისტორიულ კოლხეთში), ისე აღმოსავლეთ საქართველოში. დღეისათვის უკვე სარწმუნოა, აზრი, რომ ამგვარი ცულები ყობანში კოლხეთიდან უნდა გავრცელებულიყო.²

საყურადღებოა, რომ ამ სახის თითქმის ყველა ცული

გრაფიკული დეკორით არის შემკული. ცულებს შემოქმედებითა უძველესი დროიდან მუსიკატორებში, ირანში, საბერძნეთში, ეგვიპტის სამყაროში, დასავლეთ ევროპაში, ბალტიკისპირეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში. გრაფიკული დეკორით შემკული კოლხურ-ყობანური ცულები უნიკალური მოვლენაა გრაფირებულ ცულებს შორის.

ბრინჯაოს კოლხურ-ყობანური ცულების დეკორი ორ-სახისაა: ცხოველური და გეომეტრიული. ცხოველური სახეებიდან გვხვდება: ძალი, ირემი, ცხენი, გველი და თევზი; გეომეტრიული სახეებიდან კი — სისამტკა, ჯვრიანი, სხივიანი წრეები, ვარდულები, სპირალები და სხვა. დღეისთვის ორასზე მეტი გრაფირებული ცულის ცნობილია, ანთროპომორფული გამოსახულება კი მხოლოდ ორ მათგანზე გვხვდება.³

როგორც აღვნიშნეთ, ყობანის აღმორჩენილი ცული საზღვარგარეთ კერძო კოლექციონაში დაცული და ჩვენთვის მიუწვდომელია. ამიტომ მასზე მსავლეთობისას ვსარგებლობით ჩანახატითა და რ. ვირთვის აღწერილობით.

ცულის პირის მარცხენა ლოყასზე პრივილეგი გამოსახულია ისრის სატყორცნად მომზადებული მწვილდოსანნი. იგი მოძრაობაშია გადმოყვებული — მუხლში ხაზრთი მარჯვენა ფეხი წინ აქვს წაღმებული. პირისახე ძალზე სქემატურადაა შესრულებული: სახის ნაკვეთები არ გამოყოფა; თვალები და ყურები საერთოდ არ არის გამოსახული. სამი ირბი მოყვ ხაზი თავზე თმას უნდა გამოხატავდეს. კისერი გრძელი აქვს, მხრებშიაშოშვებულია და ბეჭეტხობრივი; ტანის ქვედა ნაწილი, ზედასთან შედარებით არაპროპორციულად განიერია. წინ გაწველი, იდავები მოხრილი მკლავები მთავრდება წუნ-მუთი მოყვ ხაზით — თითები (ფეხის თითებიც ასევეა გამოსახული), რომლებიც დას უხრებულად ეხება მწვილდოსანს. სამკუთხა ისრის წვერი ცულის მუხლზე გადადის. ანთროპომორფული ფიგურა დაფარულია თევზისფერი სახით, გარდა მკლავებისა, რომლებიც ირბი ხაზებით არის შეგებული. ასევეა დაშორებული მწვილდოს რკალი და ისარი.

ცულის პირის მარჯვენა ლოყასზე მოთავსებულია გველი, რომელიც სატყორცნად მომზადებულია ზვიდან ქვევით მოემართება. გველის ტალისებური, წერტილებით შეგებული ტანი უხვევს ცულის ფეხს პარალელურად და წინ გაშვებული ისრის წვერის ფერმის თავით მთავრდება. თავლები გამოსახულია ორი წერტილით.

ცულის მუხლზე მოთავსებულია ორი ვარდული, რომლებიც წარმოადგენენ ცეხცრში ჩასატეხ წრეს. მის ორივე მხარე სიმეტრიულადაა განლაგებული, წვერით წრისკენ მიქცული, სამ-სამი ფოთლისებრი დეტალი. წრის ზევით და ქვევით გავლებულია ორ-ორი ხაზი, ვარდულები ჩასმული ფოთლისებრ ჩარჩოში, რომლის თავისუფლად არე შეესაბუნაა წერტილებით.

ცულის კანზე მოთავსებულია ორი გველის ზედა ნაწილი. ერთი გველის თავი ზევით არის მიქცული, მეორისა — ქვევით.

კანზე, სატყორცნ ვერელის ქვევით, ხაზთან ჩარჩოში ჩასმული პირიზონტალურად გავლებული ორი ხაზით შედგენილი ტეხილი ზოლია. ტეხილი ხაზითა და ჩარჩოთი შექმნილი სამკუთხედი შეესაბუნაა წერტილებით.

სატყორცნ ვერელის ნაპირებზეც, ორ-ორი გველია მოთავსებული. მუხლის მხარეს გველები ქვევიდან ზევით მიეკრებიან, კანის მხარეს კი პირიქით.

ვიდრე ცულზე გამოსახული სცენის სიუჟეტს ვაგარჩევდეთ, მისაღწე შევხვებით დეკორის მხატვრულ-სტილისტურ ხეობას.

საერთოდ, კოლხურ-ყობანური ცულების გრაფიკული დეკორი ორგანულად ერწყმის ცულების პლასტიკურ ფორ-

მას. ცულები ექვსწახანავა; სხვადასხვა ზომისა და ფორმის წახანაგებზე მისთვის შესატყვისი კომპონირებული ისეა მოთავსებული, თითქოს კადრშია ჩასმული. ცულის შემკობისას რავიორი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცდობლბს არ გადატვირთის დეკორი, რასაც დიდი ტაქტიკა და გემუვნებით აკეთებს; გამოსახულებათა ფორმასაც ცულის, თუ კი ეს აუცილებელია. რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ ცულს, დეკორი კომპონირებულად დამთავრებულ მოთავსებულბს ტოვებს. ჩვეულებრივ, ცულის ლოყებზე ერთი და იგივე ცხოველია პროფილი: გამოსახული, ამ ეჭიანბრი გეომეტრიული სახით არის შემკული, რითაც შექმნილია პერალდიკური სიმეტრია, ამ ზრებით დეკორი წესრიგშია მოყვანილი. ეს სიმეტრია იშვიათად არის ხოლმე დარღვეული და აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ცულის ერთ ლოყასზე ყოველთვის ძალია გამოსახული, მეორეზე — გველი, მალტური ჯვარი, მეორეობი და სხვა. აღსანიშნავია, რომ სატყორცნ ვერელის ნაპირებს დეკორი ყოველთვის სიმეტრიულია.

ჩვეთვის საინტერესო ცული ეკუთვნის გრაფიკული დეკორით შემკულ კოლხურ-ყობანური ცულების იმ მცირე რიცხვს, რომლებსაც, სადაც დარღვეულია პერალდიკური სიმეტრია (მარცხენა ლოყასზე — მწვილდოსანი, მარჯვენაზე — გველი). მაგრამ ეს ცული სხვა გრაფირებულ ცულებსაგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ თუ კოლხურ-ყობანური ცულების დეკორი სიმბოლურია, ამ შემთხვევაში დეკორი სუბიექტს თხრობითი ხასიათი აქვს. ამის გამო დარღვეულია კოლხურ-ყობანური ცულების გრაფიკული დეკორის მეორე ძირითადი პრინციპი — დეკორის თითოეული კომპონენტის მათთვის შესატყვისი კადრში ჩასმა. სიუჟეტის მიხედვით გრაფიკული კიდევ ორი გველი უნდა დაერთოს ცულზე, თავისუფალი არე მხოლოდ კანსავე დაარჩენილი. ეს კადრი არ შეეფერება გველების გამოსახულებას და, თუცა გრაგიორი მუხლდულია ცულის ექვსწახანავა ფორმით (სწორ სიმეტრიულად, მაგალითად, ბრინჯაოს სარტყელზე, ეს სცენა კომპონირებულია სხვაგვარად განაწილებულია), მაინც ძალზე თავისუფლად მოქმედებს. მან კანსავე გველების მხოლოდ ზედა ნახევარი მოჰაგება, ქვედა კი ცულის დანარჩენ სიმეტრიულზე გადაიტანს. მართალია, ამით დიდივცა კოლხურ-ყობანური ცულების დეკორში გამოყენებული გველების გამოსახვის ჩვეული ზერხი (გველის ტანის ხვეულები ყოველთვის თანაბარია), სამკაილოდ, გველის ტანის აშვავად განაწილება კომპოზიციურად გამართლებულია.

ჩვეულებრივ, კოლხურ-ყობანურ ცულებს წელზე გარშემოხებული აქვს გეომეტრიული სახის ფართო ზოლი — სარტყელი, რომელიც ცულის წიბოებთან და ფხასთან ერთად ლოყებზე მოთავსებულ გამოსახულებას ჩარჩოს უქმნის. აქ სარტყლის როლს ასრულებს კანსავე მოთავსებული ერთ-ერთი გველის ტანის ნაწილი, რომელიც ანთროპომორფულ გამოსახულებას ზემოდან ირბი ზოლად გასდევს, ხოლო მუხლზე მოთავსებულ ვარდულებს ქვემიდან შემოუყვება და იქვე გამოსახული ისრის წვერისაგან გამოყოფს, ამით მუხლის შემკულობა კომპოზიციურად დამთავრებული იქნის იღებს.

კიდევ უფრო მეტი თავისუფლება იგრძნობა ცულის ლოყასზე მოთავსებული გველისა და გველის კულების გამო-სახვაში. გველის ტანის სუველები გამსრული და ამინტრიულია. გრაგიორი იქვე კი არ იცავს სიმეტრიულობას, სადაც ეს შესაძლებელია. ასე მაგალითად, მოკაუჭებული კუნდა (ამ სახის კოლხურ-ყობანური ცულებისა და სარტყლების დეკორში არასოდეს გვხვდება) შეიძლებოდა გამლოდიყო გველის ტანის პარალელურად, ანდა მეორე კუდი ჩასმულიყო გველის ტანის მანობელ ხვეულში. გრაგიორსა,

ალბათ, მდგნებულად დაარღვია კოლხურ-ყობანურ ცულე-ბზე მოთავსებული გველების გამოსახულების ჩვეული ფორ-მა, რათა იგი დეკორატიული და უფრო ემოციური ყოფი-ლიყო. ეს თავის დროზე შეინიშნა რ. ვირხოვმა და გველების გამოსახულება მანერულად მიიჩნია, ხოლო გ. ჩეიმი ამაში სტილიზაციის ტენდენცია დაინახა.

გრაფორმა კარგაზე გავლენილი ტექნილი ზოლით ერთ-მანეთისაგან გამყოფ სატარე ხერვლის ნაპირებსა და ქარ-ზე მოთავსებულ გველებს. გარდა იმისა, რომ ტენილ ზოლის დეკორის კომპოზიციამ გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული (ამ შტრიხით კარის შემკულებთან კომპოზი-ციურად დამთავრებული იერი მიიღო), იგი მას სიუჟეტუ-რადაც უკავშირდება. ტექნილი ზოლი, რომელიც გველის ტანის გეომეტრიული სახეა, წყლის გრაფიკულ სიმბო-ლადაც არის მიჩნეული. აქ დაპირისპირებულია მზე-ვარ-დღეები და წყლის სტიქია. აღსანიშნავია, რომ ცულზე ვარდულები და ტექნილი ზოლი ერთმანეთის საპირისპი-რულ არიან მოთავსებულნი, თუმცა მათი გამოსახვის ხერხი ერთნაირია.

ანთროპომორფული გამოსახულება ცულზე მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ უსუსურია. სხეული ტლანქია და არააბრჭყალი, მოძრაობა შესუდულები და არადინამი-ური.

რ. ვირხოვმა ცულზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურა შეადარა გვიანდელი ხანის ე. წ. ეტრის ქვის სტილსზე მოთავსებულ გველებთან მებრძოლი ორი მშვილ-დანიის გამოსახულებას. არც მხატვრული სტილით, არც სიუჟეტ-ით მათ საერთო არაფერი აქვთ. ამ ორ ძეგლს მხო-ლოდ გველებთან ბრძოლის მოტივი აერთიანებს, ალბათ ამიტომაც არ გაითავალისწინა ავტორმა ბრინჯაოს სარტყ-ლებზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურები და ანა-ლოგიისათვის ეტრის სტილს აჩინა.

გრაფიკული დეკორით შემკული კოლხურ-ყობანური ცუ-ლების სინქრონულად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრ-ცელებული იყო ბრინჯაოს სარტყლები, რომლებიც გრა-ფიკებით გამოსახულია სხვადასხვა სხეულ, როგორც ჩანს, გრაფიკული თუ სახე მხოლოდ ამიერკავკასიისათვის არის დამახასიათებელი და უცნობია წინა აზიისა და ევროპი-ისათვის.⁴ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სამ-ბაჯო, დმანისი, წალაქ, ჩაბარუხი, თლი) აღმოჩენილი სარტყლების გრაფიკული დეკორი კომპოზიციურად და მხატვრული სტილით განსხვავდება აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სარტყლების გრა-ფიკული დეკორისაგან. დმანისი და წალაქში, მარალინ-დერესის № 5 სამარხში ნაპოვნი სარტყლებია (ლელვარ-ის სარტყელთან ერთად) და კოლხურ-ყობანური ცუ-ლების გრაფიკულ დეკორს ბ. კუჭტინი ერთმანეთს უკავ-შირებს. უფრო მეტიც, მისი აზრით, „ყობანურმა ხელოვნებამ“ თავისი განვითარების უმაღლეს დონეს სწორედ ამ სარტყლის დეკორში მიაღწია.⁵ ჩემი ამ სარტყლებს დაუ-პირებლად ჩაბარუხის განძისა და თლის სამაროვანზე აღ-მოჩენილ სარტყლებს, რომლებიც კოლხურ-ყობანურ ცუ-ლებთან ერთად ხელოვნების ერთ წრეს უნდა განეკუთ-ნებოდნენ.

ბრინჯაოს სარტყლების დეკორში, ცულეებისაგან განსხვ-ავებით, სწორად გვხვდება ანთროპომორფული ფიგურები. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ოცდაორი სარტყ-ლადან ანთროპომორფული ფიგურა ხუთ ცალზე გვხვდება, ჩვენთვის საინტერესო ფიგურები კი — ორზე. ანთროპო-მორფული გამოსახულებები თლის სამაროვანზე გვხვდებ-და, ჩაბარუხის განძიდან ორი სარტყელია ცნობილი. წალ-კაში, მარალინ-დერესის სამარხში, ერთი სარტყელია ნა-

პოვნი. საინტერესო ანთროპომორფული ფიგურებია გამო-სახული ახტლისა და მუსიერის სარტყლებზე. თვით ყო-ბანიდან კი ერთადერთი გრაფიკული სარტყლის სამ ფრაგმენტია გადარჩენილი. ერთ ფრაგმენტზე, ცხოველის ფეხების უკან, თავდაყირა გამოსახულია ადამიანის თავი. უსუსტად ასევე გამოხატულია გვევება თლის სარტყელ-ზეც; თავდაყირა გამოსახული ადამიანის თავი მშვილდოს-ნის ცხენზეა ჩამოყიდებული.

ცულზე და სარტყლებზე გამოსახულ ანთროპომორფულ ფიგურებს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ. უპირველეს ყო-ვლისა, ყველა ანთროპომორფული ფიგურა, თუ კი ის შეი-არაღებულა მხოლოდ მშვილდ-ისრით (გარდა სამთავროს სარტყელზე გამოსახულისა, რომელიც შუბითაა შეიარაღე-ბული), თითები და თმები ერთი მანერითაა შესრულებულ-ე და ყველა გამოსახულება, თუმცა მეტ-ნალები დინამიურ-ობით, მოძრაობაშია გადმოცემული (გარდა ახტლისა).

ამ საერთო ნიშნებს მიუხედავად, მათ შორის სხვაობაც არის. ცულზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურის თავი, სარტყელზე გამოსახული ფიგურის თავებთან შე-დარებით, ძალზე სწემატურად არის გადმოცემული. მაგრამ ყველაზე დიდი განსხვავება ჩამოყობაშია. ყველა ფიგურა ძალზე მარტივად გადმოცემულია კოსტიუმითაა გამოსახუ-ლი. ანთროპომორფული გამოსახულება შეესებულა წერ-ტილოვანი სახით; ყველაზე, წყალსა და წვიმებზე გავლე-ბული მადისტირი ან თევზიფხური ზოლით, ანდა ორი-სწორი ხაზით იქმნება კოსტიუმის შთაბეჭდილება. მხო-ლოდ ახტლისა და მუსიერის სარტყლის ფიგურებზე გვხვდება თევზიფხური სახე და ისიც წერილობადაა სახე-ბთან ერთად.


ცულზე მოთავსებული ფიგურის თევზიფხური სახით შეგუბა რ. ვირხოვმა გრაფიკორის ფანტაზიით ახსნა და ორნამენტულ მოტივად ჩათვალა, პ. უფაროვამ კი იგი შიშ-ვლად მიიჩნია.

მშვილდოსნის თევზიფხური სახით შეესება, ალბათ მხო-ლოდ გრაფიკორის ფანტაზიით არ უნდა აიხსნას. საერთოდ, კოლხურ-ყობანურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რე-ლოვნებისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ დეკორში გე-მოყენებული ცხოველები, ანთროპომორფული ფიგურები და გეომეტრიული სახეები წერტილებით და იწვიათად, თევზიფხური სახით არის შესრულებული, კერძოდ, გველები ყოველთვის წერტილებით არის შეგნებულ, ცულზე გამო-სახულ ფიგურებზე წერტილებითაა შეგნებული, ამითვე განსხვავებით ანთროპომორფული გამოსახულების შესა-ცემად გრაფიკორმა თევზიფხური სახე აირჩია. ვარდულები და ტექნილი ზოლი საერთოდ შეუქსებელი დატოვა, რითაც დაიკარგა გამომსახველობითი ფუნქცია. ამის კომპენსაციას გრაფიკორი მათი ჩარჩოში მოთავსებითა და წერტილებე-საგან შედგენილი ფონის შეგნებით აღწევს.

რაც შეეხება ცულზე გამოსახულ მშვილდ-ისარს, იგი სარტყლებზე გამოსახული მშვილდ-ისრების ანალოგიუ-რია, მაგრამ უფრო პრიმიტიული ფორმისა.

ამრიგად, ცულზე გამოსახული ანთროპომორფული ფი-გურა, რომელიც უცნო კოლხურ-ყობანური ცულეების გრ-ფიკული დეკორისათვის, შესრულებულია კოლხურ-ყობა-ნური კულტურის წრეში შეშავალ ბრინჯაოს სარტყლებზე მოთავსებული ანთროპომორფული ფიგურებისათვის დამა-ხასიათებელი სტილით, მაგრამ მხატვრული თვალსაზრი-სით გაიკლებით მწარე.

ჩემი შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, დავადგინოთ ცულზე გამოსახული სტენის სიუჟეტი, რაც თავის მხრივ, გარკვეულ სიძულესთან არის დაკავშირებული — სიუჟე-ტურად მსავსი სხვა ძეგლი ჩვენთვის უცნობია.⁶



ნახ. 1. ბრინჯაოს ცულე ყობანიდან

საინტერესოა, რომ ლურისტანულ ბრინჯაოს ცულზე მშვილდოსანის ფიგურა გამოსახული, რომელსაც არქეოლოგიურ ლიტერატურაში სიუფტურად ჩვენს ცულს უკავშირებენ.⁷ მშვილდოსანის ფიგურა სწრაფ მოძრაობაშია გადმოცემული, მშვილდ-ისარი მოხერხებულად უპყრია ხელთ და სატყყურნად აქვს მომარჯვებული, თუმცა მიზანი არ ჩანს. მშვილდოსანის უკან ვხვდავთ გრძელ, ოდნავ მორკალურ ისრის წვერს (სურ. 3). ფრ. მანარია, თავის ცნობილ გამოკვლევაში „Kaukasus-Luristan“ ამ ორ ცულზე გამოსახული დეკორის საუკუტეს შორის დიდ მსგავსებას პოულობს, ოღონდ აღნიშნავს, რომ გამოსახულება ყობანურ ცულზე გრაფიკულად არის შესრულებული და ლურისტანულზე — რელიეფურად. საგარეოდ, რომ აქ არათუ გამოსახვის ხერხია სხვადასხვა, არამედ სიუფტურადაც სრულიად განსხვავებული სცენებია ასახული.

ფრ. მანარამ ლურისტანულ ცულზე გამოსახული ისრის წვერი გველის იდეოგრამად მიიღო, რაც არ უნდა იყოს მართებული. ჩვენთვის ცნობილ ლურისტანულ ძეგლებზე გველი თითქმის არ გვხვდება, და თუ გვხვდება, იგი რეალისტურად არის შესრულებული.

ლურისტანულ ორ ცულზე გამოსახულია ზუსტად ისეთივე რელიეფური ისრის წვერები, რომელთა გაიგივება გველეშაბთან ძნელდება. აღსანიშნავია, რომ კოლხურ-ყობანურ სამ ცულზე ისრის წვერებია გამოსახული (გრაფირებით), ხოლო ე. წ. კოლხურ თიხებზე—რელიეფური ისრის წვერები. იმ შემთხვევაშიც, თუ ლურისტანულ ცულზე გამოსახულ ისრის წვერებს გველეშაბ მივიჩნევთ, მშვილდოსანის მიქმედება მაინც გაუგებარი რჩება. მშვილდოსანის ფიგურა სამ გამოსახული, რომ ბრძოლის საგანი წინ უნდა ვიკვლინისმთ და არა უკან, სადაც ისრის წვერია მოთავ-

სებული. მშვილდოსანი ღვთაება, ან გმირი უნდა იყოს, რომლის ატირებუტადაც შეიძლება ისრის წვერი ჩაითვალოს.

ერთ კოლხურ-ყობანურ ცულზე ზოთომორფული ღვთაება — ირემი ისრის წვერთან ერთად არის გამოსახული, თეფფავარას საბუნდავებზე ტოტემსა თუ ღვთაების ისრის წვერი ზურგს უკან აქვს დასმული. გარდა ამისა, თუ გავიხსენებთ, რომ ძველი პინდუსი გადმოცემით ისრის წვერი რჩეულთა ნიშანია, მაშინ ლურისტანულ ცულზე გამოსახული ისრის წვერი უფრო დამხმარე ძალა ჩანს, ვიდრე საწინააღმდეგო.

ჩვენთვის საინტერესო სცენას რამდენიმე ავტორი შექმნო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ავტორი სცენის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა, ანთროპომორფულ გამოსახულებას ერთხმად მიიჩნევენ შვიდ გველთან მებრძოლ გმირად.

მ. უკროვამ ცულზე გამოსახული სცენა ერთი ოსური გადმოცემით ასხნა, რომლის მიხედვით თეთრი იელია ცილი ჩამოშვებული ჯაჭვით ირმის ნაშბ ბრმა რუიონს (Змеевидное чудовище) ცაზე მიათრევა. ეს იელია მრუმიონის თვალბის ახელამდე უნდა მოასწროს, თორემ თუ თვალბი აახილა და დაივიწყა, მისი ხმის გავრცელება ავად ხდება და აკვდება. ცაზე აყვანილი რუიონის სხეულს ცის სულები ხმლით უკრავენ და მიცვალებულებს სულის გასასახლავარდავებლად ჰრეივებენ. სულებმა კი ჯაჭვის შვიდი რგოლი უნდა გაიარონ. ავტორმა ეს რგოლები ცულზე გამოსახულ შვიდ გველს დაუკავშირა, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული. გადმოცემა მიცვალებულთა სულის იმჩვენიურ ცხოვრებას უფრო ეხება, ვინემ გველებთან მებრძოლ გმირს.

ი. ტოლსტოიმ და ნ. კონდაკოვმა ანთროპომორფული ფიგურა გაიღებთან მებრძოლ წმინდა გიორგის ლეგენდას ირანულ პოეტოლოგია დაუკავშირეს. მ. პოტროვსკის აზრით, ეს არის შვიდ გველთან მებრძოლი გმირის შესახებ ლეგენდის უძლიესი ილუსტრაცია, რომელიც მოგვიანებით ამრანის ეპოსში შვიდა. ლეგენდა გადმოვიკვირებს შინის ღვთაების ბრძოლას ჩქვიკნელის ბოროტ ძალებთან.⁸ აქვე ვხვდებით აფინიწით ერთი საყურადღებო ფაქტს: ამრანი უძველესი ქართული მითოლოგიური ეპოსის („ამირანნი“) გმირის ამირანის ოსური სახელია. საქართველოში „ამირანი“ ყველაზე პოპულარული ძეგლია და საქართველოდ გავრცელებული ჩრდილო ოსეთში, სადაც იგი, უმთავრესად, დაგრეკიანთა სახელით არის ცნობილი.⁹

მ. ჩიქოვანის გამოკვლევა „ამირანის“ ეპოსის ცალკეული ეპიზოდები ასახულია სამთავროს ბრინჯაოს სარკე-ყელზე, სტატიუწმინდის პლასტიკურსა და მეგალითური კულტურის ძეგლებზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მითოლოგიური სიუჟეტები და კოსმიური წარმოდგენები იყოს ის წყარო, რომელზედაც ასაზრდოვებელია სახვით ხელოვნებას. ამისი კლასიკური მაგალითია ბერძნული ხელოვნება.

გველეშაბთან მებრძოლი გმირის ლეგენდა, რომელიც ასახავს შვის ღვთაების ბრძოლას ქვეყნების ბოროტ ძალებთან, ყველაზე გავრცელებული მოტივია მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში. პირველ რიგში აქ უნდა აღვნიშნოთ იკვიპტური მითები, სადაც გვხვდება შვისა და გველის, როგორც კეთილისა და ბოროტის ბრძოლა. ე. წ. „პირამიდების ტიქსემში“ შვის ღმერთი აკუმი, ინხეგმონის სახით, ჭამს გველს. უფრო მოგვიანო ძეგლში (ე. წ. „მცვალებულთა წიგნის“ მე-17 ვინიტიტი) გამოსახულია ღმერთი რასა ზოთომორფული სახე — კატა, რომელიც თავს ჭრის გველს იმუხებენს. იგივეა აღწერილი ტექსტში.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ტექსტები, სადაც აღ-
წანილია ღმერთ რას ქვესაყლის დიდი გველის აპოპის
ბრძოლა.¹⁰

იგივე სურათია ბერძნულ მითოლოგიაშიც. საბერძნეთის
ერთ-ერთი უძველესი ღმერთი აპოლონი, რომელიც თავისი
განვითარების უადრეს საფეხურზე სინათლის ღმერთად
იყო ცნობილი (აქედან სასელი ფეხი — სსიფოსანი), ვერ-
ძის პითონს, „სსიფოსანი“, „ოქროსკულებებისა“ აპო-
ლონი ყოველთვის გამაზრველები გამოდის ამ ბრძოლი-
დან.

აპოლონთან საერთო ბევრი აქვს ბერძენთა უდიდეს
გმირ პერაკლეს, რომელიც თავდაპირველად მზის ღმერთად
ითვლებოდა. ჩველი პერაკლე ჯერ კიდევ აკვანში ახრინო-
ბის გველს, ხოლო შემდეგ კლავს ცხრათავიან გველს.

ამ მოტივს კარგად იცნობს შუმერული მითოლოგიაც.
გმირისა და გველის ბრძოლა მითხრობილია ძველი აღმო-
საველეთის უდიდეს ეპიკურ ქმნილებაში „გილგამეში“.

მზისა და მისი მოწინააღმდეგეების ბრძოლის მრავალ-
რიცხოვანი ვარიანტის მიუხედავად, როგორც მითოლო-
გიაში, ისე იუნორაფიაში, შინაარსს ყოველთვის ერთია:
სინათლისა და წყლისა, მზისა და წყლის სტრეიქის
ბრძოლა. ეს ბუნებრივია, კვილისა და ბორბტის ბრძო-
ლა იმთავითვე ზოგადსაკაცობრიო იდეა იყო.

ამ შრიც არც ქართული მითოლოგიაა გამოსაკლისი.
ქართული მითოლოგიური ეპოსი „ამირანი“ დიდ მსგავ-
სებას იჩენს შუმერულ ეპოსთან.

ამირანის ეპოსში მთავარი ადგილი უჭირავს ბორბტ
ძალბებთან (გველუშაბი, დევი) ბრძოლას, ყამარის (ცეცხ-
ლი) მოტაცებას, ღმერთთან შერბობლებას და ამირანის
მიჯაჭვას.

ქვესაყლის ბორბტ ძალბებთან ამირანის ბრძოლის ეპი-
ზოდს ეპოსის თითქმის ყველა ვარიანტი იცნობს. მიუხე-
დავად იმისა, რომ ამირანისა და გველუშაბების ბრძოლის
საბაბი სხვადასხვაა, ამჯერად ეს არც არის ჩვენთვის საინ-
ტერესო, ამირანი ყოველთვის სამ გველუშაბს ებრძვის. გვე-
ლუშაბები თეთრი, წითელი და შავი ფერისაა, რაც მათი
სიმძლიერის სხვადასხვაობის აღმნიშვნელია. შავი ყველაზე
ძლიერია, „შავი უფრო მარხიანია“ და სწორედ ეს უკა-
ნასაყელი ყლაპავს ამირანს — მუჟს. ეპოსის სვანურა
თქმულებით იგი „მზის მსგავსი ვაჟია“, „თეთრად ბზინა-
ვია“, იგი ოქროსწავიან ქალღმერთ დალის შვილია და
ოქროს გბილი აქვს. სახელი ამირანიც გტიმოლოგიურად
მუჟს უკავშირდება.¹¹

მზის ღვთაების ჩაყლაპვა სხვადასხვა ცხოველების
მიერ — მზის დაბნელება — მიეღს მითოლოგიაში უძველესი
დროიდან გავრცელებული მითია. ინდოელთა გადმოცემით
დემონი რაგუ ვინუს ყლაპავს, ტუპის ენაზე მზის დაბ-
ნელების იდიომატური გამოთქმაა: „იაკვარმა შეჭამა მუჟი“.
პერსეისა და ანდრომედას, ან პერაკლესა და პესიონეს მი-
თებშიც იმავე მოტივს ასახავენ. საყურადღებოა, რომ პერაკ-
ლეს, ისევე როგორც ამირანს, ყლაპავს (члдовнище)¹²
როგორც აღვნიშნეთ, „ამირანის“ ეპოსის უძველესი
ფენა სვანურ ვარიანტშია დაცული, სვანურმა თქმულებამ
შემოინახა უძველესი მითი მზის დაბნელებისა.

ერთ-ერთი სვანური გადმოცემით, შავი გველუშაბის მიერ
ამირანის ჩაყლაპვა გააზრებულა როგორც მზის დაბნელე-
ბა და დატყვევებულ მუჟს კი ისევ ამირანი ათავისუფ-
ლებს. როგორც გვხვდავთ, აქ ამირანი და მუჟ ერთმანეთს
ენაცვლებიან.¹³

ეპოსში აღნიშნული გველუშაბის ფერები თეთრი, წი-
თელი და შავი ცულზე გველების სხვადასხვა ზომით უნ-
და იყოს გადმოცემული. კოლხურ-ყიბანური ცულებს
გრაფიკულ დეკორში მთავარი პერსონაჟები ყოველთვის


ცულის პირზეა განაწილებული. აქაც, ყველაზე დიდი
(შავი) გველი ცულის პირზეა მოთავსებული, სწორედ მას
უმიწნებს მშვილდ-ისარს ანთროპომორფული ფიგურა.


ცულზე გველებისა და ანთროპომორფული ფიგურის
გარდა ვარდულებიც არის გამოსახული. ამ სხის ვარდ-
ლები ცნობილია კრეტასა და მიკენში, მესაპოტამიურა
მხატვრული ხელოვნობის ძეგლების დეკორში იგი ასტარ-
კის ნიშნად არის მიჩნეული. ასევეა ტრიპოლიეს კერამი-
კის დეკორშიც. ეს სიმბოლო საკმაოდ გავრცელებულია
საქართველოს მთიანეთში და ლახურ ორნამენტში.

ქართული დედაბობის დეკორში ვარდულის შინაარსი
დააკონკრეტებს და ცისკარის ვარსკვლავად ცნეს, რაც დამა-
ჯერებელი უნდა იყოს, რადგან იმავე დედაბობის დეკორ-
ში მუე ბარჯლალას სახით არის გამოსახული.¹⁴

მაგრამ მრავალი მაგალითია იმისა, რომ მუე ოთხ,
ქეშა, რვა და მზე-ფურცლიანი ვარდულითაა გამოსახული.
ა. როსი შენიშნავს, რომ ხშირად შეუძლებელია მზის სიმ-
ბოლის ვარსკვლავების განსხვავება და ამიტომ ძალიან
ადვილად შეუძლიათ ერთიმეორე შეცვალონ. პ. უგაროვა
ცულზე გამოსახულ ვარდულს მუედ ან, საერთოდ, ცის
მნათობად თვლის. ზემოთსენებულ ლახურ ორნამენტში
ერთ-ერთი წამყვანი მოტივია ე. წ. „სიციხელის ხის“ მი-
ტრეი. ჩვენთვის საინტერესო ვარდულია გამოსახული სოფ.
წინწყაროში „ოლის“ ბუნრის თავზე. მის ცენტრში ამო-

ნახ. 2. ბრინჯაოს ცულზე გამოსახული სცენა





ბრინჯაოს ცული ლტრისტიანიდან, ლეტალო, დავით-ველის კოლექცია. ნახ. 3.

ვეთილია „სიცოცხლის ხე“, რომლის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულია ლომი და წრემი ჩასმული ექვსფურცლიანი ვარდული.¹⁵

ლომი ღვთაებრივი ძალის ცხოველად იყო მიჩნეული და მრავალი ღვთაების ატრიბუტად ითვლებოდა, განსაკუთრებით კი მზისა. ძველ მესოპოტამიურ საქვევებზე ლომი შამშითან ერთად არის გამოსახული. ნაყოფიერების ღვთაება რეა-კიბელას მუდმივი თანამგზავრია ლომი, ანტიკურ სამყაროში ჰელიოსის სიმბოლოდ ლომი ითვლებოდა.

ასე რომ, ლაზურ ორნამენტში გამოსახული ვარდული მზეს უნდა აღნიშნავდეს. ცულზე მოთავსებული ვარდულეებიც ჩვენ მზედ მივიჩნევთ.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე სავარაუდოა, რომ ცულზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურა ამირანია, რომელიც ათავისუფლებს შაკი გველეშაპს (დიდი გველი) მიერ ჩაყლაპულ მზეს (ვარდულები).

ბ. პიოტროვსკიმ ცული ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დაათარია, რაც ზოგადად მართებული უნდა იყოს. გრაფიკული დეკორით შემკული კოლხურ-ყობანური ცულეები ძვ. წ. X-VII საუკ. I ნახევრით თარიღდება. მიუხედავად იმისა, რომ ცულის აღმოჩენის ვითარება ჩვენთვის უცნობია, შესაძლებელი უნდა იყოს ამ ზოგადი თარიღის დაზუსტება.

ჩვენი ცულის დეკორი როგორც კომპოზიციურად, ისე სიუჟეტურად განსხვავდება სხვა კოლხურ-ყობანური ცულეების დეკორისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანთროპომორფული ფიგურები უცხოა კოლხურ-ყობანური ცულეების დეკორისათვის. სამაგიეროდ, ისინი ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ამიერკავკასიაში გავრცელებული სარტყლების დეკორში. ეს სარტყლები ზოგადად ძვ. წ. IX-VII საუკუნეებით თარიღდება.

კოლხურ-ყობანური ცულეების დეკორისათვის უცხო მოტივი—ანთროპომორფული ფიგურები (ცულეების არსებობის ბოლო პერიოდში, ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის I ნახევარში უნდა გაჩენილიყო. ჩვენი ცულიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

შენიშვნები:

¹ R. Virchow, Das Gräberfeld von Koban in Lande der Osseten, Berlin, 1883, fig. 30, 31.
² ი. ჯავახიძე, კოლხური ცული, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 38; დ. ჭორბიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1965, გვ. 152.
³ მეორე ცული აღმოჩნდა ს. თლის სამაროვანზე, № 234 სამარხში, ამ ცულზე ანთროპომორფული ფიგურა ძალთან ერთადაა გამოსახული. იხ. 1969 წ. საველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი XIX სამეცნიერო სესია. ბ. ტეხოვი, გათხრები სამხ. ოსეთში.
⁴ J. de Morgan, Prehistoire oriental, t. III, Paris, 1927, s. 322.
⁵ Б. А. Кухтин, Археологические раскопки в Триплетти, Тбилиси, 1941, стр. 51.
⁶ ი. ტოლსტოი და ნ. კონდაკოვი აღნიშნავენ, რომ იგივე სიუჟეტი გეოლოგიურადაა სკანდინავურ ცულზე იხ. Русские древности в памятниках искусства, вып. III, С.-пб., 1880 (стр. 114), მაგრამ ჩვენ ვერ მივაგვივით.

⁷ Fr. Hančar, Kaukasus-Luristan, ESA IX, Helsinki, 1934.
დ. ჭორბიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბილისი, 1961, გვ. 57.
⁸ Б. В. Пиотровский, Вышаны, 1939.
⁹ მ. ჩიქოვანი, შიკვეული ამირანი, თბილისი, 1947, გვ. 120-148.
¹⁰ М. Матье, Древнеегипетские мифы. М.-Л., 1956, стр. 32—35.
¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, ვაკასიის და შხ. აღ-ის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 151.
¹² Э. Тейлор, Первобытная культура. М., 1939, стр. 227—231.
¹³ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
¹⁴ იბ. სურგულაძე, ასტროლოგიური სიმბოლიკა ქართულ და ხალხურ ორნამენტში, 1967, გვ. 141.
¹⁵ ვ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენემის მოამბე, X, თბილისი, 1941, ტაბ. 1.



ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერები

ქართული ხელოვნების შესახებ

ლუბა მეფარიშვილი

პართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის (1802-1869 წწ.) შემოქმედებითა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

იგი ერეკლე მეორის ასულის — თეკლა ბატონიშვილის მეგობარად იყო. ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგი დიდებული ტრადიციებზე აღიზარდნენ, ხოლო პოეტური წვა თეკლა ბატონიშვილისაგან დაჰყვათ.

ალ. ორბელიანი საზოგადოებრივი და კულტურული საქმიანობით დაკავშირებული იყო გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. ეს დარბაისელი მამულიშვილი საქართველოს ტირ-ვარამის თვითმხილველია. მას მრავალი უსიამოვნების გადატანა მოუხდა, მაგრამ ბოლომდე დარჩა სამშობლოს ბედზე მზრუნველი.

1832 წლის შეთქმულებაში ალ. ორბელიანმა ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი შეასრულა, იგი მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად საქართველოს ერთგული დამოუკიდებლობისათვის „პირველი თესლის“ გაღვივებას მსურველი და დიდი პატრიოტი იყო.

ალ. ორბელიანი თავადაზნაურთა იმ წრის წარმომადგენელია, რომელთა მსგავსებს ვ. ი. ლინინმა „საუკეთესო ადამიანები“ უწოდა. მან დაგვიტოვა საუკეთესო პოეტური ნაწარმოები, ისტორიული წერილები, პოლემიკური სტატიები. მისი ეპისტოლარული ჩანაწერები კი მეტად საინტერესო წყაროა ჩვენი ერის წარსულის შესასწავლად. საყურადღებოა ალ. ორბელიანის თვალსაზრისი ქართული ხელოვნების შესახებ, რომლისთვისაც უხე მასალას ვმოულობით მის სტატიებს თუ ჩანაწერებში და რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

მრავალი დარგის მკვლევარს უმოწავია თბილისის ისტორიის საკითხებზე. მაგრამ ეს თემა ჯერაც არ არის ამოწურული. თბილისის წარსულთან დაკავშირებული ყოველი მასალა საინტერესო და საყურადღებოა.

მეცნიერებელს საუკუნის მოღვაწეთა ნაწერებში ხშირად ვხვდებით საინტერესო მასალებს, რომლებშიც წარმოდგენილია თანამედროვეთა მიერ დანახული თბილისისა და მიუძღვილი საქართველოს სურათი.

აი, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ერთი პატარა ჩანაწერი, რომელშიც გადმოცემულია თბილისის „მოხუდღვილების“ — სახელობის, სასაზღვრო ნაგებობების თავგადასავალი. ჩანაწერის სათაურია: „ძველი მოხ-

უდღვილება ქალაქ ტფილისისა, როგორც ჩემ ყმაწვილობით მახსოვს“. ამ დოკუმენტის შექმნიდან საუკუნუნახევარზე მეტი გავიდა. ამდენად, ამ მონათხრობს ისტორიული მნიშვნელობა აქვს; იგი გვაცნობს ქალაქის მდებარეობას; მის ძველ ნაგებობებსა და სახლებს. ავტორი წერს: „საქართველოს დედაქალაქის — ტფილისის მცხოვრებნი იდგნენ ოთხკუთხიანს დიდს ქვიტკირის გალავანსა შუა, რომელსაც იმ გალავნის კედელს უნდა ჰქონოდა. მგონია სამიდან ოთხ საუენამდე სიმაღლე და სიგანე ერთი, ანუ მეტნაკლები ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთის კედლამდისინა“. ალ. ორბელიანი აღნიშნავს ამ კედელის სამხედრო დანიშნულებას, მწერალი მას ქალაქის მტრისაგან დაცვის ერთ-ერთ საშუალებად თვლის.

ა. ორბელიანი იძლევა ცნობებს თბილისის „კარების“ შესახებ და მათს ეტიმოლოგიასაც: „ამ ერთიანს მოვლენულსა გალავანსა ჰქონდა ხუთი ალაყაფის კარი რკინისა და წინ ფიცრების ხიდები გადებულნი თხრილებზედა ანუ კლდის სვეზე“.

ერთი ჩრდილოეთის მხარეს, ორი დასავლეთით, ერთიც მდინარეს მტკვარს გაღმა და მეხუთე სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ კლიდან ხევის პირზე, სადაც ამის გაღმა სასიამოვნო ტფილი აბანოებია, ქვიტკირის ტალახებით შეკრულია.

ამ ალაყაფის ხუთს კარსა ერქვა ეს სახელი: ჩრდილოეთის კარები — წყალის ბარი, ამისათვის რომ მტკვარზედ ახლოს იყო.

დასავლეთის ჩრდილოეთის მხარისა კარები — დიღმის ბარი — დიღმის ხეობას გაკურებდა.

ამის მეორეს დასავლეთის კარებს — შიქრის ბარი, — კოვრის მთისაკენ იყო მიმართული.

პირდაპირ აბანოების კარსა — ბანქის ბარი, რადგან განჯიდან და ქვემოდან იმაზედ მოდიოდნენ მგზავნი.

მტკვრის გაღმობი კარებსა — ანაბრის ბარი, „აღმართად ახვალთ და გაივალთ მინდვრად, რომელსაც ჰქვია ავლაბარი, ეს ორი სიტყვაა ავლა-ბარი და ამისთვის ერქვა იმ კარებს ავლაბრის კარები“. ზემოთ წარმოდგენილი სურათიდან მიხრობების უფრო მოაბგებულებას უფრო ვხედავთ, ვიდრე წიგნიერი კაცის მიერ გააზრებულ ჩანაწერს... ხოლო შემდეგ ისევ გალავანს, კომუ-ბურჯებს უბრუნდება და გუდალწყვეტილი „მხრეკელის“ სიტყვებით ამთავრებს სათქმელს:

...ხოლო სამხრეთისა მხარეს შვიდელის კლდიანი მთა მაღალი, იმის წვერზე რომ დადგება კაცი, იქით მხარეს ფრიალს ღრმა ხევი კლდება, რაზედაც გაბუნებული იყო განიერი და მაღალი კედელი, რომელსაცა ემის თავსა და ბოლოსა ჰქონდა სიმაგრე დიდი, დასავლეთის მხარეს კლდეზედ უფრო ნაკლები სიმაგრე თავისი ბურჯებითა და აღმოსავლეთის კედელზე დიდორნი ბურჯები, თავისი დიდორნი მაღალი კოშკებითა, საიდანაც დიდი შენობა ესე ორ ტოტად ჩამოვიღოდა: ერთი ქალაქის მხარეს, ქალაქს ჩა-მობიჯინებულად და მეორე პირდაპირ მტკვარსა, რომელ-სიაც გაბუნებული იყო შივით კლდემი გრძელად ამოკვეთილი იყო ხევილი ზვეით მაღლა მიიღან ვიდრე მტკვარამი-დისინ...“ ალექსანდრე ორბელიანი ამ სურათს გადმოსცემს უშუალოდ და გრძობით. ეჭვს გარეშეა, იგი პირადად არის ჩვენი ქალაქის სასაზღვრო ნაგებობით დანიჭტარებული და მისი მიცნებ პირი. ქვემოთ ვითხოვლობთ: „ეს ერთიანი მოზულდულმა შემუსრა მთავარმართებულმა ღუნერალ ერ-მოლომა 1824 თუ 1823-სა წელსა. იმის დაქვევლი აგუ-რები, შტაბის სასახლეს რომ აშენებდნენ, იმას მოხაზნენ, მაგრამ არა შტაბის სასახლის აშენებისათვის დაექ-ციით. ბოლოს დროს დაქვევის მიზნების ხმა ეს გაჟივდა: ასეთი მშვიდობა მოახდინა ღუნერალ ერმოლოვმა, რომ სა-ჭიროდ აღარა რაცხდა საქართველოში ციხეებსო, თუ მარ-თლა მიზნები ეს იყო დიდი შეცდომილიება...“ აქ ჩართული საყვედური ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ალექსანდრე ორ-ბელიანის ზოგიერი შეხედულებას და ჩვენც წარმოვიდგე-ბა მუდამ გულსაღელული, მეფის რუსეთის მოხელეთა საქ-ციელთი უკმაყოფილო მილიაწე.

ტექსტის შემდგომ აბზაცში ქალაქის სასაზღვრების გაზ-რის შესახებ საინტერესოა ალექსანდრეს თვალსაზრისის გაცნობა. იგი ამბობს: „ქალაქის გარშემო გალავანი რომ დაქვევა, ქალაქის გაგრეცლებასათვის შესაბამი იყო. მაგრამ ის დიდი შენობები აღმოსავლეთის კლდეზედ... ვინ დაქვევა?“

დღე შენობათა დაქვევა ქალაქის გაფართოებისათვის ალექსანდრეს არ მიაჩნია მოხაზველინობა და მართალია იყო. კლდეზე ნაგები სიმაგრე ქალაქის ზრდას არ დაუშ-ლიდა.

აქი ამბობს: „ანუ რომლებმა შემოსულთა დიდთა მტარ-ვლთ დაქვეცხს, რომ იმ განათლებულმა ღუნერალმა ერ-მოლოვმა იკადრა იმისი შემუსურა...“ და ბოლოს, ავტორი მოუწოდებს მკითხველს: „მსაწავლუნო მეცნიერებო, ის დანარჩენი (ნაწარები) ნახეთ იმ ციხისა, სწორეს თვალე-ბით შეხედეთ, თუ იმ დანარჩენმა კიდევაც არ გააკვირი-ვით...“ 20-22 წლის ალექსანდრეს მის თვალწინ მიმ-ხდარი ცვლილებანი ქალაქის, „მოზულდულმა“ გარშემო გულს უსვლავდა და ეს ტკივილი ამ შავ მონაზაშვის ასახა, შედგე კი დაშუაგებული ტექსტი ჩართოს საკუთარ მე-შარებს.

ა. ორბელიანის ნაწერების შესწავლის შედეგად ირ-ვედა, რომ იგი დანიჭტარესებული ყოფილა ძველებითა და საერთოდ არქიტექტურით. ამ მხრივ კიდევ ერთ საინტერ-ესო მასალას გვაწვდის დიდგულ გამოუქვეყნებელი ტექს-ტი „თელავი“. აქ კახეთის მშენებერი ბუნების ასახებითა ერთად ვრცელად და დამაჯერებლად არის გადმოცემული თვით თელავის მდებარეობა, მისი შემოგარენი.

„თელავი მაღალი ადგილია... გადმოგვეყვამ ავტორი,-- ზედ პატარა გამშლილი ქალაქი, ქვიზანი წვირალ-ქვიანი ვა-კეხე საშუალოს შენობით მოფენილი; თავის ეკლესიებით, თავის ქუჩა-ბაზრებით... თელავის შენობას დიდორნი კაკლები და ხეები მჭარავს შიგადაშიგ ამოსულებით“. ქა-ლავის სილამაზე ასე ეხატება მწერალს: „თელავი ქალა-ქი მტად მდიდარია საუცხოვის წყაროებით სხვადასხვა ადგილებში გამომდინარე და პაერი უკეთესი აღარ ინატ-

როს ადამიანმა როგორც თელავისა... ამ ხსენებულს ქა-ლაქს წინ უდგას ჩრდილოეთის მხრისაკენ ოთხი გალავანი ქვიტიკრისა, თავისი ბურჯებით, მაგრამ ზოგიერთი კლ-დეები ჩამოქვევლია თვინორი მეფეთ მესამე გალავანისა“, შემდეგ თითოეული გალავანია დახასიათებული, რითაც ქა-ლავის გარშემო ნაგებობათა სრული სურათია აღდგენილი: „ამ ოთხ გალავანში პირველი გალავანია— დასავლეთის მხა-რეს, მეტად ძველი და არა აქვს სათოფეები დატანებული, ეს ამას ადგილებს მშვილდოსნობის დროსია. ამ გალავ-ნის დიდი ხევის გამოღმით— მეორე გალავანია, პირველი გალავნიდან აღმოსავლეთისაკენ, თავად ყორინთაშვილები-სა. ვრეთ ქვიტიკრისა, სადაც თვითონ დგანან ამ გალავ-ანში.“

მესამე გალავანი მეფეთ გალავანია, ვრეთვე აღმოსა-ვლეთისაკენ, ცველად ხევის გამოღმით, უფრო დიდი იმ გა-ლავანზეზე, უფრო მკვიდრი შენობა და უკან სამხრეთისაკენ ღამაზის ასპარეზი უდევს. ამ მეფეთ გალავანსა იქით არის კვლავ აღმოსავლეთისაკენ მეოთხე გალავანი, კატარა ხე-ვის გადმით, რომელსიაც თვით პატარნები დიან თავად-ღის ვახვაზიშვილები და ორთა გვართა ამით ვიან ყორინ-ბაშვილებს და ვახვაზიშვილებს მოსაწონად უნდა ჰქონ-დეს თავი, რომ თავის გალავანზეზე დგანან და იქიდან გა-დაპურებენ მეტად მისაწონ ბუნებებს“. ვითხოვლობთ ტექსტს და წარმოვიდგებთ თვითმხოლველი, მცოდნე, მე-წერი კაცი, რომელიც დაგვატარებს დროდადული ძვე-ლების დასათვალისწინებლად და თან მისი მთავებდობების მოხიარულ გეგმებს, როცა გვეუბნება: „ოთხი ესე გალავანი დგას ერთს ხაზზედ, მალომიდგან გადამჭერტრული დაბ-ლა, პირმიმართული ჩრდილოეთის კავკაზიის მთისაკენ“, — აქ ჩვენს წინ თითქმის მართლაც წამოხატავს ნაგებო-ბული ცვაკისიანი. ტექსტში გრძელდება ნაგებობათა ჩა-მითვლა, ჩვენს მეგზურს მიყვართ ამ ტერიტორიაზე აგე-ბული ეკლესიების დასათვალისწინებლად: „პირველი გალავ-ანი რომ ვთქვი, იმ გალავანში არის ძველი ეკლესია წმინ-და გიორგისა. ადრე ქართლულებისა ყოფილა, შემდეგ მე-ფის ირაკლის მეორის დროს განჯიდაგან რომ სომხები მო-სულან თელავში, იმ გალავანში დასახლებულად, — საყ-ვედურის კილითი გადაკრავს ალექსანდრე მის სათაყვანე-ბელ პაპას, — მეფეს ირაკლისც ის ეკლესია იმათთვის უბოძებია, სადაც ცველად მეფეები მდგარან და ძველი ქა-ლაქიც იქ ყოფილა... დღესაც იმ გალავანში რამდენიმე კომლესიონი დგანან, მითამ შეჟვარვიან იმის სიმაგრესა“. აქ ხაზგაშლილია თითოეული გალავნის სიმკვიდრო-სტრატეგიული დანიშნულება და საქართველოს ტერიტო-რიაზე მიმოფანტულ კომე-გალავანს სიმაგრეთა საერთო სის-ტემაზე მივანხმნებს გარდასული საუკუნის „მწარველები“.

„თავად ყორინთვიანი მეორე გალავანშია კვლავ ძვე-ლი ეკლესია ღვთაება უკლდეშელისა. იტყვიან იმ ეკლესიის სატიკისა, ანჩისსატიკის პირობოვასა გვანდეს, — ჩართავს ავტორი, — მეფეთ მესამე გალავანში აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის გალავნის კუთხეთან არის ეკლესია კარის დროსმოხობისა, მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომ-ელსიაც ვარაყმურელი მშენებერი კანკელია. ეს კანკელი მეფეს ირაკლის მეუწიარავს. მისი პირველი შვილი ვახტან-გი (მშენებელი, ლ. მ.) რომ გარდაცვილია, ხევიის ქალთან ნაყოლი, იმის დანარჩენი ნივთები გაუყვიდენებია, იმის ფუ-ლით ის კანკელი მიუტანებია მოსკოვს გაკეთებულ, საუკ-ხოვის ეკლესიის სომხების ხელედაც და ამით დაუმშენებია ის ეკ-ლესია. ამავ გალავანის ბოლოს კუთხეთან სამხრეთით, გა-რედან ზედ მოდებულია სომხების ეკლესია, თელავის წმინ-და გიორგისა, ამას ჰყავს ბევრი მლოცავი და აღმის მოყე-

(გაგრძელება 84-ე გვერდზე)


აფხაზეთის სსრ

მხატვართა

საიუბილეო გამოფენიდან

თბილისში

ბ. დოღობერიძე.
გ. გულისა პორტრეტი



დ. გურამიშვილის პორტრეტი

ლები, ახლა დაქვევლია, მხოლოდ სალხინის მეტი და წინ ოთახებისა.

აქვეა ქვიტკირის ჩატანილი გვირაბი გალავნის ძირს ქვევით ჩრდილოეთის მხრისაკენ. ამაში გამოდის მწვენიერი წყარო, მეტად კარგი სასმელი და ავსებს ქვიტკირის აუხს და იქედანდაც გართვ გაავა მიწაში¹. ასე ამბობენ ალ. ორბელიანი თავის დაკვირვებათა გადმოცემას საქართველოს ორი ქალაქის წუღელზე და ნაგებობათა შესახებ.

მთლიანი ტექსტი (დაიბეჭდება ალ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის I და II ტომებში) უფრო ნათელს ხდის ავტორის თვალსაზრის იმის შესახებ, რომ მის მიზანს წარმოადგენს არა მარტო იმდროინდელი სურათის აღდგენა, არამედ ამ შენობათა შესწავლა და მოვლა-დაცვა, რაც მის თანამედროვეთა დღის წესრიგში არ იდგა. გასული საუკუნის მოღვაწეთა ოცნება-წუხილი ჩვენი თანამედროვეობის სახრუხავია.

პართული ხალხური სიმღერები

პარმულში მუსიკალური ფოლკლორის საკითხი შესწავლის პროცესშია. ინტელიგენციის ვალა ყველა აღმოჩენილი ცნობა საბუღალთესის მსჯელობის საგნად აქცია. იქნებ მიგნებულმა მასალამ ხელი შეუწეოს ხალხური მუსიკის განვითარების შესწავლას.

ხალხური მუსიკის შესახებ გასული საუკუნის მოღვაწეთა უბრალო ჩანაწერიც კი საყურადღებოა, მით უმეტეს, თუ ეს გაკეთებულია ხალხური მუსიკის სიყვარულით.

ჩვენ თავი მოვეყარეთ ხალხურ სიმღერებთან დაკავშირებულ ალ. ორბელიანის ჩანაწერებს. ხალხური სიმღერის აღქმა ერთნაირად შეუძლებელია, თვით ხალხური სიმღერის შესრულების თავისებურების გამო.

წერილში: „ივერეთი გალობა, სიმღერა და ლილინი“ ალ. ორბელიანმა მოახდინა სიმღერების კლასიფიკაცია.

სტატიის ავტორი დაკვირვებით ახარისხებს სიმღერებს ჟანრების მიხედვით: 1. ტობის სიმღერა „მზე შინაო“...

2. ჯვარდაწერილების სახლში შემოყვანის სალხინო სიმღერები:

ა) მაყურბო, ბ) ღიღინი, გ) როკვის სიმღერა (თუ შესტიკრი არ აქვადათ).

3. ნადიმის ანუ დიდი სადილის სიმღერა: ა) ღვისი სადილის სიმღერა (სრული სიმღერა, ბ) სადღერძქლო — მრავალაბიერი, გ) სამადლობელი — ლილინი. ავტორი განმარტავს:

„უწინადადეს ლხინების ამბავი დიან ბეგრია, მაგრამ მე ეს მოკლედ ვიქვი, რადგან გალობისას და სიმღერისას ვლამარაკობი“ ძირითადად.

4. თამაშობა მღერით — „სამაია“, „ბეგრი რივი თამაშობა არის ჩვენი მღერით, მაგრამ ერთ იმთავან ვიტყვი, იმ თამაშობას და იმ შექცევას სამაია ჰქვია“ და განმარტავს ამ სიმღერა-თამაშის სასიას.

5. წყლის თანატანი სიმღერა — „თინა მიდის წყალზედა, ახ, თინაო, თინაო“.

6. ავადმყოფის სიმღერა — ნანა.

ზევით დასახელებული სიმღერები ასე თუ ისე თავის პირვადელი ფორმით არის შემონახული დღემდე, ხოლო ალ. ორბელიანის მიერ აღნიშნულ შრომის სიმღერათა შემტკობის დასახელებანი დავიწყებულია.

„უკეთესი ხმა რაღა უნდა, — წერს ალ. ორბელიანი, — არაფრისთანა სამეკ არა გაკვირდებოდა რა უწინდელს დროს ჩვენი... თუ თავისი საკუთარი სიმღერა არა ეთქვამა რა არ იქნებოდა... ჩვენს ვრსა უღრმეს და უძველეს დროში თავის საკუთარი მუსიკა, პოეზია ჰქონიათ, რომელთაცა დღესაც ზოგიერთმა იცინა ის თასობით წლების გალობანი, ანუ

სიმღერნი, ის იმათი დამიწებული ჩვენი მამა-პაპის ხმები, ანუ მამინდელი ბუნებით ძველი მუსიკა“.

და მართლაც, ხალხურ სიმღერას შრომის ხალხის გამოწვევა შეუძლია. ეს არის მისი საზოგადოებრივი ფუნქცია, დანიშნულება.

ხალხური შრომის სიმღერები ეროვნული კულტურის ნაწილია. უნდა ვეძებოთ და აღვადგინოთ ისინი. ალ. ორბელიანი მიერ დასახელებული შრომის სიმღერები შემდეგია:

